


მართლმადიდებელი ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში



თბილისი
2016 წელი

მართლმადიდებელი ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში The Orthodox Church in the Countries of the European Union

წინამდებარე გამოცემაში გაერთიანებულია მასალები, რომლებიც ასახავს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივ მდგომარეობასა და მის ურთიერთობას სახელმწიფოსთან.

This publication includes material, reflecting the legal status of Orthodox Churches in the countries of the European Union and their relations with the states.

გამოცემა მომზადებულია კავშირი „21-ე საუკუნის“ მიერ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მხარდაჭერით. წიგნში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ემთხვეოდეს დონორის თვალსაზრისს.

The publication has been prepared by the Union 21st Century with the support of the Delegation of the European Union to Georgia. The information and views set out in this publication are those of the authors and do not necessarily reflect the official opinion of the European Union.

ISBN 978-9941-0-8798-1

რედაქტორი

პაატა გაჩეჩილაძე

ავტორები

დ. ჩიკვაძე

თ. ალექსიძე

წიგნი დაბეჭდილია შპს „სარეკლამო ჯგუფში“

წინათქმა

დამოუკიდებლობიდან 25 წლისთავზე საქართველოში ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობის გამართული სისტემა. რელიგიური გაერთიანების საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების ერთობლიობით, სტატუსით, საჯარო სტრუქტურებთან ურთიერთობისა თუ სხვა მახასიათებლებით საქართველოში არსებული მდგომარეობა არ ჰგავს ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების არცერთ მოდელს. ჯერ კიდევ დასარეგულირებელია რელიგიური გაერთიანებების რესტიტუციის, დაფინანსების, საკულტო ნაგებობების მშენებლობის, გამოხატვისა და რელიგიის თავისუფლების ურთიერთმიმართების, ისევე როგორც სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხები.

მოცემულ ვითარებაში ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. ეს მით უფრო აქტუალურია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამ, 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ და შემდგომში კომუნისტურმა მმართველობამ ქვეყანაში შეწყვიტა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობის სისტემის განვითარების პროცესი. სწორედ ამიტომ 1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენას როგორც ხელისუფლებაში მოსული ძალა, ისე საზოგადოება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის სფეროში ცოდნისა და გამოცდილების მნიშვნელოვანი დეფიციტის პირობებში შეხვდა.

დასავლეთ ევროპაში კი სწორედ XIX-XX საუკუნეებში ჩამოყალიბდა სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობის ის მოდელები და მიღებულ იქნა შესაბამისი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების რეალიზების გარანტიას უზრუნველყოფს.

გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც - დღეს საქართველო განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფეხურზე იმყოფება. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელმოწერილ ხელშეკრულებას და უახლოეს მომავალში ვიზალიბერალიზაციის პროცესის საბოლოო დასრულებას საექსპო მნიშვნელობა აქვს ევროპულ სივრცეში ქვეყნის სრულფასოვანი ინტეგრირების გზაზე.

მთლიანად ეს პროცესი ერთობ შრომატევადი და წინააღმდეგობებით აღსავსე იქნება. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ევროკავშირში რელიგიისა და რელიგიური გაერთიანებების (განსაკუთრებით მართლმადიდებელი ეკლესიის) მდგომარეობის შესახებ სწორი, მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდება როგორც სასულიერო პირების, ისე საზოგადოებისა და მოსახლეობის ფართო ფენებისათვის. ეს საშუალებას მოგვცემს, გავანეიტრალოთ მოსახლეობის ნაწილში, სამწუხაროდ არსებული ის სტერეოტიპული შეხედულებანი რელიგიის, ტრადიციებისა და სულიერებისაგან „დაცლილ“ ევროპაზე, რის გაძლიერებასაც რიგი ძალები აქტიურად უწყობენ ხელს.

ამიტომაც დავისახეთ მიზნად, მოგვემზადებინა ქართულენოვანი გამოცემა, რომელიც ასახავდა მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობას სახელმწიფოსთან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. პუბლიკაციის გამოცემა ნაწილია იმ აქტიურობებისა, რასაც კავშირი

„21-ე საუკუნე“ 2013 წლიდან ახორციელებს. ეს აქტიურობა მოიცავს შეხვედრებს როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. შეხვედრებზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებსა და აქტიურ მრევლს მიეწოდება ინფორმაცია საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესზე და სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობების იმ მოდელებზე, რაც ევროკავშირის წევრ ქვეყნებშია სახეზე. სწორედ ამ შეხვედრებმა დაგვანახა მსგავსი გამოცემის მომზადების საჭიროება.

პუბლიკაციის ძირითადი ნაწილი მოიცავს ინფორმაციას იმ სახელმწიფოების შესახებ, სადაც მართლმადიდებელი ეკლესია ტრადიციულია ან დომინანტური მდგომარეობა აქვს, ან/და მოსახლეობის უმრავლესობა მიეკუთვნება მართლმადიდებლურ აღმსარებლობას (ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, საბერძნეთი, ფინეთი); ასევე, პუბლიკაცია ყურადღებას უთმობს და მიმოიხილავს იმ ქვეყნებსაც, სადაც მართლმადიდებელ თემს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს (ლატვია, ლიტვა, ესტონეთი და პოლონეთი).

წიგნში ბულგარეთისა და რუმინეთის ნაწილი მომზადებულია ბატონ დავით ჩიკვაიძის მიერ. კვიპროსის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, პოლონეთის, საბერძნეთისა და ფინეთის ნაწილზე კი მუშაობდა ქალბატონი თამარ ალექსიძე.

ფეიქრობთ, გამოცემა დახმარებას გაუწევს ამ საკითხებით დაინტერესებულ ყველა პირს.

აქვე ვსარგებლობთ შესაძლებლობით და გვინდა მადლიერება გამოვხატოთ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, ნატოსა

და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მიმართ მათ მიერ
გამოჩენილი მხარდაჭერისა და თანადგომისათვის.

პაატა გაჩეჩილაძე

კავშირი „21-ე საუკუნე“

პროგრამების ხელმძღვანელი

ბულგარეთი

I. სოციალური ფაქტები

ბულგარეთის რესპუბლიკა (ბულგ. Република България) მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე. პირველი ბულგარული სახელმწიფოს დაარსების წლად მიჩნეულია 680 წ. თანამედროვე ბულგარული სახელმწიფო შეიქმნა 1878 წელს ოსმალეთის იმპერიიდან გამოყოფის და ბულგარეთის სამთავროს ჩამოყალიბების გზით, შემდგომში სამთავრო გარდაიქმნა სამეფოდ და იარსება მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე. დემოკრატიული ბულგარეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1991 წლის 13 ივლისს.

ბულგარეთის სახელმწიფო ენა არის ბულგარული, რომელიც მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა სლავური ოჯახის სამხრეთსლავურ ჯგუფს და ენათესავება მაკედონიურ, სერბულ-ხორვატიულ და სლოვენურ ენებს.

ბულგარეთის რესპუბლიკის ფართობი შეადგენს 110.9 ათას კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა – 7,36 მილიონ ადამიანს. 2011 წლის აღწერით, ქვეყნის მოსახლეობის 84,8% არის ეთნიკური ბულგარელი, ხოლო გამოკითხულთა 76% აღიარებს აღმოსავლურ მართლმადიდებლურ რელიგიას.

II. ისტორიული ცნობები

ბულგარეთში ეკლესიის დამაარსებლად აღიარებულია წმ. მოციქული ანდრია პირველწოდებული. ქრისტიანობის აქტიური გავრცელება და დამკვიდრება ქვეყანაში უკავშირდება წმ. მეფის – ბორის I-ის მოღვაწეობას (870 წ.). 927 წელს ბულგარეთის ადგილობრივმა ეკლესიამ მიიღო საპატრიარქო დირსება. ბულგარეთის ეკლესიის ავტოკეფალურობა, მსგავსად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობისა, მოხსენიებულია მეორე მსოფლიო კრების მე-2 კანონის კომენტარებში, კერძოდ, თეოდორე ბალსამონის კომენტარში, სადაც აღნიშნულია, რომ ბულგარეთის ეკლესიას ავტოკეფალია მიენიჭა ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს 131-ე ნოველით. ბულგარეთის საპატრიარქოს ავტოკეფალია გაუქმდა ოსმალეთის

იმპერიის პირობებში და იგი დაექვემდებარა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს.

ბულგარეთის ავტოკეფალია აღდგა მე-20 საუკუნეში, ხოლო საპატრიარქო სტატუსი ეკლესიამ დაიბრუნა 1953 წლიდან. საპატრიარქოს აღდგენის შემდეგ ბულგარეთის ეკლესიას მეთაურობდნენ უწმიდესი კირილე (1953-1971) და მაქსიმე (1971-2012). 2013 წლის თებერვლიდან ბულგარეთის ეკლესიას მეთაურობს მისი უწმიდესობა ნეოფიტე, პატრიარქი ბულგარეთისა და მიტროპოლიტი სოფიისა (Негова Светост Неофит, Патриарх български и Митрополит софийски).

III. ძირითადი სტრუქტურა

1. რელიგიის თავისუფლება

ბულგარეთი სეკულარული სახელმწიფოა. კონსტიტუციის თანახმად განმტკიცებულია, ერთი მხრივ, რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლება, ხოლო მეორე მხრივ – რელიგიური ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოუკიდებლობა.

ბულგარეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია

1991 წელს მიღებული რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, განმტკიცებულია ადამიანთა თანასწორობა. კერძოდ, კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად: „1. ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით; 2. ყველა მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე. დაუშვებელია უფლების შეზღუდვა ან პრივილეგია, რომელიც ეფუძნება რასას, ეროვნებას, ეთნიკურ კუთვნილებას, სქესს, წარმოშობას, რელიგიას, განათლებას, რწმენას, პოლიტიკურ კუთვნილებას, პირად და საზოგადოებრივ სტატუსს ან ქონებრივ მდგომარეობას.“

რაც შეეხება აღმსარებლობას, მას ეხება კონსტიტუციის მე-13 მუხლი. ამავე მუხლით არის დადგენილი მართლმადიდებლობის, როგორც ბულგარეთის ტრადიციული აღმსარებლობის, სტატუსი:

„1. აღმსარებლობანი თავისუფალი არიან.

2. რელიგიური დაწესებულებები გამოყოფილია სახელმწიფოსგან.

3. ტრადიციული რელიგია ბულგარეთის რესპუბლიკაში არის აღმოსავლურ-მართლმადიდებლური აღმსარებლობა.

4. რელიგიური საზოგადოებები და დაწესებულებები, აგრეთვე სარწმუნოებრივი შეხედულებები არ შეიძლება გამოყენებულ იქნენ პოლიტიკური მიზნებისათვის“.

საგულისხმოა, რომ ბულგარეთის კონსტიტუციის ცალკე მუხლი განსაზღვრავს სინდისის თავისუფლების გამოხატვის, მორწმუნეებს შორის, ასევე, მორწმუნესა და არამორწმუნეს შორის ურთიერთობების და აღმსარებლობის თავისუფლების გამოყენების ფარგლებს:

„მუხლი 37

1. სინდისის თავისუფლება, აზრის თავისუფლება და რელიგიური ან ათეისტური შეხედულების არჩევანი ხელშეუხებელია. სახელმწიფო მოქმედებს ცალკეულ აღმსარებლობათა მორწმუნეებს შორის, აგრეთვე, მორწმუნეებსა და არამორწმუნეებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის მხარდასაჭერად.

2. სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლება არ შეიძლება მიმართულ იქნეს ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი წყობის, მოსახლეობის ჯანმრთელობის ან მორალის ანდა სხვა მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ“.

ბულგარეთის კონსტიტუცია აღიარებს ბულგარეთის მოქალაქეთა უფლებას თავისუფალი გაერთიანების შესახებ და, აგრეთვე, ადგენს შეზღუდვებს ხსენებული უფლებისთვის. კერძოდ, 44-ე მუხლის მიხედვით; „1. მოქალაქეებს შეუძლიათ თავისუფლად გაერთიანდნენ. 2. აკრძალულია ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა მიმართულია ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის და ერის ერთიანობის წინააღმდეგ, აღვივებს რასობრივ, ეროვნულ, ეთნიკურ და რელიგიურ შუღლს, არღვევს მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, აგრეთვე ორგანიზაციები, რომლებიც ქმნიან საიდუმლო და გასამხედროებულ სტრუქტურებს და ისწრაფვიან, მიაღწიონ მიზნებს ძალადობის გზით. 3. ორგანიზაციებს, რომლებიც ექვემდებარებიან რეგისტრაციას, მისი შეწყვეტის წესს, აგრეთვე მათ ურთიერთობას სახელმწიფოსთან განსაზღვრავს კანონი“.

საინტერესო რეგულაციას ადგენს კონსტიტუციის 58-ე მუხლი, რომელშიც განსაზღვრულია როგორც მოქალაქეთა ვალდებულებანი პატივი სცენ სხვათა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ისე რელიგიური შეხედულებების შეზღუდვა, თუკი ისინი კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი ვალდებულებების შესრულებაზე უარის

თქმის საფუძველს წარმოშობს, კერძოდ: „1. მოქალაქეები ვალდებული არიან, დაიცვან და შეასრულონ კონსტიტუცია და კანონები. ისინი ვალდებული არიან, პატივი სცენ სხვათა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. 2. რელიგიური და სხვა შეხედულებანი არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი.”

ბულგარეთის კონსტიტუციით, კიდევ ერთი ნორმა, რომელიც ეხება რწმენისა და სინდისის საკითხს, არის 67-ე მუხლი, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახალხო წარმომადგენლები, ანუ ბულგარეთის რესპუბლიკის სახალხო კრების (პარლამენტის) დეპუტატები, მოქმედებენ კონსტიტუციისა და კანონების ფარგლებში საკუთარი სინდისით და რწმენით.

2. ბულგარეთის კანონმდებლობა ეკლესიის შესახებ

ბულგარეთის რესპუბლიკაში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მართლმადიდებლური სარწმუნოება აღიარებულია ტრადიციულ რელიგიად. საგულისხმოა, რომ მრავალი ევროპული სახელმწიფოს კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, ბულგარეთის კონსტიტუცია სტატუსს ანიჭებს არა ეკლესიას, როგორც ინსტიტუციას, არამედ რელიგიურ აღმსარებლობას.

ეკლესიის სტატუსი

რაც შეეხება თავად ეკლესიის სტატუსს, კანონიკური სიზუსტით იგი გადმოცემულია ბულგარეთის კანონში „აღმსარებლობათა შესახებ“ (მიღებულია 2002 წლის 20 დეკემბერს). კერძოდ, მე-10 მუხლში აღნიშნულია, რომ (1) ტრადიციული აღმსარებლობა ბულგარეთის რესპუბლიკაში არის აღმოსავლური მართლმადიდებლობა, რომელსაც აქვს ისტორიული როლი ბულგარეთის სახელმწიფოსთვის და აქტუალური მნიშვნელობა მისი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის. მისი მქადაგებელი და წარმომადგენელი არის ბულგარეთის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც საპატრიარქოს სახელით არის უფლებამონაცვლე ბულგარეთის საეგზარქოსოსი და არის წევრი ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისა. მას ხელმძღვანელობს წმიდა სინოდი და წარმოდგენილია ბულგარეთის პატრიარქის მიერ, რომელიც

იმავედროულად არის სოფიის მიტროპოლიტი. (2) ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესია იურიდიული პირია. მისი მოწყობა და მართვა განისაზღვრება მისივე დებულებით. (3) 1 და 2 პუნქტები არ შეიძლება იყოს მისთვის კანონით რაიმე პრივილეგიის ან უპირატესობის მინიჭების საფუძველი.

ხსენებული კანონის პრეამბულაშიც აღნიშნულია ბულგარეთის ეკლესიის და მისი აღმსარებლობის განსაკუთრებული მნიშვნელობა ბულგარეთის სახელმწიფოსთვის:

„ხაზს უსვამს რა ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ და ტრადიციულ როლს ბულგარეთის ისტორიაში, მისი სულიერების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის“.

კანონის 33-ე მუხლი, ასევე, ადგენს ბულგარეთის ეკლესიის უფლებას, გახსნას სკოლამდელი, სასკოლო და უმაღლესი სკოლის სასწავლებლები, განათლების სფეროში არსებული კანონმდებლობის დაცვით.

IV. ეკლესია და დიასპორა

ბულგარეთს მიღებული აქვს ცალკე კანონი „ბულგარეთის რესპუბლიკის გარეთ მცხოვრებ ბულგარელთა შესახებ“. კანონი ითვალისწინებს მთელ რიგ ნორმებს, რომლებიც ეხება ბულგარულ დიასპორას. საგულისხმოა, რომ გარკვეულ საკითხებში არცთუ უმნიშვნელო როლი მინიჭებული აქვს ბულგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიასაც.

კანონის მე-3 მუხლის თანახმად, პირის ბულგარული წარმომავლობა შეიძლება დადასტურდეს რამდენიმე სახის დოკუმენტით, რომელთაგან ერთ-ერთია ეკლესიის მიერ გაცემული საბუთი: „1. ბულგარული წარმომავლობა დასტურდება დოკუმენტით, რომელიც გაცემულია: (1) ბულგარეთის ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს მიერ; (2) ბულგარეთის რესპუბლიკის გარეთ მცხოვრებ ბულგარელთა ორგანიზაციის მიერ, რომელიც აღიარებულია ბულგარეთის კომპეტენტური ორგანოების მიერ და ინარჩუნებს მათთან კავშირს; (3) ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ“.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონის მე-13 მუხლი, რომელიც დიდ მისიას აკისრებს ბულგარეთის ეკლესიას და მართლმადიდებელურ სარწმუნოებას უცხოეთში მცხოვრებ ბულგარელთა შორის ეროვნული

თვითმყოფადობის შენარჩუნების საკითხში: „1. ბულგარეთის სახელმწიფო ეხმარება აღმოსავლურ-მართლმადიდებლური აღმსარებლობის, როგორც ბულგარელთა ტრადიციული რელიგიური კუთვნილების დაცვასა და გავრცელებას, როგორც ბულგარული ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ფაქტორს. სახელმწიფო ბულგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად ეხმარება ქვეყნის გარეთ მცხოვრებ ბულგარელებს შეინარჩუნონ კონტაქტი მათ რელიგიურ თემებთან ქვეყნის ფარგლებს მიღმა და მხარს უჭერს მათ საქმიანობას საზღვარგარეთ, რაც მიმართულია ეროვნული და სულიერი ფასეულობების განმტკიცებისაკენ“.

ხსენებული ნორმის იმპლემენტაციის მიზნით, 2006 წლის 11 სექტემბერს ბულგარეთის მინისტრთა საბჭომ მიიღო №243 დადგენილება „საზღვარგარეთ ბულგარელთა სახელმწიფო სააგენტოს დებულების შესახებ“. დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მე-5 ქვეპუნქტი ითვალისწინებს სააგენტოს თავმჯდომარის კომპეტენციას, მჭიდრო კავშირი იქონიოს ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდთან. იმავე დადგენილების მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი კი ითვალისწინებს სააგენტოს ბულგარელთა თემებისა და საინფორმაციო საქმიანობის დირექციის ვალდებულებას, თავისი საქმიანობის განხორციელებისას კავშირი იქონიოს ბულგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან.

V. ეკლესია და კულტურის სფერო

ბულგარეთის კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ მთელ რიგ ნორმებს ადგენს ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და რეგისტრირებული აღმსარებლობებისათვის.

აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ბულგარეთის კულტურული მემკვიდრეობა შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს ბულგარეთის ეკლესიას, ხოლო კანონის მე-4 მუხლში, სადაც ჩამოთვლილია ის საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციები, რომლებთანაც თანამშრომლობს ბულგარეთის კულტურის სამინისტრო, მითითებულია, აგრეთვე, ბულგარეთის ეკლესიის წმინდა სინოდი. საეკლესიო ქონების დაცვა, სტიქიური უბედურებისა და შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ხორციელდება ბულგარეთის ეკლესიის მონაწილეობით. საინტერესოა კანონის მე-7 მუხლის მე-2

პუნქტი, რომელშიც კულტურული მემკვიდრეობის აღიარების ერთ-ერთი კრიტერიუმად მითითებულია, ბულგარეთის ეკლესიის მიერ მისი ამ სახით აღიარება. საგულისხმოა კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად ბულგარეთის ეკლესიის წმინდა სინოდი ვალდებულია ყოველი წლის 30 ივნისამდე კულტურის სამინისტროს წარუდგინოს ანგარიში გასულ წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. კანონის 177-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ბულგარეთის ეკლესიას უფლება აქვს დაამზადოს მოძრავი კულტურული ობიექტების ასლები, კომერციული მიზნით, თანახმად ეკლესიის კანონებისა.

VI. ეკლესია და სახელმწიფო პროტოკოლი

კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ბულგარეთის ეკლესიის სტატუსი გარკვეულ ასახვას ჰპოვებს სახელმწიფო პროტოკოლის საკითხებშიც.

ბულგარეთში საპროტოკოლო საკითხებს აწესრიგებს კანონი „სახელმწიფო პროტოკოლის შესახებ“ და ამ კანონის დანართი, რომელიც დამტკიცებულია ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს მიერ. პროტოკოლის დანართის 87-ე მუხლით განსაზღვრულია ბულგარეთში უმაღლესი თანამდებობის პირთა იერარქია, რომლის თანახმად ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური – ბულგარეთის პატრიარქი იკავებს მე-5 ადგილს, რესპუბლიკის პრეზიდენტის, სახალხო კრების (პარლამენტის) თავმჯდომარის, მინისტრ-თავმჯდომარის (პრემიერ-მინისტრის) და ვიცე-პრეზიდენტის შემდგომ, რაც საკმაოდ მაღალი სტატუსია. დანართი ასევე ითვალისწინებს ბულგარეთში სახელმწიფო სამგლოვიარო ცერემონიის ჩასატარებლად მონაწილე უწყებებს. 94-ე მუხლის თანახმად, ხსენებული ცერემონია ტარდება ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მონაწილეობით. პროტოკოლის დანართით განსაზღვრულია, აგრეთვე, უმაღლესი და მაღალი რანგის პირებისადმი მიმართვის ფორმები. 98-ე მუხლში ჩამოთვლილია ბულგარეთის ეკლესიის უმაღლესი იერარქიაც, კერძოდ: პატრიარქისადმი მიმართვის ფორმაა - „თქვენო უწმიდესობავ“, მიტროპოლიტისადმი – „თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ“, ხოლო ეპისკოპოსისადმი – „თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ“.

ბულგარეთის სახელმწიფო ღონისძიებებში, ჩვეულებრივ, მონაწილეობს ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიაც. ეკლესიის ამგვარი როლი ზოგ შემთხვევაში განმტკიცებულია საკანონმდებლო დოკუმენტებით, ხოლო ზოგ შემთხვევაში – დამკვიდრებული პრაქტიკით.

პრეზიდენტის ინაუგურაცია

2012 წელს შედგა ბულგარეთის რესპუბლიკის მოქმედი პრეზიდენტის, როსენ პლენელიევის ინაუგურაციის ცერემონია. ცერემონია შეიცავდა რელიგიურ კომპონენტს. კერძოდ, საპატიო ადგილას, რესპუბლიკის სახალხო კრების დეპუტატთა პირველ რიგში იჯდა ბულგარეთის იმუამინდელი პატრიარქი მაქსიმე. ფიცის წარმოთქმის შემდეგ პრეზიდენტმა გადაინაცვლა დარბაზისკენ, სადაც ემთხვია საგანგებოდ დასვენებულ სახარებას და ჯვარს, მივიდა პატრიარქთან და მისგან აიღო კურთხევა, ხოლო შემდგომ დაბრუნდა ტრიბუნასთან და ხელი მოაწერა ფიცის ტექსტს. ანალოგიურად შეასრულა ფიცის დადების წესი ვიცე-პრეზიდენტმა მარგარიტა პოპოვამ.

VII. ეკლესია და სამხედრო ძალები

ეკლესიისა და სახელმწიფოს მჭიდრო ურთიერთობა სხვა საკითხებთან ერთად აქტიურად ვლინდება სამხედრო ძალებთან, ბულგარეთის სამხედრო მოსამსახურეებთან და მთელ რიგ სამხედრო ღონისძიებებთან დაკავშირებით.

6 მაისი – გიორგობა

ბულგარეთის ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული დღესასწაულია ქრისტიანული ეკლესიის გამორჩეული წმინდანის, ქრისტიანი სამხედრო მოსამსახურის, წმ. გიორგის დღესასწაული. სწორედ წმ. გიორგის სამხედრო ღვაწლიდან გამომდინარე, ეს დღე აღიარებულია, როგორც ბულგარეთის არმიის დღე და, ასევე, მამაცობის დღე (ბულგ. Ден на храбростта и Българската армия).

ბულგარეთის ოფიციალური წყაროების განმარტებით, გიორგობა, როგორც უმთავრესი სამხედრო დღესასწაული საუკუნეების განმავლობაში აღინიშნებოდა ბულგარელთა მიერ. თანამედროვე ეპოქაში იგი დღესასწაულად გამოცხადდა 1880 წელს ბულგარელთა

მთავრის, ალექსანდრე ბატენბერგის ბრძანებულებით. 1946 წლიდან, მას შემდეგ, რაც სოფიაში საბჭოთა ჯარების მიერ სოციალისტური რეჟიმი დამყარდა, დღესასწაულის აღნიშვნა შეწყდა და იგი განახლდა მხოლოდ 1993 წელს. მას შემდეგ „მამაცობისა და ბულგარეთის არმიის დღე“ რეგულარულად აღინიშნება.

ამ დღის ტრადიციული ღონისძიებები რელიგიურ-სამხედრო ცერემონიათა სინთეზია. დილით, ჩვეულებისამებრ, სოფიის წმ. ალექსანდრე ნეველის საკატრიარქო ტაძარში სრულდება სახეიმო წირვა, რომელსაც ადავლენს მისი უწმიდესობა, ბულგარეთის პატრიარქი და სოფიის მიტროპოლიტი. წირვის შემდგომ ტაძრის წინ არსებულ მოედანზე სრულდება ბულგარეთის ხალხის გამარჯვებისათვის სავედრებელი პარაკლისი, ბრძოლის ველზე დაცემულ ბულგარელ მეომართა მოსახსენებელი პანაშვიდი და, როგორც წესი, იკურთხება სამხედრო დროშები.

დღის მეორე კულმინაციურ ღონისძიებას წარმოადგენს სამხედრო აღლუმი, რომელსაც იბარებს ბულგარეთის პრეზიდენტი – სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

რესპუბლიკის სამხედრო დროშა

ბულგარეთის რესპუბლიკის მთავარი სამხედრო დროშა მთლიანდ ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ მოტივებზეა დაფუძნებული. დროშა გაყოფილია რვა ზოლით იმგვარად, რომ კენტი და ლუწი ზოლების მწვანე და წითელ ფერებში დაშტრისხვით, დროშაზე გამოსახება წითელი ფერის წმ. გიორგის ჯვარი (+-ის ფორმის) და მწვანე ფერის წმ. ანდრიას ჯვარი (X-ის ფორმის). ჯვრების კვეთის ადგილას გამოსახულია ბულგარეთის მცირე სახელმწიფო გერბი. გერბის ზემოთ, წითელ ფონზე განთავსებულია წარწერა „С НАМИ БОГ“ („ჩვენთან არს ღმერთი“), ხოლო მწვანე ფონზე, დროშის ოთხივე კუთხეში – ინიციალები БА (Българската Армия – ბულგარეთის არმია). ბულგარეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო წესდების შესაბამისად, სავალდებულოა ბულგარეთის ყველა სამხედრო დროშის კურთხევა ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ.

სამხედრო წესდება

ბულგარეთში შეიარაღებული ძალების მოწყობის მთავარი ნორმატიული დოკუმენტი არის ბულგარეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 4 აგვისტოს ბრძანებით დამტკიცებული „ბულგარეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო სამსახურის წესდება“. საინტერესოა, რომ წესდება შეიცავს არაერთ მუხლს, რომლითაც განისაზღვრება ეკლესიის ექსკლუზიური უფლებამოსილება სამხედრო მოსამსახურეებთან მიმართებით (მაგალითად, სამხედრო ფიცის მიღების ცერემონიაზე, სამხედრო ნაწილის შექმნისას დროშის გადაცემის ცერემონიაზე). თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ წესდების მე-10 თავის მე-3 ქვეთავი მთლიანად ეთმობა ეკლესიასთან ერთად შესასრულებელ სამხედრო-საეკლესიო ღონისძიებებს.

წესდების თანახმად, ამგვარი ღონისძიებებია:

სამხედრო დროშის კურთხევა – დროშის კურთხევის ცერემონია, რაც სრულდება 6 მაისს ან სამხედრო ნაწილისთვის დროშის გადაცემის დღეს;

წყალკურთხევა – ასევე დროშების კურთხევის ცერემონია, რაც სრულდება 6 იანვარს, ნათლისღებას (ახ.სტ.), ახლად ნაკურთხი დიდი აიაზმის წყლით;

მიცვალებულთა მთავარანგელოზობა – მთავარანგელოზობამდე (8 ნოემბ. ახ.სტ.) უახლოეს შაბათ დღეს ბულგარეთის ეკლესია აღასრულებს მიცვალებულთა ხსენებას, ხოლო სამხედრო წესდება ითვალისწინებს საეკლესიო-სამხედრო ღონისძიებას ბრძოლის ველზე დაცემულ ბულგარელ მეომართა მოსახსენებლად;

დაკრძალვის ცერემონია – სრულდება სამხედრო წესით და საეკლესიო განწესით, ერთდროულად;

სამხედრო ნაგებობის, ტაძრის ან საბრძოლო ტექნიკის კურთხევა – სრულდება სამხედრო ნაგებობის ან სამხედრო ნაწილთან არსებული ტაძრის კურთხევა. ასევე აქვეა გათვალისწინებული საბრძოლო ტექნიკის კურთხევის წესიც;

სამხედრო პირების მიერ საეკლესიო ნაგებობების მონახულების წესი – ასრულებს სამხედრო პირი, როდესაც ის იმყოფება საეკლესიო ნაგებობის ან ქრისტიანულად სხვა წმინდა ადგილის ტერიტორიაზე.

VIII. ეკლესიის სახელმწიფო დაფინანსება

ბულგარეთის მთავრობა, ეფუძნება რა საკონსტიტუციო ნორმას, რომ აღმოსავლურ-მართლმადიდებლური სარწმუნოება არის ტრადიციული რელიგია ბულგარეთში, ყოველწლიურად საბიუჯეტო ასიგნებებს გამოყოფს ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. ამასთან ერთად, გათვალისწინებულია გარკვეული ასიგნებები რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციებისთვისაც.

რელიგიური ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი სუბსიდიების ბოლო 5 წლის სტატისტიკა შემდეგია (თანხა მოცემულია ბულგარულ ლევებში):

2015	4 500 000
2014	4 000 000
2013	3 000 000
2012	3 000 000
2011	3 000 000

ბულგარეთის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მიმდინარე, 2016 წლის კანონი ითვალისწინებს გაზრდილ დაფინანსებას და იგი შეადგენს 4.5 მლნ ლევს. ხსენებული სუბსიდია ნაწილდება შემდეგნაირად:

ბულგარეთის რესპუბლიკის კანონი „ბულგარეთის რესპუბლიკის 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“
მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის დანართი 1

	დასახელება	ჯამი(ათასი ლევობით)
1.	უცხოეთში ბულგარული მართლმადიდებლური საეკლესიო თემებისა და საზღვარგარეთ მსახური სასულიერო პირებისათვის	850,0
2.	ქვეყანაში ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძრებისა და მონასტრების შეკეთებისა და მშენებლობისათვის	2 410,0

3.	ბულგარეთის რესპუბლიკაში მუსლიმური აღმსარებლობის სალოცავი სახლების შეკეთებისა და მშენებლობისათვის	360,0
4.	ბულგარეთის რესპუბლიკაში კათოლიკური ეკლესიის სალოცავი სახლების შეკეთებისა და მშენებლობისათვის	50,0
5.	ბულგარეთის რესპუბლიკაში სინაგოგების შეკეთებისა და ებრაული თემის დახმარებისათვის	50,0
6.	ბულგარეთის რესპუბლიკაში სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძრების შეკეთებისა და მშენებლობისათვის	50,0
7.	ბულგარეთის რესპუბლიკაში სხვა რეგისტრირებული აღმსარებლობების სალოცავი სახლების შეკეთებისა და მშენებლობისათვის	80,0
8.	ეროვნული მნიშვნელობის რელიგიური ნაგებობების შეკეთებისათვის	450,0
9.	რელიგიური ლიტერატურისა და წარმომადგენლობითი სამეცნიერო გამოცემების გამომცემლობისათვის	50,0
10.	საგანგებო სიტუაციათა რეზერვი	150,0
11.	ბულგარეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყველა ტაძრის, სალოცავი სახლისა და მონასტრის რეესტრისა და კარტოთეკის შევსებისა და გააქტიურებისათვის	10,0
	სულ	4 500,0

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ბულგარეთის ეროვნული მნიშვნელობის რელიგიურ ნაგებობათა აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებლურ კონფესიას განეკუთვნება, შეგვიძლია

დავასკვნათ, რომ რელიგიური ორგანიზაციებისათვის გამოყოფილ ასიგნებათა 82% მიემართება ბუღგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საჭიროებისათვის.

IX. ეკლესია და საზოგადოებრივი ცხოვრება

ბუღგარეთის მართლმადიდებელი ეკლესია აქტიურად არის ჩართული ბუღგარეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ფაქტობრივად არ ხდება ქვეყანაში არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელზედაც, საჭიროების და თავისი მიზნების გათვალისწინებით, აზრი არ გამოთქვას ეკლესიამ, პატრიარქის ან წმინდა სინოდის სახით. 2009 წლის მიმართვაში საზოგადოებისა და მედიისადმი წმინდა სინოდი აღნიშნავდა: „ბოლო ოცი წლის განმავლობაში განსაკუთრებულად გაიზარდა ბუღგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი, ასევე ჩვენი ხალხის მოთხოვნილება, მოისმინონ ოფიციალური საეკლესიო პოზიცია ჩვენი დროის აქტუალურ პრობლემებზე. თავის მხრივ, ბმე-ს წმინდა სინოდს მიაჩნია, რომ როგორც ეკლესიისთვის, ისე ერისთვის და მთლიანად, საზოგადოებრივი და მედიაგარემოსათვის, დიდი საჭიროებიდან გამომდინარე, უნდა გავრცელდეს ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სული. ამის გამო, ბმე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც დიალოგს მედიასთან, ისევე ხარისხიანი მართლმადიდებლური ჟურნალისტიკის განვითარებას ბუღგარეთში“.

ზემოაღნიშნული განწყობის გათვალისწინებით, ბუღგარეთის მართლმადიდებელი ეკლესია რეგულარულად ეხმაურებოდა ქვეყანაში მიმდინარე ძირითად მოვლენებს და აფიქსირებდა თავის პოზიციას, რომლის შესრულებისკენაც იგი მოუწოდებდა და ავალდებულებდა ყველა მორწმუნე მართლმადიდებელს.

ბუღგარეთის ეკლესია, როგორც წესი, მიმართავს პოზიციის გამოხატვის ოთხ ფორმას: (1) მოსაზრება (становище), (2) განცხადება (изъявление), (3) მიმართვა (обръщение) და (4) მოწოდება (призив). შესაბამისად, ამაზეა დამოკიდებული მისი შესრულების სავალდებულო ხარისხი მორწმუნე მრევლისათვის.

ბოლო წლების განმავლობაში ბუღგარეთის ეკლესიამ არაერთ საკითხთან დაკავშირებით გამოხატა პოზიცია. მათგან საინტერესო და მნიშვნელოვანია შემდეგი:

2014 წლის 17 ივნისის მოწოდება სოფიაში დაგეგმილ გეი აღლუმთან დაკავშირებით

ბულგარეთის ეკლესიის წმინდა სინოდმა გაავრცელა მოწოდება სოფიაში დაგეგმილ გეი აღლუმთან დაკავშირებით. სინოდმა განმარტა ქრისტიანული მიდგომა და სულისკვეთება აღნიშნული ღონისძიების თაობაზე, მოუწოდა მთელ საზოგადოებას, მათ შორის, აღლუმის ორგანიზატორებსაც, რომ გაეუქმებინათ დაგეგმილი აღლუმი, როგორც ცოდვისა და უზნეობის გამოვლინება (както грях и безнравствена същност). სინოდის მოწოდებაში მითითებული იყო წმინდა წერილიდან შესაბამისი მუხლები, აღლუმი დახასიათებული იყო, როგორც მომავალი თაობის ჯანსაღად აღზრდის საწინააღმდეგო და ტრადიციული ოჯახური ურთიერთობის დამანგრეველი მოვლენა.

2008 წლის 1 აპრილის მოსაზრება ბულგარეთის საოჯახო კოდექსის განსახილველ პროექტზე

ბულგარეთის ეკლესიის წმინდა სინოდმა ამ მოსაზრებით დაგმო ბულგარეთის საოჯახო კოდექსის პროექტის ის ნორმა, რომელიც არარეგისტრირებულ თანაცხოვრებას ქორწინების და ოჯახის თანასწორად აღგენდა. მოსაზრებაში ამომწურავად იყო გადმოცემული ქრისტიანული სწავლება ოჯახისა და ქორწინების შესახებ, მოყვანილი იყო ბულგარელი ხალხის ათასწლოვანი ტრადიციული შეხედულებები ოჯახის ინსტიტუციის თაობაზე და ამ გზით, წმინდა სინოდმა კატეგორიულად მოითხოვა პროექტის განხილვიდან მოხსნა. საგულისხმოა, რომ სახალხო კრებამ (პარლამენტმა) გაითვალისწინა ეს მოწოდება და მიღებულ ვარიანტში ამოღებულ იქნა სადავო ნორმა.

მოსაზრება კანონპროექტზე „ორგანოების, ქსოვილისა და უჯრედების გადანერგვის შესახებ“

ბულგარეთის ეკლესიის წმინდა სინოდმა ვრცელი მოსაზრება მიუძღვნა ამ პრობლემას. საკითხი განხილულ იქნა ქრისტიანული მორალის ჭრილში. მოსაზრების საერთო შინაარსი არის ის, რომ, ზოგადად, ორგანოს ან ქსოვილის გადანერგვა, როდესაც ეს ხორციელდება დონორის კეთილი ნების საფუძველზე, სრული შეგნებით, ყოველგვარი ანგარების გარეშე, უდიდესი ქრისტიანული

თავგანწირვაა, რასაც ეკლესია მხოლოდ მიესალმება. თუმცა, იქვე გაკრიტიკებულია სხვადასხვა მანკიერი მიდგომა, რაც ხდებოდა ბულგარეთში. მაგალითად, როგორც იყო ე.წ. „მდუმარე თანხმობა“, როდესაც უგონო და მომაკვდავ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს აცლიდნენ ორგანოებს, ბიზნესის წარმოება ამ სფეროში და ა.შ.

მოსაზრება ხელოვნური განაყოფიერებისა და სუროგაციის შესახებ რომელიც ბულგარეთის ეკლესიის წმინდა სინოდმა ორი წლის წინ გაავრცელა

საგანგებო სწავლება ხელოვნური განაყოფიერებისა და სუროგაციის შესახებ. მოსაზრება მოცულობითია და მასში განაყოფიერების არაერთი ასპექტია განხილული. წმ. სინოდმა დასაშვებად მიიჩნია ხელოვნური განაყოფიერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებულ იქნება მხოლოდ მეუღლეთაგან მიღებული ბიომასალა და განაყოფიერებული ემბრიონი შეყვანილ იქნება საკუთარი, ბიოლოგიური დედის სხეულში. სხვა ბიომასალით ხელოვნური განაყოფიერება ან/და სუროგატი დედის გამოყენება ბულგარეთის ეკლესიის წმ. სინოდმა ქრისტიანული ზნეობისათვის კატეგორიულად მიუღებლად გამოაცხადა.

2009 წლის 24 აგვისტოს მიმართვა სოფიაში დაგეგმილი მადონას კონცერტთან დაკავშირებით

ბულგარეთის ეკლესიის წმ. სინოდმა შეიმუშავა სპეციალური მიმართვა მორწმუნე საზოგადოებისადმი იმავე წლის 29 აგვისტოს დაგეგმილ მადონას კონცერტთან დაკავშირებით. მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ, ვინაიდან 29 აგვისტოს ეკლესია აღნიშნავს წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღეს (ახ.სტ.; ძვ.სტ. 11 სექტემბერს), ხოლო ეს დღე ეკლესიაში დაწესებულია, როგორც სინანულისა და მარხვის დღე, წმ. სინოდმა მოუწოდა მორწმუნე მრევლს, რათა მიუღებლად მიეჩნიათ, ამ დღეს კონცერტი საზეიმოდ ჩაეტარებინა მადონას, რომელიც, ყველაფერთან ერთად, გამოირჩევა ქრისტიანული სიმბოლოებისა და ტრადიციების შეურაცხყოფით.

მიმართვა ბულგარელი ერისადმი, ბულგარეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კანონპროექტზე, რომელიც შეეხება სკოლამდელი და სასკოლო განათლების საკითხს

ეს მიმართვა ბულგარეთის ეკლესიის წმ. სინოდმა გაავრცელა იმ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავდა სასწავლო დაწესებულებებში რელიგიური სიმბოლოების განთავსების აკრძალვას. ბულგარეთის ეკლესიამ დაუშვებლად მიიჩნია მსგავსი ნორმატიული აქტის მიღება და მოუწოდა მთელ ერს შესაბამისი რეაგირებისაკენ. წმ. სინოდის მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ ასწლეულების განმავლობაში ბულგარელთა წინაპრები ქვეყნისათვის საჭირობოროტო უამს გადაწყვეტილებას იღებდნენ იმის მიხედვით, თუ რა იქნებოდა მომავალი თაობისათვის უმჯობესი. წმ. სინოდმა მიიჩნია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება დამანგრეველი იქნებოდა მომავალი თაობისათვის, რადგან იგი იყო არადემოკრატიული და ეწინააღმდეგებოდა აღიარებულ რელიგიურ უფლებებს.

საგულისხმოა, რომ ზემოხსენებული კანონპროექტი წარმოდგენილი რედაქციით არ იქნა მიღებული.

ეროვნული სალიტანიო მსვლელობა, რომელიც მოეწყო 2010 წლის 24 სექტემბერს, სახელწოდებით „ჩვენი შვილების სულიერი აღზრდისა და კეთილი მომავლისათვის“

ბულგარეთის ეკლესიის იმჟამინდელმა პატრიარქმა მაქსიმემ და ეკლესიის წმ. სინოდმა გაავრცელეს მიმართვა, ქ. სოფიაში მოწყობილიყო საერთო-ეროვნული სალიტანიო მსვლელობა, რომლითაც მორწმუნე საზოგადოება მხარს დაუჭერდა ბულგარელი ბავშვების სარწმუნოებრივ აღზრდას და განათლებას. შემუშავდა სპეციალური ღოზუნგები, რომლებიც მსვლელობისას გამოფენილი იყო ტრანსპარანტებზე:

„რელიგია – მართლმადიდებლობა ბულგარულ სასწავლებლებსა და საბავშვო ბაღებში“ (Религия – Православие в българското училище и детската градина);

„ეკლესიას + სახელმწიფო = ოქროს ხანას“ (Църква + Държава = Златен век);

„ეკლესიას + სასწავლებელი = ეროვნულ აღორძინებას“ (Църква + училище = Национално възраждане);

„გვაქვს მართლმადიდებლობა – გვაქვს ბულგარეთი! არ გვაქვს მართლმადიდებლობა – არ გვაქვს ბულგარეთი!“ (Има Православие – има България! Няма Православие – няма България!).

მსვლელობას წინ მიუძღოდა სოფიის ეპარქიის სამღვდელთა აქციაში მონაწილეობა 10 000-ზე მეტმა მორწმუნემ მიიღო.

პლოვდიველი მიტროპოლიტ ნიკოლოზის მიმართვა ეპარქიის მორწმუნე ქრისტიანებისადმი

პეტარ დანოვის და ვანგა პეტრიჩკას პიროვნებებთან დაკავშირებით ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პლოვდივის მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა გაავრცელა სპეციალური მიმართვა, რომელიც შეესებოდა ორი ცნობილი ბულგარელი ადამიანის, „ნათელმხილველბად“ და „მქადაგებლბად“ ცნობილი პეტარ დანოვის და ვანგა პეტრიჩკას (საუბარია საყოველთაოდ პოპულარულ ბულგარულ ნათელმხილველ ვანგაზე) პიროვნებებს. მიტროპოლიტმა დეტალურად მიმოიხილა თავის მიმართვაში მათი სწავლება, მოსაზრებები და ქმედებები ქრისტიანული მოძღვრების ფონზე და, მათ შორის, გამოკვეთა ისეთები, რომლებიც, თავისი შინაარსით, შეუძლებელია მოდიოდეს მართლმადიდებელი ადამიანისგან. შესაბამისად, მისი აზრით, დაუშვებელია, რომ ამ ადამიანების სჯეროდეს მორწმუნე მართლმადიდებელს ან გაითვალისწინოს მათი შეხედულებები ამა თუ იმ საკითხის გარშემო ანდა მისდოს მათ. მიტროპოლიტმა ყოველი მათი მიმდევარი კერპთაყვანისმცემლებს შეადარა და შეახსენა, რომ ყოველი თაყვანისმცემელი კერპისა, თავის თავს აძევებს ეკლესიიდან.

წმინდა სინოდის მოწოდება საყოველთაო აღწერასთან დაკავშირებით

ბულგარეთში 2011 წლის თებერვალში ჩატარებულ აღწერასთან დაკავშირებით ეკლესიის წმინდა სინოდმა გაავრცელა მოწოდება მორწმუნეებისადმი, ყველას აქტიურად მიეღო მონაწილეობა ამ აღწერაში და პირდაპირ მიუთითა, როგორ შეეგსოთ, მე-12 და მე-13 გრაფები:

„12. ხართ რელიგიური?“ – კითხვაზე, უნდა ეპასუხათ „დიახ“;

„13. თქვენი აღმსარებლობა“ – „აღმოსავლური მართლმადიდებლობა“.

მოწოდებაში აღნიშნული იყო, რომ ამის შესრულება იქნებოდა სამსახურის გაწევა, ღვთის, ქვეყნის და მორწმუნე ერის მიმართ და დასასრულს, მოყვანილი იყო ციტატა სახარებიდან, რომ ზეციერი მამის წინაშე აღიარებული იქნება ის, ვინც კაცთა წინაშე აღიარებს თავის რწმენას.

ნევროკოპული მიტროპოლიტ ნათანიელის განცხადება ანტიმუსლიმურ სტატიასთან დაკავშირებით

მიტროპოლიტმა ნათანიელმა განცხადება მიუძღვნა ანტიმუსლიმურ განცხადებას, რომელიც გავრცელდა ინტერნეტ-სივრცეში, სახელწოდებით „გოცე დელჩევი გამოდის ახალი ჯამეს წინააღმდეგ“.

მღვდელმთავარმა მოკლედ მიმოიხილა ეკლესიის სწავლება განსხვავებული რწმენისა და აღმსარებლობის ადამიანებთან ურთიერთობის თაობაზე, აღნიშნა, რომ ქრისტიანობისათვის უცხოა ყოველგვარი დისკრიმინაცია რელიგიური თუ სხვა ნიშნით და მკაცრად დაგმო ყველანაირი პროვოკაცია, რაც შეიძლება მის ეპარქიაში მოხდეს და საფრთხე შეუქმნას ქრისტიანთა და მუსლიმთა მშვიდობიან თანაცხოვრებას.

მიტროპოლიტმა მაგალითად მოიყვანა ქ. ხაჯიდომოვოს წმ. დიდმოწამე გიორგის სახელობის მონასტერი, რომელიც იქცა ერთგვარ სიმბოლოდ ქრისტიანთა და მუსლიმთა მეგობრობისა, ვინაიდან ორივე რელიგიის წარმომადგენლები ერთად დადიან იქ სალოცავად.

პატრიარქისა და წმინდა სინოდის სპეციალური განცხადება მიგრაციულ კრიზისთან დაკავშირებით

ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა და წმინდა სინოდის წევრებმა 2015 წლის 25 სექტემბერს გაავრცელეს სპეციალური განცხადება ინგლისურ ენაზე, რომელიც შეეხებოდა მიგრაციულ კრიზისს, რაც წარმოიშვა ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში მიმდინარე დაპირისპირების ფონზე.

განცხადებაში გამოხატულია ეკლესიის მკვეთრად უარყოფითი პოზიცია შეიარაღებულ კონფლიქტებთან და განსაკუთრებით კონფლიქტების დროს მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურებისა და მშობლიური მიწიდან განდევნის ფაქტებთან დაკავშირებით.

განცხადებაში ეკლესია კატეგორიულად მოუწოდებს ბულგარეთის მთავრობას, იმოქმედოს, როგორც ქრისტიანულმა მთავრობამ, ხელი შეუწყოს თავის მხრივ კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას, დევნილთა და ლტოლვილთათვის ღირსეული პირობების შეთავაზებას. ეკლესიისათვის მიუღებელია მხოლოდ შემფოთების შემცველი განცხადებები და იგი მთავრობას მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებს. „თუ მართლმადიდებლური ქრისტიანობა აღმოჩნდება დამაბრკოლებელი ამ ხალხისთვის, უახლოეს მომავალში თავად მართლმადიდებლური ქრისტიანობა აღმოჩნდება ისე დაბრკოლებული, ჩვენ დღეს რომ ვერც წარმოგვიდგენია“, — აღნიშნულია განცხადებაში.

X. შრომის კანონმდებლობა

ბულგარეთის რესპუბლიკის შრომის კოდექსი ადგენს ბულგარეთის ეროვნულ დღესასწაულებს, რომლებიც უქმე დღედ არის გამოცხადებული. 10 დღესასწაულიდან 4 რელიგიურია და იგი მართლმადიდებელი ეკლესიის კალენდრის მიხედვით განისაზღვრება. მათ შორის, ქრისტეშობა და აღდგომა მოიცავს რამდენიმედღიან უქმეებს (შესაბამისად: 24, 25 და 26 დეკემბერი; დიდი პარასკევი, შაბათი, აღდგომა და ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათი).

ამავე კოდექსით, იმ მუშაკებს, რომლებიც არ არიან აღმოსავლურ-მართლმადიდებლური რწმენის მიმდევრები, უფლება აქვთ, იმდენივე დღით ისარგებლონ ანაზღაურებადი შეგებულებით, რამდენიც დადგენილია მართლმადიდებლური დღესასწაულებისათვის.

არამართლმადიდებლურ რელიგიურ დღესასწაულებს, შესაბამისი რელიგიური ორგანიზაციების წარდგინებით, ყოველწლიურად ამტკიცებს ბულგარეთის მინისტრთა საბჭო (მთავრობა).

XI. სამოქალაქო რეგისტრაცია

მიუხედავად ეკლესიისათვის მინიჭებული არაერთი პრივილეგიისა, ბულგარეთში სამოქალაქო რეგისტრაცია მკაცრად სეკულარულია. კანონმდებლობით დადგენილია სახელის, მამის სახელის, გვარის, ქორწინების და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის წესი, რომელიც უმნიშვნელოდ შეიცავს ჩანაწერსა თუ აღნიშვნას მართლმადიდებელი ეკლესიის და, ზოგადად, რელიგიური გაერთიანების შესახებ.

„სამოქალაქო რეგისტრაციის შესახებ“ ბულგარეთის კანონის მე-13 მუხლით დადგენილია: „მამის სახელი ყოველ პირს ენიჭება მამის საკუთარი სახელის გათვალისწინებით, რომელსაც დაერთვის ბოლოსართი -OB ან -EB და დაბოლოება ბავშვის სქესის მიხედვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მამის საკუთარი სახელი არ იძლევა ამ ბოლოსართის დართვის საშუალებას ან იგი ეწინააღმდეგება მშობლების ოჯახურ, ეთნიკურ ან რელიგიურ ტრადიციებს“;

იმავე კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად: „ყველა პირის გვარი არის მამის გვარი ან მამის სახელი, რომელსაც თან დაერთვის ბოლოსართი -OB ან -EB და დაბოლოება ბავშვის სქესის გათვალისწინებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მშობლების ოჯახური, ეთნიკური ან რელიგიური ტრადიციებით სხვა რამ არის დადგენილი“.

რაც შეეხება ქორწინების საკითხს, სახელმწიფო ახორციელებს ქორწინების რეგისტრაციას, არ კრძალავს რელიგიურ ქორწინებას, მაგრამ ოფიციალურ სტატუსს ანიჭებს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ შესრულებულ სააქტო ჩანაწერს. ბულგარეთის საოჯახო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ „რელიგიურ წესს არ აქვს სამართლებრივი ძალა“.

XII. ეკლესიის ორგანიზაცია

1. ბულგარეთის ეკლესიის კანონიკური სტატუსი

ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესია არის მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ნაწილი, ადგილობრივი ეკლესია, რომელსაც აქვს ავტოკეფალიის სტატუსი და დამოუკიდებლად განაგებს საშინაო საქმეებს.

ბულგარეთის ეკლესიის ოფიციალური სახელწოდებაა „ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესია – ბულგარეთის საპატრიარქო“ (ბულგ. Българска Православна Църква – Българска Патриаршия).

ბულგარეთის ეკლესიის ავტოკეფალია აღიარებულია მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური კოდექსის ერთ-ერთი ავთენტური განმმარტებლის, თეოდორე ბალსამონის კომენტარში, რომელიც მიძღვნილია მე-2 მსოფლიო კრების მე-2 კანონისადმი. იგი აღნიშნავს:

„თუ ნახავ ასევე სხვა დამოუკიდებელ (ავტოკეფალურ) ეკლესიებს, როგორებიცაა: ბულგარეთის, კვიპროსის და ივერიის, არ გაიკვირვო ეს. ბულგარეთის მთავარეპისკოპოსს მიანიჭა იმპერატორმა იუსტინიანემ: წაიკითხე მისი 131-ე ნოველა, რომელიც წერია ბასილიკონის მე-5 წიგნში, ტიტული 3, თავი 1, ამ კრების 1-ლი ტიტულის მე-5 თავის განმარტებებში“.

მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიაში ავტოკეფალური საპატრიარქოების და ეკლესიების დიპტიქთან (ეკლესიების მიმდევრობის წესი) დაკავშირებით არსებობს ორი ტრადიცია: ბერძნული და სლავური. ბერძნული ტრადიციით, ბულგარეთის საპატრიარქო იკავებს მე-8 ადგილს, ხოლო სლავური ტრადიციით – მე-9 ადგილს. იმის მიუხედავად, რომ, ბერძნული ტრადიციით, ბულგარეთის საპატრიარქოს უფრო წინა ადგილი უკავია, თავად საპატრიარქო მისდევს სლავურ ტრადიციას და მე-9 ადგილზე მოიხსენიებს საკუთარ თავს.

ისტორიული წყაროების მიხედვით, ბულგარეთის ეკლესიას სამჯერ მიენიჭა ავტოკეფალია: 893 წელს (927 წლიდან – საპატრიარქოა), შემდგომ 1185 წელს (1235 წლიდან კვლავ საპატრიარქოს სტატუსით) და ბოლოს – 1945 წელს. 1953 წელს ბულგარელთა მესამე საეკლესიო-სახალხო კრებაზე მიტროპოლიტი კირილე არჩეულ იქნა ბულგარეთის პატრიარქად. მისი საპატრიარქო ღირსება კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ ცნო 1961 წელს.

1971 წელს, პატრიარქ კირილეს გარდაცვალების შემდეგ, ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობლად არჩეულ იქნა ლოვჩანის მიტროპოლიტი მაქსიმე, რომელიც ხანგრძლივად, 41 წლის განმავლობაში მართავდა ეკლესიას და საპატრიარქოს. 2013 წლიდან ბულგარეთის პატრიარქი არის მისი უწმიდესობა ნეოფიტე, პატრიარქი ბულგარეთისა და მიტროპოლიტი სოფიისა.

2. ეკლესიის დებულება

ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მოქმედი დებულება მიღებულია ბულგარეთის მეექვსე საეკლესიო-სახალხო კრების მიერ 2008 წლის 11 დეკემბერს.

დებულება შედგება 5 ნაწილისგან და შეიცავს 263 მუხლს. დებულებას ერთვის განმარტებითი, გარდამავალი და დასკვნითი თავები, სულ 11 პარაგრაფი.

დებულება აწესრიგებს შემდეგ საკითხებს:

ნაწილი პირველი. მოწყობა

თავი პირველი. ძირითადი დებულებები

თავი მეორე. საეკლესიო კრება

ქვეთავი I. საეკლესიო კრება

ქვეთავი II. საეკლესიო კრების წევრთა არჩევა

ქვეთავი III. საეკლესიო კრების უფლებამოსილებები და სხდომები

თავი მესამე. სამღვდელმთავრო კრება

თავი მეოთხე. ბულგარეთის პატრიარქი

ქვეთავი I. ბულგარეთის პატრიარქი

ქვეთავი II. ბულგარეთის პატრიარქის არჩევა

ქვეთავი III. ბულგარეთის პატრიარქის უფლებამოსილებები

თავი მესამე. წმინდა სინოდი

ქვეთავი I. ზოგადი დებულებები

ქვეთავი II. სრული შემადგენლობის წმინდა სინოდის უფლებამოსილებები

ქვეთავი III. მცირე შემადგენლობის წმინდა სინოდის უფლებამოსილებები

ქვეთავი IV. წმინდა სინოდის სხდომები

ქვეთავი V. წმინდა სინოდის ადმინისტრაცია

თავი მეექვსე. უმაღლესი საეკლესიო საბჭო

ქვეთავი I. უმაღლესი საეკლესიო საბჭო

ქვეთავი II. უმაღლესი საეკლესიო საბჭოს უფლებამოსილებები და სხდომები

თავი მეშვიდე. ეპარქიის მიტროპოლიტი

ქვეთავი I. ეპარქიის მიტროპოლიტი

ქვეთავი II. ეპარქიის მიტროპოლიტის არჩევა

ქვეთავი III. ეპარქიის მიტროპოლიტის უფლებამოსილებები

ქვეთავი IV. სამიტროპოლიტოს ადმინისტრაცია

თავი მერვე. ეპარქიის ამომრჩეველები

თავი მეცხრე. საეპარქიო საბჭო

ქვეთავი I. საეპარქიო საბჭო

ქვეთავი II. საეპარქიო საბჭოს უფლებამოსილებები და სხდომები

თავი მეათე. მღვდელმთავრის ვიკარიუსები

თავი მეთერთმეტე. სამრევლოები და მღვდელმსახურები

ქვეთავი I. სამრევლოები და მღვდელმსახურები

ქვეთავი II. მღვდელმსახურების უფლებამოსილებები

თავი მეთორმეტე. ეკლესია და ეკლესიის წინამძღვრობა

ქვეთავი I. ეკლესია და ეკლესიის წინამძღვრობა

ქვეთავი II. ეკლესიის წინამძღვრების უფლებამოსილებები

თავი მეცამეტე. მონასტრები

ქვეთავი I. მონასტრები და მონაზვნები

ქვეთავი II. სამონასტრო მმართველობის უფლებამოსილებები სამონასტრო საბჭო და იღუმენი

ნაწილი მეორე. საეკლესიო სასამართლო

თავი პირველი. ზოგადი დებულებები

ქვეთავი I. მოწყობა

ქვეთავი II. ქვემდებარეობა

თავი მეორე. საეკლესიო-სასამართლო საქმეები

ქვეთავი I. საეკლესიო-მისაგებელი საქმეები

ქვეთავი II. საეკლესიო-ქონებრივი დავები

ქვეთავი III. საეკლესიო-ადმინისტრაციული საქმეები

ნაწილი მესამე. ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის – ბულგარეთის საპატრიარქოს მსახურთა წახალისება, დისციპლინარული და ქონებრივი პასუხისმგებლობა

თავი პირველი. წახალისება

თავი მეორე. დისციპლინური პასუხისმგებლობა

ქვეთავი I. ზოგადი დებულებები

ქვეთავი II. დისციპლინური დარღვევები

ქვეთავი II. დისციპლინური სასჯელები

ქვეთავი IV. დისციპლინური სასჯელის დადების წესი

თავი მესამე. ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის – ბულგარეთის საპატრიარქოს მსახურთა ქონებრივი პასუხისმგებლობა

ნაწილი მეოთხე. განსაკუთრებული წესები, რომლებიც შეეხება ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის – ბულგარეთის საპატრიარქოს მსახურთა სამართლებრივ მდგომარეობას

ნაწილი მეხუთე. ეკლესიის მომსახურება

თავი პირველი. შემოსავლები და გასავლები

ქვეთავი I. შემოსავლები

ქვეთავი II. გასავლები

თავი მეორე. ბიუჯეტი, კონტროლი და ანგარიშგება

ქვეთავი I. ბიუჯეტი

ქვეთავი II. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის უზრუნველყოფის წესი

ქვეთავი III. კონტროლი და ანგარიშგება

თავი მესამე. ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის – ბულგარეთის საპატრიარქოს, სამიტროპოლიტოების, ეკლესიებისა და მონასტრების უძრავი ქონების ერთიანი სინოდალური რეესტრი

თავი მეოთხე. დროშა და ბეჭდები

დამატებითი დებულებები

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

3. ეკლესიის მოწყობა

ბულგარეთის ეკლესია ადმინისტრაციული თვალსაზრისით იყოფა ეპარქიებად (ბულგ. епархия), რომლებსაც ხელმძღვანელობენ მიტროპოლიტები, ხოლო თითოეული ეპარქია იყოფა სამთავარხუცესოდ (ბულგ. околия) და მათ ხელმძღვანელობენ სამღვდელმთავრო ხარისხის მქონე ქორეპისკოპოსები.

ამჟამინდელი მდგომარეობით, ბულგარეთის ეკლესიის წმ. სინოდში პატრიარქის ჩათვლით შედის 15 მიტროპოლიტი. რაც შეეხება სამთავარხუცესობებს, ხსენებულ 15 სამიტროპოლიტო ეპარქიაში სულ არის 77 სამთავარხუცესო.

XIII. გამოყენებული წყაროები

ნორმატიული აქტები:

1. Конституцията на Република България;
2. Закон на въроизповеданията;

3. Закон на държавния бюджет на Република България;
 4. Закон на държавния бюджет на Република България;
 5. Закон на държавния бюджет на Република България;
 6. Закон на държавния бюджет на Република България;
 7. Закон на държавния бюджет на Република България;
 8. Закон на държавния бюджет на Република България;
 9. Закон за българите, живеещи извън Република България;
 10. Закон за културното наследство;
 11. Закон на държавния протокол;
 12. Закон за гражданската регистрация;
 13. Трудов Кодекс;
 14. Устав за войсковата служба на въоръжените сили на Република България, от Министерството на Отбраната на Република България, 26.08.2008;
- зგბ-გვერდები:
1. <http://www.bg-patriarshia.bg/>
 2. <http://www.president.bg/>
 3. <http://www.lex.bg/>

კვიპროსი

კვიპროსის რესპუბლიკაში სახელმწიფოსა და ეკლესიებს შორის ურთიერთობა საკმაოდ მრავალწახნაგოვანი და საინტერესოა, რაკიღა რელიგიური თემების ამჟამინდელი სტატუსი და მდგომარეობა კვიპროსზე კუნძულის მდიდარი წარსულის შედეგია. საკმარისი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ კუნძულის ისტორია სხვადასხვა დროს მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბიზანტიის (325-1191), ფრანკთა სამეფოს (1191-1489), ვენეციის (1489-1571), ოსმალეთის (1571-1878) და ბრიტანეთის (1878-1960) გავლენასთან, რადგან მოცემულ პერიოდში თითოეული ხსენებული ძალა ახდენდა კუნძულის ოკუპაცია – კოლონიზაციას და მართვას. ასე გრძელდებოდა 1960 წლამდე, როდესაც 1959 წლის 11 თებერვლის ციურიხის და 1959 წლის 19 თებერვლის ლონდონის ხელშეკრულებების საფუძველზე კვიპროსის კოლონიამ ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა და სუვერენულ რესპუბლიკად ჩამოყალიბდა (1960 წლის 16 აგვისტო). 1960 წლის 6 აპრილს ქ. ნიქოზიაში (ნიქოზში) საბერძნეთის სამეფოს, თურქეთის რესპუბლიკის და კვიპროსის ბერძნული და თურქული თემის წარმომდგენლებმა ხელი მოაწერეს კონსტიტუციურ ტექსტებს (ბერძნულ და თურქულ ენებზე) და ბრიტანეთის ბატონობა ამ კუნძულზე, როგორც კოლონიაზე, დასრულდა. კონსტიტუციის 149-ე მუხლის თანახმად, უზენაესი საკონსტიტუციო სასამართლო აღიჭურვა კომპეტენციით, იმსჯელოს ტექსტთა შორის განსხვავებაზე, თუკი რომელიმე ნორმა კონსტიტუციურ ტექსტებში ურთიერთშეუსაბამოა (მ.149(ა)), აგრეთვე, ნებისმიერი ბუნდოვანების შემთხვევაში, განმარტოს კონსტიტუციის ნორმები ლონდონის და ციურიხის ხელშეკრულებების სულისკვეთებით. (მ.149(ბ)).

კვიპროსის კონსტიტუციით დაწესებული ე.წ. კვოტირების სისტემა რაღაცით ჰგავს ბოსნია-ჰერცეგოვინის კონსტიტუციის წინამორბედს, რომელსაც, თავის მხრივ, წინ უძღოდა იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა და სამოქალაქო ომი ეთნიკურ ნიადაგზე სერბებსა და ბოსნიელებს შორის. სიტუაციის განსამუხტად 1990-იან წლებში დადებულ იქნა დეიტონის შეთანხმება, რომლის დანართიც წარმოადგენდა ახალ კონსტიტუციას ბოსნია-ჰერცეგოვინისთვის. ეს

იყო ეთნიკურ ბოსნიელებსა და ეთნიკურ სერბებს შორის ხელისუფლების გადანაწილების რთული მოდელი დამცავი კვოტირების მექანიზმებით და გულისხმობდა სახელმწიფოს მიერ ე.წ. პოზიტიური დისკრიმინაციის (ხელშემწყობი ზომების) გამოყენებას სამი შემადგენელი ხალხისთვის (ბოსნიელი, სერბი, ხორვატი).

მსგავსი, მოსალოდნელი კონფლიქტის პრევენციული მექანიზმი მცირე ხანს მოქმედებდა ლიბანში. 1989 წლის 22 ოქტომბრის „ტაიფის შეთანხმების“ საფუძველზე, როცა ხელისუფლება განაწილდა ეთნიკური და რელიგიური ნიშნით ქრისტიანებისა და მუსლიმების თემებს შორის.

კონსტიტუციის მიხედვით, კვიპროსი არის საპრეზიდენტო მმართველობის რესპუბლიკა. რესპუბლიკის პრეზიდენტია ბერძენი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი თურქი, თითოეულს ირჩევს შესაბამისი – ბერძნული ან თურქული თემი (მ.1). სხვა მნიშვნელოვან სახელმწიფო თანამდებობებზე (საკანონმდებლო ორგანოს ხელისუფლება, უმაღლესი და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, გენერალური პროკურატურა, აუდიტის სამსახური და ა.შ.) გამწესების დროსაც უზრუნველყოფილია შესაბამისი წარმომადგენლობის პრინციპის დაცვა.

კონსტიტუციის მე-2 მუხლი განმარტავს ბერძნული და თურქული თემების შემადგენლობას. ბერძნული თემი შედგება რესპუბლიკის მოქალაქეებისგან, რომლებიც ა) ეთნიკურად ბერძნები არიან და მათი მშობლიური ენა ბერძნულია; ბ) მოქალაქეებისგან, ვინც იზიარებს ბერძნულ კულტურულ ტრადიციებს; გ) მოქალაქეებისგან, ვინც ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის წევრები არიან (კონსტიტუციის მ2(1)). თურქულ თემში შედიან რესპუბლიკის მოქალაქეები, რომლებიც ა) ეთნიკურად თურქები არიან და მათი მშობლიური ენა თურქულია; ბ) მოქალაქეებისგან, ვინც იზიარებს თურქულ კულტურულ ტრადიციებს; გ) მუსლიმი მოქალაქეები (მუხლი მე-2(2)).

ამასთან, კონსტიტუციამ დააწესა 3 თვის ვადა (კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან), რომლის განმავლობაშიც პირს უნდა აერჩია თემისადმი კუთვნილება. თუკი პირი ეკუთვნოდა რომელიმე რელიგიურ ჯგუფს, ეს მის ნაცვლად ამ ჯგუფს შეეძლო გაეკეთებინა. თუკი პირი არ დაეთანხმებოდა საკუთარი რელიგიური ჯგუფის

არჩევანს, მას უფლება ჰქონდა შესაბამისი პროცედურის დაცვით შეერთებოდა მისთვის სასურველ თემს. ქორწინებაში მყოფი ქალი მიეკუთვნებოდა ქმრის თემს, 21 წლამდე ბავშვები - მამის თემს, ხოლო თუკი მამა უცნობი იყო, თემისადმი კუთვნილება დედის ხაზით განისაზღვრებოდა.¹

სამწუხაროდ, კვიპროსის თემთაშორისმა შეთანხმებამ ვერ გაამართლა და პოლიტიკურ დონეზე მოკლე ხანში (1963 წლიდან) თავი იჩინა სხვადასხვა სახის დაპირისპირებამ. ბერძნულმა მართლმადიდებელმა თემმა უპირატესობა მოიპოვა მთელ რიგ საკითხებში, რამაც თურქული თემის წარმომადგენელთა უკმაყოფილება გამოიწვია. საბოლოოდ, „1974 წლის 20 ივლისს თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა, რომელიც კვიპროსის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის ერთ-ერთი გარანტი იყო, კუნძულის ჩრდილოეთი ნაწილის ოკუპაცია მოახდინა. ოკუპაციის შედეგად ჩრდილოეთის რეგიონში მცხოვრები ბერძენი და სხვა ქრისტიანი მოსახლეობა დევნილად იქცა და კუნძულის სამხრეთ ნაწილს შეაფარა თავი, ხოლო კუნძულის სამხრეთ ნაწილში მცხოვრებმა თურქებმა ჩრდილოეთს მიაშურეს“.²

თურქულ ოკუპაციამდე, 1973 წლის აღწერის მონაცემებით, კვიპროსის მოსახლეობა შეადგენდა 631,778 ადამიანს. აქედან 498,511 (78.9%) იყო ბერძნული თემი, რომლის შემადგენლობაში, ასევე, შედიოდნენ სომხები, მარონიტები და რომის კათოლიკეები, 116,000 (18.4%) მიეკუთვნებოდა თურქულ თემს და 17,267 (2.7%) ძირითადად ბრიტანელები, სხვა ეთნიკურ ჯგუფებს.³

ამჟამად, თურქული ოკუპაციის მიზეზით, კვიპროსი სრულად ვერ ახორციელებს საკუთარ იურისდიქციას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, კერძოდ კი, ტერიტორიის „ეფექტურ კონტროლს“ ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონზე. აღნიშნულთან დაკავშირებით (თუ რას ნიშნავს „ეფექტური კონტროლი“) იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპულმა

¹იხ. კვიპროსის კონსტიტუცია, მ. 2(3) და მ.2(7) (ბ).

² აქილეს ემილიანიდესი: „სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში“ გვ.268 (გერჰარდ რობერსი (რედ.) „სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის ქვეყნებში“, თბილისი, 2011წ.)

³იქვე გვ. 268.

სასამართლომ სახელმწიფოთაშორისი განაცხადის საფუძველზე წარმოებულ ცნობილ საქმეში: „კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ“.⁴

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს კვიპროსის რესპუბლიკის ამჟამინდელი მოსახლეობის მიახლოებითი შეფასების ოფიციალური სტატისტიკა, მიჩნეულია, რომ 83% არის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის მიმდევარი, 13%-ს შეადგენენ მუსლიმები (მათი თითქმის მთლიანი რაოდენობა ცხოვრობს ტერიტორიაზე, რომელსაც ვერ აკონტროლებს რესპუბლიკა), 0.6% არიან მარონიტები, 0.6% – სომხები და 0.3% – კათოლიკეები. მოსახლეობის 2.5% სხვა რელიგიის მიმდევარია.⁵

რელიგიის თავისუფლების მდგომარეობა

რელიგიის თავისუფლების მხრივ მდგომარეობის შესწავლისას, ყურადღება უნდა მიექცეს შესაბამის საკანონმდებლო ნორმებს. კონსტიტუციაში რელიგიის საკითხებთან დაკავშირებული ძირითადი მუხლებია: მე-18 მუხლი, რომელიც იძლევა რელიგიური თავისუფლების გარანტიას; 23-ე მუხლი (მე-9 და მე-10 ნაწილები), რომლის მიხედვითაც, აკრძალულია ქრისტიანული და მუსლიმანური გაერთიანებების და ინსტიტუტების ქონებრივი უფლებების შეზღუდვა შესაბამისი საეკლესიო ხელისუფლების ან თურქული სათემო პალატის თანხმობის გარეშე; 87-ე (1ა) მუხლი, რომლის შესაბამისადაც, ორივე თემის ყველა რელიგიურ საკითხზე სამართლებრივი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს ორივე სათემო პალატას; 110-ე მუხლი, რომელიც იცავს ყველა სარწმუნოების ავტონომიას და ქონებას და 111(1)-ე მუხლი, რომელიც მოიცავს საოჯახო სამართლის საკამათო საკითხებს.⁶

მე-18 მუხლში დეტალურად არის გაწერილი რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები. ეს მუხლი საკმაოდ

⁴ აღნიშნული საქმეზე კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ, აგრეთვე, ილაშქრე მოლდოვისა და რუსეთის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლომ ჩამოაყალიბა საკუთარი მიდგომა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო/ხელისუფლების ძალებთან მიმართებით. ე.წ. „ეფექტური კონტროლის დოქტრინა“.

⁵ აქილეს ემილიანიდესი: „სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში“, გვ. 268.

⁶ იქვე, გვ. 268.

ამომწურავად ეხება რელიგიის თავისუფლების სხვადასხვა ასპექტს და დიდწილად იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (რატიფიცირება მოხდა კვიპროსში 39/1962 კანონით) მე-9 მუხლის სულისკვეთებას, თუმცა მე-18 მუხლის რეგულაციის სფერო უფრო ფართოა. ასე, მაგალითად:

მე-18(1) მუხლის შესაბამისად, „ყველა პიროვნებას აქვს აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება“. ამრიგად, აზრის თავისუფლება გარანტირებულია ნებისმიერი პირისთვის – მორწმუნისა თუ ათეისტისთვის, მიუხედავად იმისა, იგი კვიპროსის რესპუბლიკის მოქალაქეა თუ არა.

მე-18(3) მუხლის შესაბამისად, „ყველა რელიგია თანასწორია კანონის წინაშე, თუ ეს არ შეეხება მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით არსებული სათემო პალატების უფლებამოსილებას, რესპუბლიკის საკანონმდებლო, ადამასრულელებელი ან ადმინისტრაციული აქტი არ უნდა გულისხმობდეს რელიგიური ინსტიტუტების ან რელიგიის შეზღუდვას“.

მე-18(4) მუხლის შესაბამისად, გარანტირებულია პიროვნების რელიგიური თავისუფლება: „ყველა პიროვნება თავისუფალია და აქვს რწმენის აღიარების, რელიგიის ან რწმენის ღია გამოვლენის, მისი თაყვანისცემის, სწავლების, პრაქტიკული საქმიანობის, რელიგიური რიტუალის ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, პირადად ან სახალხოდ შესრულების და რელიგიის ან რწმენის შეცვლის უფლება“. ნებისმიერი პირისთვის აკრძალულია უკანონო პროზელიტიზმი რომელიმე რელიგიის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

მე-18(5) მუხლის შესაბამისად, აკრძალულია „ფიზიკური ან მორალური ძალდატანება იმ მიზნით, რომ პიროვნებამ რელიგია შეიცვალოს ან ხელი შეეშალოს მის შეცვლაში“. [...]

მე-18(6) მუხლით, შეიძლება შეიზღუდოს პიროვნების მიერ თავისი რელიგიური რწმენის გამოვლენის თავისუფლება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მსგავსი შეზღუდვა რეკომენდებულია კანონით და განპირობებულია შემდეგი ინტერესებით: ა) რესპუბლიკის უსაფრთხოება; ბ) კონსტიტუციური წყობა; გ) სახელმწიფო უსაფრთხოება; დ) სახელმწიფო წყობა; ე) საზოგადოებრივი

ჯანმრთელობა; ე) საზოგადოებრივი მორალი; ზ) კონსტიტუციის მიერ გარანტირებული თითოეული პიროვნების უფლებების და თავისუფლების დაცვა.”⁷

კონსტიტუციური ნორმებიდან, ასევე, საინტერესოა კონსტიტუციის 28(2)-ე, ე.წ. დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულება, რადგან ის სპეციფიკურად არის ჩამოყალიბებული. კერძოდ, 28 (2) მუხლის თანახმად: „ყველა ადამიანი უნდა სარგებლობდეს კონსტიტუციაში მოცემული უფლებებით და თავისუფლებებით ყოველგვარი პირდაპირი თუ არაპირდაპირი დისკრიმინაციის გარეშე, რომელიც მიმართული იქნება რომელიმე პიროვნების მიმართ და გამოწვეული ამა თუ იმ თემის წევრობით, მისი რასობრივი წარმოშობის, რელიგიის, ენის, სქესის, პოლიტიკური ან სხვა რწმენის, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, დაბადების, კანის ფერის, ქონების, სოციალური კუთვნილების ან რაიმე სხვა საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონსტიტუციაში მოცემულზე რაიმე დათქმაა აღნიშნული“. აღნიშნული მუხლის ინტერპრეტაცია რომ მოვახდინოთ, გამოდის, რომ დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმა გარკვეულწილად მოიცავს საკმაოდ ბუნდოვან, ვრცელ ჩანაწერს, რომელიც თავად შეიძლება გახდეს დისკრიმინაციის საფუძველი. შეიძლება ითქვას, რომ დიდი ალბათობით, ეს ნორმა (თუკი სასამართლოს მიერ მისი ანტიდისკრიმინაციული კონკრეტიზაცია არ მოხდა, რაც რთული იქნება) ვერ დააკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს სტანდარტს განსხვავებული მოპყრობის გამართლებასთან დაკავშირებით (გონივრული და ობიექტური გამართლების, პროპორციულობის სტანდარტები), რაც პოტენციურად საფრთხის შემცველია.

რელიგიური ორგანიზაციების სტატუსი

ინგლისის მმართველობის დროს კვიპროსზე მოქმედებდა სახელმწიფოს და რელიგიის ზომიერი გამიჯვნის სისტემა. 1960 წლის კონსტიტუციის მიღებამ ახალი ტიპის სამართლებრივი სივრცე შექმნა; ახალმა კონსტიტუციამ ზომიერი სისტემა კვიპროსის რესპუბლიკაში კოორდინაციის სისტემით ჩაანაცვლა ქრისტიანული და ყველა სხვა რელიგიებისათვის. კოორდინაციის სისტემის პირობებში: “1) ყველა რელიგია კვიპროსში უშუალოდ ახორციელებს მხოლოდ საკუთარ

⁷ Ibidem, გვ. 272.

საქმიანობას და ისინი არ ერევიან სახელმწიფო საქმეებში; 2) სახელმწიფო ცნობს ფართო დისკრეციულ უფლებას მათ სასარგებლოდ და არ აქვს უფლება, ჩაერიოს რელიგიური გაერთიანებების საშინაო საქმეებში; 3) საკითხის წარმოშობისთანავე რომელიც საერთო ინტერესებშია (როგორებიცაა: რელიგიური განათლება და საოჯახო სამართალი) სახელმწიფო და რელიგიური გაერთიანებები თანაბარ პირობებში განიხილავენ მას”.⁸

რელიგიის და რელიგიური გაერთიანებების საქმიანობის რეგულირება კვიპროსში ძირითადად კონსტიტუციის საფუძველზე ხდება.

კვიპროსის კონსტიტუციის მე-2(3)მუხლის თანახმად, „რელიგიური ჯგუფი“ არის პირთა ჯგუფი, რომელიც ჩვეულებრივ ცხოვრობს კვიპროსში, აღიარებს ერთ რომელიმე რელიგიას, ან ეკუთვნის იმავე რიტუალურ ჯგუფს, ან ექვემდებარება იმავე იურისდიქციას, კონსტიტუციის ძალაში შესვლის დროისთვის ამ ჯგუფების წევრთა რაოდენობა აღემატებოდა ათასს, საიდანაც, სულ მცირე, ხუთასი გახდა რესპუბლიკის მოქალაქე იმ [კონსტიტუციის ძალაში შესვლის] დროისთვის.⁹ რელიგიური ჯგუფების შემადგენლობაში შედიან სომხები, მარონიტები და რომის კათოლიკე ეკლესიის წევრები (დანართი „ე“ – დაფუძნების ხელშეკრულება გაერთიანებულ სამეფოს, საბერძნეთს, თურქეთსა და კვიპროსის რესპუბლიკას შორის). მათ აირჩიეს ბერძენთა საზოგადოების წევრობა და ამჟამად ცხოვრობენ ტერიტორიაზე, რომელსაც აკონტროლებს კვიპროსის რესპუბლიკა. სხვა რელიგიების და წეს-ჩვეულებების წარმომადგენლები (როგორებიცაა: იელოვას მოწმეები ან მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ძველი კალენდრით) სარგებლობენ რელიგიური თავისუფლებით, მაგრამ არ ითვლებიან „რელიგიურ ჯგუფებად“ კონსტიტუციის თვალსაზრისით.”¹⁰

„კვიპროსის კონსტიტუციას არ შეუქმნია ახალი შიდასამართლებრივი რეჟიმი სხვადასხვა რელიგიისთვის კვიპროსში.¹¹ მან ძალაში დატოვა ოსმალეთის იმპერიის კანონები თითოეული რელიგიური

⁸ აქილეს ემილიანიდესი: „სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში“, გვ. 278.

⁹ იხ. კვიპროსის კონსტიტუცია, მ. 2(3).

¹⁰ აქილეს ემილიანიდესი: „სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში“, გვ. 277.

¹¹ C.Tornaritis, "ურთიერთობები", 13. ციტირებულია: აქილეს ემილიანიდესი: „სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში“, გვ. 276.

საზოგადოების და რელიგიური ჯგუფის რელიგიური კანონის განხორციელებასთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება:

1) მათ რელიგიურ საქმეებს თუ საქმიანობას;

2) საოჯახო სამართლის ინსტიტუტებს და სათანადო რელიგიური სასამართლოების მიერ მათდამი ქვემდებარე სადავო საკითხების გადაწყვეტას. თუმცა ეს იურისდიქცია ექვემდებარება კონსტიტუციის დებულებებს. რელიგიური კანონის ნებისმიერი დებულება, რომელიც არ შეესაბამება კონსტიტუციას, არ ხორციელდება.”¹²

კონსტიტუციის 110-ე მუხლი იცავს ყველა სარწმუნოების ავტონომიას. 110(1)-ე მუხლი აღგენს და განსაზღვრავს კვიპროსში მოღვაწე ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის, ისევე როგორც ყველა რელიგიის და სარწმუნოების, ინსტიტუციურ სტატუსს. მიუხედავად იმისა, რომ კვიპროსის კონსტიტუცია მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებს ძალაუფლებას, რომელიც დამახასიათებელია სახელმწიფოსათვის (მაგ. 111(1)-ე მუხლით მინიჭებული ზოგიერთი საკანონმდებლო უფლებამოსილება საოჯახო სამართლის სფეროში), კვიპროსში მოღვაწე ყველა რელიგია, მათ შორის მართლმადიდებელი ეკლესიაც, მიჩნეულია კერძო სამართლის იურიდიულ პირად. ამ საკითხზე საყურადღებოა კვიპროსის უზენაესი სასამართლოს მიერ გამოთქმული მოსაზრება საქმეზე *ფუატ კალაღედდინი მინისტრთა საბჭოს წინააღმდეგ*.¹³ „სასამართლომ აღნიშნა, რომ ეკლესია არაა მიჩნეული რესპუბლიკის სახელმწიფო „ორგანოდ“ ან „ხელისუფლებად“ კონსტიტუციის 139-ე მუხლის თვალსაზრისით.¹⁴ ამ მუხლის თანახმად, „ორგანოები“ ან „ხელისუფლება“ ნიშნავს სპეციალურ იურიდიულ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვს მთავრობის ცალკეული და ფუნქციონირებადი ინსტიტუტების რაიმე ნიშნები და ფუნქციონირებს ისეთი იურიდიული ერთეულისთვის და ისეთი სახელით, როგორცაა კვიპროსის რესპუბლიკა”.¹⁵

110(2)-ე მუხლი აღიარებს ვაკფ-ის (1571 წლიდან მუსლიმანთა სათემო ადმინისტრირების ორგანო) ინსტიტუტებს, კანონებს და პრინციპებს

¹² აქილეს ემილიანიდესი: „სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში”, გვ. 276.

¹³ *Fuat Celaleddin and Others v The Council of Ministers and Others*, 5 R.S.C.C 102. ციტირებულია იქვე.

¹⁴ *Autocephalous, Saint, Orthodox and Apostolic Church of Cyprus v The House of Representatives*, (1990) 3 C.L.R 338. ციტირებულია იქვე.

¹⁵ აქილეს ემილიანიდესი: „სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში”, გვ.280.

იმგვარად, როგორც ხელსაყრელია მუსლიმური რელიგიისთვის.¹⁶

განხილულიდან ჩანს, რომ მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგია და ისლამი კვიპროსში განსაკუთრებული ისტორიული და საკანონმდებლო მდგომარეობით სარგებლობს, ამის მიუხედავად, ორი რელიგიისადმი ეს განსაკუთრებული დამოკიდებულება არ ნიშნავს მათთვის სპეციალური სტატუსის მინიჭებას სხვა რელიგიების ხარჯზე.

კვიპროსის რესპუბლიკაში არც ერთი რელიგია/კონფესია ოფიციალურ რელიგიად არ არის მიჩნეული, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საკანონმდებლო დონეზე ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო ან უპირატესი რელიგია/სახალხო ეკლესია. სახელმწიფო „არაკონფესიურია“. „სახელმწიფო მოხელეები პოსტის მიღების დროს არ დებენ ფიცს. ისინი მხოლოდ გამოხატავენ პატივისცემას და ადასტურებენ თავიანთ ლოიალობას ქვეყნის კანონმდებლობისა და კვიპროსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, კონსტიტუციის 42(1)-ე, 59(4)-ე, 69-ე და მე-100 მუხლების შესაბამისად.“¹⁷

კვიპროსის რესპუბლიკის კანონმდებლობა არ უწესებს რელიგიურ ორგანიზაციებს რეგისტრაციის მოთხოვნას. რეგისტრაცია მოეთხოვებათ მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომელთაც სურთ, ფინანსურ ტრანზაქციებში მიიღონ მონაწილეობა.

მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა

კვიპროსი ევროკავშირის ერთ-ერთი ყველაზე რელიგიური სახელმწიფოა, ხოლო კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესია ერთ-ერთი უძველესი სამოციქულო ეკლესიაა აღმოსავლეთში. პირველ მსოფლიო კრებაში უკვე სამი კვიპროსელი ეპისკოპოსი მონაწილეობდა: კირილე პიაფელი, გელასი სალამიელი და წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელი. ეკლესიის დაარსების თარიღად მიჩნეულია ახ.წ. 47 წელი, დამაარსებლად - წმინდა მოციქული ბარნაბა. მას უკავია მე-10 ადგილი მართლმადიდებელი ეკლესიების

¹⁶K. Dizdar, "კვიპროსის Evkaf-ის წარმოშობა და ადმინისტრაცია. ციტირებულია აქილეს ემილიანიდესი: „სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში“, გვ 277.

¹⁷Ibid. გვ. 278.

დიპტიქში. 431 წლიდან კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალურია.

2006 წლიდან ეკლესიას მეთაურობს მისი უნეტარესობა ქრიზოსტომოს II, უნეტარესი მთავარეპისკოპოსი ახლისა იუსტინიანესი და სრულიად კვიპროსისა. საკათედრო ტაძარინი ქოზიაში წმ. მოციქულ და მახარებელ იოანე ღმრთისმეტყველის სახელობისაა.

კვიპროსში ხუთასზე მეტი ეკლესია და 9 მონასტერია. ეკლესია ძალიან დიდ როლს თამაშობს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

მართლმადიდებელი მონასტრების უმრავლესობას იუნესკო იცავს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია კიკოსი, რომელიც ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატით არის ცნობილი.

კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიის გამორჩეული წმიდანები არიან: მართალი ღაზარე, რომელიც კუნძულზე მოღვაწეობდა, ეპისკოპოსი იყო და იქვე აღესრულა აღდგინებიდან 30 წლის შემდგომ; სპირიდონ ტრიმიფუნტელი, ნიკეის I მსოფლიო კრების მონაწილე და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მღვდელმთავარი.

კვიპროსის ეკლესია დიდ როლს თამაშობს განათლების სისტემაში, სკოლებში, სადაც საერო საგნებთან ერთად, საეკლესიო დისციპლინებიც ისწავლება, რეგულარულად მიაგვლენენ სასულიერო პირებს. ეკლესია ფლობს რამდენიმე საგანმანათლებლო და საქველმოქმედო დაწესებულებას, ყოველთვიურად აქვეყნებს საეკლესიო-სასულიერო მიმოხილვას და გამოსცემს ჟურნალ-გაზეთებს.

კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესია, ასევე ეწევა მნიშვნელოვან საქველმოქმედო და სოციალურ საქმიანობას: ინახავს ობოლთა თავშესაფრებს, სტუდენტურ სასადილოებს, საბავშვო ბაღებს, საქველმოქმედო საძმოებს; მონაწილეობს ქვეყნის ისტორიისა და კულტურის შესწავლაში, მრავალ აქეოლოგიურ გათხრაში და სიძველეების მოძიებაში, რითაც მოფენილია კუნძული; ფლობს ბიზანტიური ხატების უმდიდრეს მუზეუმს და ჯერ კიდევ 1826 წელს

დაარსებულ საეპისკოპოსო ბიბლიოთეკას, სადაც 50 000 წიგნი ინახება.

დღეისათვის მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა და ორგანიზაცია ქვეყანაში განისაზღვრება 2010 წელს მიღებული ახალი წესდებით. მანამდე ძალაში იყო 1980 წლის წესდება. 1980 წლამდე კი, ეკლესია ფუნქციონირებდა 1914 წლის წესდების საფუძველზე, რომელიც ბრიტანულ და ოსმალურ იმპერიებს შორის კომპრომისით განპირობებულ მშვიდობიან სივრცეში ბრიტანეთის ხელისუფლების მხრიდან ყოველგვარი ჩარევის გარეშე თავად მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეიმუშავა და აამოქმედა. ოსმალეთის სამსაუკუნოვანი მმართველობიდან მოყოლებული, მართლმადიდებელ ეკლესიას ორმაგი როლი ეკისრებოდა. ის ერთდროულად იყო „რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებდა ღვთისმსახურებას კუნძულის მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის” და ბერძნების ეროვნული, საერთო-სახალხო ანტი-დამპყრობლური პოლიტიკური კოალიციის ლოკომოტივიც.¹⁸

1914 წლის წესდება ძალაში იყო 66 წელი, 1980 წლის წესდების ამოქმედებამდე. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე კვიპროსის ეკლესია დაფუძნდა როგორც იურიდიული პირი (მუხლი 94-ე), თუმცა არსად არ იქნა მითითებული ამ სტატუსის შინაარსი. ექსპერტთა აზრით, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ეკლესია საკუთარ თავს კერძო სამართლის იურიდიულ პირად თვლიდა. 1914 წლის „წესდებას არასოდეს ენიჭებოდა სახელმწიფო უფლებამოსილება და ეკლესიაზე არ ხორციელდებოდა სახელმწიფოს მხრიდან კონტროლი, რაც აუცილებლად მოხდებოდა, თუ ეკლესია იქნებოდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ეკლესიის მიერ გამოცემულ საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ხასიათის აქტებს, საეკლესიო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, ქორწინებას, რომლებიც გაფორმებული იყო საეკლესიო ცერემონიის მეშვეობით, აღიარებდა სახელმწიფო (ბრიტანული) ადმინისტრაცია”.¹⁹

¹⁸ibid. გვ. 269.

¹⁹ibid. გვ. 270.

1960 წლის კონსტიტუციის 110(1)-ე მუხლის თანახმად, კვიპროსის ბერძნული ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია ინარჩუნებს თავისი საშინაო საქმეების და საკუთრების რეგულირების და ადმინისტრირების უფლებას „წმინდა კანონების და მისი წესდების შესაბამისად, რომლებიც იმ დროისთვის ძალაშია“.

აღნიშნული მუხლი უნდა გავიგოთ შემდეგნაირად: „თუ ახალი წესდება შეიცავს დებულებებს საკითხებზე, რომლებიც არ იყო შეტანილი 1914 წლის წესდებაში იმ პერიოდისთვის, როდესაც ძალაში შევიდა კონსტიტუცია, მაშინ ეს საკითხები არ იქნება გარანტირებული კონსტიტუციის მიერ“.²⁰

„111(1)-ე მუხლი აღიარებს, რომ კვიპროსის ეკლესიას, ისევე, როგორც სხვა ეკლესიებს, აქვს საკანონმდებლო უფლებამოსილება. იგი აღგენს, რომ „კვიპროსის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის წევრების ზოგი მატრიმონიალური ინსტიტუტები“ უნდა იმართებოდეს ამ ეკლესიის ან მსგავსი რელიგიური ჯგუფის ეკლესიის კანონმდებლობით. მე-18 და 110-ე მუხლები აღიარებს იმ რელიგიურ კანონებს, რომლებიც მართავს რელიგიურ და სარწმუნოებრივ შიდა საქმეებს.“²¹

როგორც ზემოთ მივუთითეთ, კვიპროსის ეკლესიის შემდეგი წესდება ძალაში შევიდა 1980 წლის 1 იანვარს. იგი შედგება 355 მუხლისგან, რომლებიც დაყოფილია 9 თავად. მისი ძირითადი მახასიათებლებია: 1) ეკლესიის ადმინისტრირების სინოდური სისტემის გაძლიერება; 2) საერო წარმომადგენლების საკმაო რაოდენობის მონაწილეობა საეკლესიო ადმინისტრირებაში და მიტროპოლიტების და არქიეპისკოპოსების არჩევაში; 3) მამაკაცების და ქალების თანასწორობა საეკლესიო ორგანიზაციების ადმინისტრირების განხრით და არჩევითი ასამბლეები – თუმცა ეს საკითხები მთლიანად არ განეკუთვნება საოჯახო სამართლის საქმეების სფეროს; 4) საეკლესიო მსახურების და ეკლესიაში მომსახურე სხვა პირების ფინანსური ანაზღაურება; 5) ფინანსური მენეჯმენტის დეტალური აუდიტი“.²²

²⁰ Ibid. გვ. 275.

²¹ Ibid. გვ. 275.

²² C. Papastathis, ადმინისტრაციულ ორგანიზაციაზე, 58ff. ციტირებულია: ibid. p.5-6.

კვიპროსის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დადგენილი წესით, კვიპროსის ეკლესიის წევრი შეიძლება იყოს:

„ა) ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ კუნძულზე, მიუხედავად მოქალაქეობისა და სქესისა;

ბ) კვიპროსული წარმოშობის მქონე პირი, რომელიც მონათლა კვიპროსში, მაგრამ ცხოვრობს საზღვარგარეთ.“²³

ექსპერტთა აზრით, ეს უკანასკნელი დებულება მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა, ²⁴ რადგან „ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიების თვალსაზრისით (მსოფლიო საპატრიარქო, ალექსანდრიის და იერუსალიმის საპატრიარქოები და კვიპროსის და საბერძნეთის მიტროპოლიები), დიდი დიასპორა ექვემდებარება კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს. ამის მიუხედავად, კვიპროსის ეკლესიამ არ დააფუძნა ეპარქიები საზღვარგარეთ, რის შედეგადაც კვიპროსელები, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ, რელიგიურ მსახურებას მსოფლიო საპატრიარქოს დაქვემდებარებულ ეკლესიებში ესწრებიან. მართლმადიდებელი ქრისტიანის სტატუსის ჩამორთმევა ხდება სიკვდილის, ეკლესიისგან განკვეთის ან ეკლესიიდან ნებაყოფლობით გამოსვლის შემთხვევაში“.²⁵

საერო პირების ჩართულობის თვალსაზრისით კვიპროსის ეკლესიას მოწინავე პოზიციები აქვს მთელ მართლმადიდებელ სამყაროში. საერო პირები აქ მონაწილეობენ იღებენ შემდეგ საქმიანობაში:

„ა) არქიებისკოპოსის და მიტროპოლიტების არჩევა (62-63 მუხლები);

ბ) ეკლესიის ქონების მართვის ცენტრალურ ინსტიტუტებში მუშაობა (127-ე, 131-ე მუხლები);

გ) ეკლესიის ადმინისტრაციის ადგილობრივ ინსტიტუტებში მუშაობა (75-ე, 146-ე, 161-ე, 178-ე მუხლები);

დ) ფილანთროპული და სხვა საქველმოქმედო საეკლესიო ფონდების ადმინისტრირება (188-ე მუხლი);

ე) საოჯახო სამართლის საეკლესიო სასამართლოებში საქმიანობა (242-ე, 250-ე მუხლები).

²³ აქილეს ემილიანიდესი: „სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში“, გვ 289.

²⁴ C. Papastathis, ადმინისტრაციულ ორგანიზაციაზე, 66. ციტირებულია იქვე: აქილეს ემილიანიდესი: „სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში“.

²⁵ აქილეს ემილიანიდესი: „სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში“, გვ 290.

თუკი საერო პირი ჩაიდენს საეკლესიო დანაშაულს, მას, გამომდინარე დანაშაულის სიმძიმიდან, შეიძლება დაეკისროს საეკლესიო სასჯელი ეპისკოპოსის ან წმიდა სინოდის მიერ.”²⁶

2010 წლის 13 სექტემბერს კვიპროსის ბერძნულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ დაამტკიცა ახალი, რიგით მესამე წესდება, რომელმაც მთელი რიგი სიახლეები შემოიტანა. დოკუმენტის მიხედვით, ახალი კანონიკური წესდების მთავარი მიზანია: “უპასუხოს თანამედროვე ეპოქის გამოწვევებს და აღმოფხვრას წინა წესდების ხარვეზები”, ისევე, როგორც განამტკიცოს ეკლესიის უკვე არსებული ავტოკეფალური და ავტონომიური სტატუსი კვიპროსის სამართლებრივ სივრცეში.²⁷

წესდებამ გაითვალისწინა ცვლილებები ეკლესიის ადმინისტრაციული ორგანიზაციის წესში. კერძოდ, შეიქმნა 13 ახალი ეპარქია. კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის შემადგენლობა 17 სასულიერო იერარქით (არქიეპისკოპოსი და 16 მიტროპოლიტი) განისაზღვრა, რამაც აღმოფხვრა გადაწყვეტილების მიღების პროცესის მანამდე არსებული, დამაბრკოლებელი ხარვეზი: იერარქების ნაკლებობის გამო (1980 წლის წესდების მე-11 მუხლის თანახმად, კვორუმს შეადგენდა სინოდის წევრთა ნახევარი, თავმჯდომარის – არქიეპისკოპოსის ჩათვლით) კვიპროსის ეკლესია ხშირად იძულებული ხდებოდა, ერთმორწმუნე ეკლესიებისათვის ეთხოვა სასულიერო პირების (პრელატების) დელეგირება სინოდის სხდომებში მონაწილეობის მისაღებად.²⁸

წესდებით, ასევე შეიცვალა არქიეპისკოპოსისა და მიტროპოლიტების არჩევის წესი. ხალხს მიენიჭა უფლება, დაასახელოს ნებისმიერი სასულიერო პირის კანდიდატურა, რომელიც აკმაყოფილებს უმაღლესი სასულიერო პირისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. სამი კანდიდატიდან ერთ-ერთს სინოდი აირჩევს ფარული კენჭისყრით. თანამდებობაზე გამწესდება პირი, რომელიც ხმათა უმრავლესობას დააგროვებს.²⁹

²⁶ აქილეს ემილიანიდესი: „სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში“, გვ 292.

²⁷ იხ. <http://www.sedmitza.ru/text/1480018.html>.

²⁸ Ibid.

²⁹ Ibid.

ახალი წესდებით, მოწესრიგდა საეკლესიო იურისდიქციის საკითხებიც ოკუპირებული ტერიტორიისათვის. ქნიქოზის გარეუბანში მდებარე 4 სამრევლო დროებით გადაეცა კირენიის მიტროპოლიას (თურქეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორია).³⁰

აგრეთვე, დაარსდა ახალი საეკლესიო სასამართლო და განისაზღვრა ბრალდებულის უფლება ადვოკატზე. ასევე, განისაზღვრა ეპისკოპოსის უფლება, აპელაციით მიმართოს კონსტანტინეპოლის პატრიარქს სასულიერო წოდების ჩამორთმევის და კანონიკური წესებით განსაზღვრულ მსგავს შემთხვევებში.³¹

მოწესრიგდა ფინანსური საკითხები. შეიქმნა ერთიანი საფინანსო-სახელფასო ფონდი საარქიეპისკოპოსოს, მიტროპოლიების, ტაძრებისა და მონასტრებისმომსახურე მღვდლებისთვის.³²

საქორწინო და საოჯახო სამართალი

კონსტიტუციის 111-ე მუხლი ეხება ქრისტიანული აღმსარებლობის სასამართლოებს. პრაქტიკაში, ეს არის რეალობა, სადაც: „მართლმადიდებელ, მარონიტების, ლათინურ და სომხურ ეკლესიებს – ყველას აქვს საეკლესიო სასამართლო.“³³

„მართლმადიდებელი ეკლესიის 1980 წლის წესდება დეტალურად მიუთითებდა საოჯახო სამართლის ინსტიტუტებზე, რომლებიც ექცევა საეკლესიო სასამართლოების იურისდიქციაში, სახელდობრ, ნიშნობა, ქორწინება, განქორწინება და შეილად აყვანა (მუხლები 236-335-ე).“³⁴

1989-90 წლებამდე ბერძენთა საზოგადოების წევრებისათვის მხოლოდ რელიგიური ქორწინება იყო დადგენილი და სასამართლოსთვის მისაღები ფორმა. ჯერ კიდევ 1977 წელს კვიპროსის უმაღლესმა სასამართლომ გამოაცხადა, რომ: „სამოქალაქო ქორწინება მართლმადიდებლებს შორის ითვლებოდა ბათილად, სადაც უნდა ყოფილიყო იგი გაფორმებული,³⁵ რადგან კონსტიტუციის 111-ე მუხლი

³⁰ Ibid.

³¹ Ibid.

³² სტავროპიგიალური მონასტრები ექვემდებარებიან პატრიარქს და არა ეპარქიის ეპისკოპოსს.

³³ Ibid. გვ. 284.

³⁴ Ibid. გვ. 285.

³⁵ Metaxa v Mita (1977) 1 C.L.R 1.

ადგენდა, რომ „ბერძნულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ან სხვა რელიგიურ ჯგუფთან დაკავშირებული ნებისმიერი აქტი, ნიშნობა, ქორწინება, განქორწინება, ქორწინების გაუქმება, იურიდიული განქორწინება ან ურთიერთობის აღდგენა თუ საოჯახო ურთიერთობა, თანხვედრაში უნდა იყოს კვიპროსის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის ან ამა თუ იმ რელიგიური ჯგუფის კანონთან, როგორც ამას მოითხოვს ვითარება და უნდა იქნეს აღიარებული შესაბამისი ეკლესიის უმაღლესი სასამართლო ორგანოს მიერ.”

დროთა განმავლობაში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სტანდარტების გავლენით, განხორციელდა კონსტიტუციის პირველი შესწორება(კანონი 95/1989), რომლის დროსაც ჩასწორდა 111-ე მუხლი 95/1989.

კანონის - 21/1990 - შედეგად, რომელმაც დაადგინა ორმაგი - სამოქალაქო და რელიგიური ქორწინება, დღეისათვის ბერძენთა საზოგადოების წევრებს შეუძლიათ აირჩიონ ქორწინების გაფორმება სამოქალაქო წესით.³⁶

კვიპროსის ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის 2010 წლის 13 სექტემბრის ახალი კანონიკური წესდებით, ახლებურად მოწესრიგდა საოჯახო-სამართლებრივი საკითხებიც. სახელდობრ, ახალი წესდება აღიარებს ქორწინების სახელმწიფო ინსტიტუტს და მომავალ მეუღლეთა შორის დასაშვებ მაქსიმალურ ასაკობრივ ზღვრად 25 წელს ადგენს. რაც შეეხება განქორწინებას, საერო კანონმდებლობის მსგავსად, წესდებაში განქორწინების საფუძვლებს ოთხი წლის განმავლობაში მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრება დაემატა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესია დღემდე არ აღიარებს სახელმწიფოს უფლებას ეკლესიის მიერ შესრულებული ქორწინების საიდუმლოების გაუქმებაზე.³⁷

რელიგიური სწავლება

კვიპროსში დაწყებითი და საშუალო განათლების საფეხურებზე მართლმადიდებელი მოწაფეები ვალდებული არიან, გაიარონ

³⁶ Ibid.გვ. 285.

³⁷ [ib.http://www.sedmitza.ru/text/1480018.html](http://www.sedmitza.ru/text/1480018.html).

რელიგიური სწავლების კურსი, რომელსაც დაწყებით სკოლებში – სკოლის მასწავლებლები, ხოლო საშუალო სკოლებში საუნივერსიტეტო საღვთისმეტყველო მიმართულების პროფესიის პირები ასწავლიან. „არსებობს აგრეთვე დაწყებითი და საშუალო საგანმანათლებლო ინსტიტუტები სომეხი მოსწავლეებისთვის, მართლმადიდებელ ეკლესიასთან და სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთან კი მოქმედებს საკვირაო სკოლები“.³⁸ რაც შეეხება საუნივერსიტეტო საფეხურს, თეოლოგიით დაინტერესებული ახალგაზრები საზღვარგარეთ (საბერძნეთში) მიემგზავრებიან განათლების გასაგრძელებლად, რადგან კვიპროსში არ არის საღვთისმეტყველო სკოლა.

რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება

სახელმწიფო არ აფინანსებს რელიგიურ ორგანიზაციებს. კვიპროსის რესპუბლიკაში, ასევე, არ მოქმედებს რაიმე დაწესებული გადასახადი რელიგიური გაერთიანებებისთვის, თუმცა ყველა რელიგიური ინსტიტუტზე ვრცელდება საგადასახადო შეღავათები (კანონის 118 (1)/2002, მუხლი მე-8(13)), „ხოლო ყველა სამშენებლო მასალა, მოწყობილობა და ავეჯი ეკლესიებისა და მეჩეთებისთვის, ასევე, ყველა სახის სამოსი და სხვა ნივთები, რომლებიც რელიგიური მიზნებითაა იმპორტირებული საეკლესიო და რელიგიურ ხელისუფალთა მიერ, ექვემდებარება შეღავათებს საიმპორტო გადასახადსა და სააქციზო გადასახადზე.“³⁹

კონსტიტუციის 108(1)-ე მუხლის შესაბამისად, ბერძნული და თურქული თემები სარგებლობენ დამატებითი უფლებით, მიიღონ სახელმწიფო სუბსიდიები საბერძნეთის და თურქეთის მთავრობებისგან საგანმანათლებლო, კულტურის, სპორტული და საქველმოქმედო ინსტიტუციებისათვის, რომლებიც ბერძნულ და თურქულ თემებს მიეკუთვნებიან.⁴⁰

„კვიპროსის რესპუბლიკასა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის არსებული შეთანხმების შესაბამისად, ეკლესიამ მთელი უძრავი

³⁸ Ibid. გვ. 280.

³⁹ აქილეს ემილიანიდესი: „სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში“, გვ 287.

⁴⁰ იხ. კვიპროსის კონსტიტუციის 108 (1) მუხლი.

ქონება გადასცა რესპუბლიკას, რომელიც ამის სანაცვლოდ უხდის სტიპენდიებს სამრევლოების საეკლესიო მსახურებს. მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ეს ხელშეკრულება აგრეთვე უნდა მოიცავდეს იმ სამი რელიგიური ჯგუფის საეკლესიო მომსახურეებს, რომლებიც აღიარებულია კონსტიტუციის მიხედვით (მარონიტები, სომხები და რომის კათოლიკეები).⁴¹

⁴¹აქილეს ემილიანიდესი: „სახელმწიფო და ეკლესია კვიპროსში“, გვ. 287.

ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, პოლონეთი

გამოცემის წინამდებარე ნაწილის მიზანია სახელმწიფოსა და ეკლესიის/რელიგიური გაერთიანებების ურთიერთობის მოდელების მოკლე მიმოხილვა ყოფილი საბჭოეთის იმ ქვეყნებში, რომლებიც ამჟამად ევროპის კავშირის წევრები არიან და, ასევე, პოლონეთში რომელიც სოციალისტური ბანაკისა და ვარშავის პაქტის წევრი ქვეყანა იყო. აქ მართლმადიდებელი ეკლესია და თემი მნიშვნელოვნადაა წარმოდგენილი, თუმცა იგი არ არის ოფიციალური ან უმრავლესობის რელიგია და ამდენად, საყურადღებოა მისი, როგორც უმცირესობის რელიგიის, ადგილი ამ ქვეყნებში.

2004-2007 წლებში ევროპის კავშირის გაფართოების მორიგმა ტალღამ მნიშვნელოვნად შეცვალა ამ გაერთიანების რელიგიური შემადგენლობა. რუმინეთის, ბულგარეთის, ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის გაწევრიანებით ევროპის კავშირმა შეიძინა საკმაოდ მრავალრიცხოვანი მართლმადიდებელი თემი. კავშირის განვითარებისთვის დამატებით გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ 1940-იანი წლებიდან 1989-91 წლებამდე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის, ასევე ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში ადამიანის უფლებები, რელიგიის თავისუფლების ჩათვლით, სისტემატურად ირღვეოდა, უგულებელყოფილი იყო, ან აღიქმებოდა შერჩევით, რეჟიმისადმი ერთგულების პრინციპით, სახელმწიფოს მიერ გამოჩენილი კეთილი ნება.⁴²

ამასთან, საყურადღებოა, რომ განსხვავებით დასავლეთ ევროპისაგან, სადაც ეკლესიების და სახელმწიფოების ურთიერთობის განვითარებამ სეკულარული ტენდენციები გამოკვეთა და გააძლიერა, კომუნიზმით თავსმოხვეული ათეიზმის

⁴²Lavinia Stan: "Church-State Relations in the Expanded Europe: Between Religious Pluralism and Church Establishment", Paper prepared for the "South East and Eastern European Countries EU Accession Quandary" conference, University of Victoria, British Columbia, 16-17 January 2009; ხელმისაწვდომია ბმულზე: www.academia.edu.

ათწლეულებმა უკუპროცესი გამოიწვია და, დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად, არაერთ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში დაბრუნდა, ზოგ შემთხვევაში გაძლიერდა კიდევ რელიგიის როლი და ეკლესიის გავლენა (მაგ. პოლონეთი)⁴³

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა ევროკავშირის ამ ახალი წევრი სახელმწიფოებიდან არც ერთში არ არის დარეგულირებული ერთიანი დოკუმენტით. ამგვარი პრაქტიკა დასავლეთ ევროპის ე.წ. „ძველი დემოკრატიის“ ქვეყნებისთვისაც უცხოა, რაკილა იქ ეს ურთიერთობა ეტაპობრივად, ჯგუფებს შორის კომპრომისის ხარჯზე ყალიბდებოდა.

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მოდელის განსაზღვრა ხშირად ხდება რელიგიასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს მიხედვით (აქ შედის რელიგიის თავისუფლების ზოგადი სტატუსი, რელიგიურ კონფესიათა რეგისტრაციის საკითხები და სახელმწიფოსთან მათი ურთიერთობის საფეხურობრივი სისტემა) და ასევე ქვეყნებში არსებული იმ სახელმწიფო ინსტიტუციების მიხედვით (მანდატი, სახელმწიფო დაფინანსების განაწილება, რელიგიური სწავლება), რომელთა კომპეტენციაშიც მოიაზრება რელიგიურ საკითხებზე პოლიტიკის განხორციელება.

საკანონმდებლო ჩარჩო

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიის ქვეყნების აბსოლუტურმა უმრავლესობამ მალევე მიიღო ახალი კონსტიტუციები: ბულგარეთმა, რუმინეთმა, სლოვენიამ 1991 წელს, ჩეხეთმა, სლოვაკეთმა, ესტონეთმა და ლიტვამ - 1992 წელს. ლატვიამ აღადგინა 1922 წლის კონსტიტუცია, რომელსაც 1998 წელს დაემატა თავი ადამიანის უფლებების შესახებ. გამონაკლისი იყო უნგრეთი (აქ კონსტიტუციაში შესწორებები 1989 წელს

⁴³ პოლონეთში, 1997 წლის (კონსტიტუციის მიღების თარიღი) მონაცემებით, 90.8% კათოლიკე, 1.44% მართლმადიდებელი, 6.7%-მდე კონფესიის გარეშე და დანარჩენი სხვა მცირერიცხოვანი კონფესიების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. 1990-იან წლებში კი დაახლოებით 80% ამჟღავნებდა რელიგიურობას. იხ. Piotr Mazurkiewicz: „Autonomy of the Church and Freedom of Religion in Poland”.

შევიდა, სსრკ-ის დაშლამდე) და პოლონეთი, სადაც მხოლოდ 1997 წელს მოხერხდა კონსტიტუციის ტექსტის მიღება.

ბალტიის სამივე ქვეყანამ (ლატვია, ლიტვა, ესტონეთი) რელიგიური საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები 1993-1995 წლებში მიიღო, რაც პირველ რიგში, მოტივირებული იყო რუსულენოვან უმცირესობებთან ურთიერთობის დარეგულირების სურვილით. განსხვავებული მდგომარეობაა პოლონეთში, რომელიც ერთადერთი ქვეყანაა, სადაც რელიგიური საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმები ახალი კონსტიტუციის (1997წ.) ძალაში შესვლამდე ამოქმედდა.

რელიგიის თავისუფლების სტატუსი

ბალტიისპირეთის სამივე ქვეყნის და პოლონეთის კონსტიტუციები რელიგიის, ასევე, აზრის, სინდისისა და მრწამსის თავისუფლების, ისევე, როგორც კონფესიათა/რელიგიურ ორგანიზაციათა შორის თანასწორობის დეკლარირებას ახდენს, თუმცა განსხვავებულია რწმენის როლისა და სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ამსახველი დებულებები. ამ მხრივ საყურადღებოა თითოეული ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისი დებულება, კერძოდ კი: ესტონეთის კონსტიტუციის (1992წ.) მე-40 მუხლი; ლატვიის კონსტიტუციის (1992/1993წწ.) 99-ე მუხლი; ლიტვის კონსტიტუციის (1992წ.) 26-ე მუხლი და პოლონეთის კონსტიტუციის (1997წ.) 25-ე მუხლი. მათი შედარებითი ანალიზისას ზოგიერთი მკვლევარი ასკვნის, რომ პოლონეთი და ესტონეთი, შესაძლებელია, ორ უკიდურეს წერტილად მივიჩნიოთ, რაკიდა პოლონეთის კონსტიტუციის პრეამბულაში პირდაპირ არის ნახსენები ღმერთი: „ვისაც სწამს ღმერთის - როგორც ჭეშმარიტების, სამართლიანობის, სიკეთისა და სათნოების წყაროსი, ასევე, ისინი, რომლებიც არ იზიარებენ ამ რწმენას და უნივერსალური ღირებულებების წყაროდ მიიჩნევენ სხვა რამეს...“ თანაბრად არიან დაცულნი კანონით. კონსტიტუციის 25-ე მუხლის თანახმად, აღიარებულია რელიგიური გაერთიანებების ავტონომიურობა სახელმწიფოსგან და ურთიერთდამოუკიდებლობა. კათოლიკურ ეკლესიასთან ურთიერთობა მოწესრიგებულია „წმინდა საყდართან

დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით და კანონებით” (მ.25(4)).

განსხვავებით პოლონეთისგან, ესტონეთის ძირითადი კანონის მე-40 მუხლის თანახმად: „ეკლესიისა და რელიგიური საზოგადოებების მიმართ კუთვნილება თავისუფალია. არ არის სახელმწიფო ეკლესია. ..” ესტონეთის კონსტიტუციის მე-12 მუხლში ხაზგასმულია თანასწორობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე. მე-12 მუხლის მე-2 პარაგრაფი კი კრძალავს დისკრიმინაციას, კერძოდ კი, რწმენის საფუძველზე დისკრიმინაციას. შეიძლება ითქვას, რომ ესტონეთი განხილულ სახელმწიფოთა შორის „ყველაზე მეტად სეკულარულია”.

ლიტვის კონსტიტუციის მიდგომაც მსგავსი, თუმცა უფრო რბილია. კონსტიტუციის 43-ე მუხლი უზრუნველყოფს რელიგიური ორგანიზაციების თავისუფლად საქმიანობის უფლებას თავიანთი კანონებისა და წესდების შესაბამისად და აცხადებს, რომ ლიტვის რესპუბლიკაში არ არსებობს სახელმწიფო რელიგია (მ.43).⁴⁴

ლატვია უფრო შუალედური მიდგომის მომხრედ შეიძლება მივიჩნიოთ, რაკილა ლატვიის კონსტიტუცია სახელმწიფოს და ეკლესიის მხოლოდ გამიჯვნით შემოიფარგლება და არაფერია ნათქვამი რელიგიურ გაერთიანებებთან ურთიერთობის მოწესრიგების მექანიზმებზე და ა.შ. (მ. 99). თუმცა პრაქტიკა სახელმწიფოს ეკლესიებთან ურთიერთობის ფორმებს კონსტიტუციური ნორმების მიღმა პოულობს. ამ მხრივ საყურადღებოა ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება, რომელიც განმარტავს ლიტვის კონსტიტუციის ჩანაწერს.⁴⁵ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშ-

⁴⁴ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუცია./Valstybės žinios, 1992, No. 33-1014.

⁴⁵ლიტვის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ლიტვის რესპუბლიკის განათლების კანონის მუხლი 1-ლი(5), მუხლი მე-10(3 და 4), მუხლი მე-15(1), მუხლი მე-20, მუხლი 21-ე(2), მუხლი 32-ე(2), მუხლი 34-ე(2, 3 და 4), მუხლი 35-ე(2 და 5), მუხლი 37-ე(2), და მუხლი 38(2 და 3)-ის ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე.13 ივნისი, 2000./Valstybės žinios, 2000, No. 49-1424. ციტირებულია: იოლანტა კუზნეკოვიენე, „სახელმწიფო და ეკლესია ლიტვაში”

ნული ჩანაწერი [„ლიტვის რესპუბლიკაში არარსებობს სახელმწიფო რელიგია“] გულისხმობს „სახელმწიფოსა და ეკლესიის ნეიტრალიტეტსა და დამოუკიდებლობას. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთდამოუკიდებლობა დაფუძნებულია ორ ძირითად პრინციპზე. პირველი – სახელმწიფო საქმიანობა ემყარება საერო (არასაეკლესიო) პრინციპებს და მეორე – სახელმწიფოს და ეკლესიის ფუნქციონირების და საქმიანობის შიდა არეალი შეუზღუდავია. ამგვარად, სახელმწიფოს და ეკლესიის ერთმანეთისგან გამიჯვნა (დამოუკიდებლობა) გულისხმობს, რომ პირველი: ეკლესია და რელიგიური ორგანიზაცია არ ერევა სახელმწიფოს საქმიანობაში და არ აწარმოებს სახელმწიფო პოლიტიკას და მეორე: სახელმწიფო არ ერევა იმ ეკლესიების შიდა საქმეებში, რომლებიც საქმიანობენ თავიანთი საკუთარი კანონების და წესდების შესაბამისად. თუმცა სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთმანეთისგან გამიჯვნა არ გულისხმობს, რომ მათ საერთო არაფერი აქვთ. ტერმინი „გამიჯვნა“ უფრო ხაზს უსვამს როგორც სახელმწიფოს, ასევე ეკლესიის მნიშვნელობას ლიტვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვიდრე გულისხმობს, რომ მათ შორის კონტაქტი არ არსებობს. სახელმწიფო და მისი ინსტიტუტები ნეიტრალურია სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და რელიგიის მიმართ. ნეიტრალიტეტი იძლევა სხვადასხვა რელიგიური მსოფლმხედველობის მიმართ ტოლერანტობის და მორწმუნეთა დისკრიმინაციისაგან დაცვის გარანტიას.“⁴⁶.

რელიგიური გაერთიანებების საქმიანობა და სახელმწიფოსთან ურთიერთობა

კონსტიტუციური დებულებები სახელმწიფოსთან რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთობის მხოლოდ ძალზე ზოგადი გზამკვლევაა. სახელმწიფოსა და ეკლესიის თანამშრომლობის სისტემა ხომ მხოლოდ კონსტიტუციური კანონებით არ

(გერჰარდ რობერსი (რედ.) „სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის ქვეყნებში“). გვ. 325-349.

⁴⁶ იოლანტა კუზნეკოვიენე „სახელმწიფო და ეკლესია ლიტვაში“, გვ. 331. (გერჰარდ რობერსი (რედ.) „სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის ქვეყნებში“, თბილისი, 2011წ.)

შემოიფარგლება და აქ უნდა მოვიაზროთ მთელი რიგი ნორმები, მექანიზმები და პრაქტიკა, რაც საბოლოო ჯამში, რელიგიურ ჯგუფებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას განსაზღვრავს. კონსტიტუციური დებულებების მიღმა, კანონმდებლობის ანალიზი აჩვენებს, რომ რელიგიურ გაერთიანებებს შორის დეკლარირებული თანასწორობის პარალელურად, პოსტსოციალისტური ქვეყნების უმრავლესობამ დააწესა მნიშვნელოვანი განსხვავება რელიგიურ ჯგუფებს შორის. ევროკავშირში ახლადგაწევრიანებულ ყველა ამ სახელმწიფოში დვთისმსახურება და რელიგიური წესის შესრულება შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ ჯგუფის აღიარების გარეშეც, თუმცა სახელმწიფო რეგისტრაციის გავლა მათთვის სერიოზული უპირატესობის მინიჭების წინაპირობაა და, პირიქით, ასეთი რეგისტრაციის უქონლობა მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ბარიერია მთელი რიგი აქტივობის განსახორციელებლად. მაგალითად, სახელმწიფო არ აღიარებს არარეგისტრირებული რელიგიური ჯგუფის მიერ ჩატარებულ ქორწინების რიტუალს, მათ არ აქვთ რელიგიური სწავლების უფლება საჯარო სკოლებში, ასევე მოკლებულნი არიან საშუალებას მიიღონ სახელმწიფო დაფინანსება სამღვდელოების ხელფასებისა და პენსიებისათვის, მათ სასულიერო პირებს შეიძლება შეეხოს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა, არ გააჩნიათ საგადასახადო შეღავათები⁴⁷ და ა.შ. (რაც, როგორც წესი, ხელმისაწვდომია რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციისათვის); რაც უფრო მეტი საფეხური უნდა გაიაროს რელიგიურმა გაერთიანებამ სახელმწიფო რეგისტრაციის ზედა დონის მოსაპოვებლად ან აღიარებისათვის, მით მეტი განსხვავება და დისტანციაა არაღიარებულ/„ქვემდგომ“ ჯგუფებსა და აღიარებულ/„ზემდგომ“ ჯგუფებს შორის.⁴⁸

⁴⁷W. Cole Durham, Jr., Facilitating Freedom of Religion or Belief through Religious Association Laws. Tore Lindholm, W. Cole Durham, Jr., Bahia G. Tahzib – Lie (eds.) Facilitating Freedom of Religion or Belief: A Deskbook, © Koninklijke Brill NV. 2004, pp. 321-405.

⁴⁸Lavinia Stan: “Church-State Relations in the Expanded Europe: Between Religious Pluralism and Church Establishment”, Paper prepared for the “South East and Eastern European Countries EU Accession Quandary” conference, University of Victoria, British Columbia, 16-17 January 2009; ხელმისაწვდომია ბმულზე: www.academia.edu.

განასხვავებენ რელიგიურ ორგანიზაციათა რეგისტრაციის ერთსაფეხურიან (ერთდონიან) და მრავალსაფეხურიან (მრავალდონიან) სისტემებს. პირველ კატეგორიაში ერთიანდება სახელმწიფოები, სადაც რელიგიური ჯგუფები იყოფა „რეგისტრირებულ“ და „არარეგისტრირებულ“ გაერთიანებებად. ამასთან, ასეთ სისტემებში ყველა რელიგიური ჯგუფის მიმართ მოქმედებს რეგისტრაციის ერთი სტანდარტი – საერთო კრიტერიუმი, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც მათ სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი, იდენტური პრივილეგიები ენიჭებათ. ევროკავშირის ახალი წევრი პოსტსოციალისტური ქვეყნებიდან, ექვსი ერთდონიანი რეგისტრაციის სისტემას აღიარებს,⁴⁹ მათ შორის პოლონეთი და ლატვია.

რაც შეეხება მრავალსაფეხურიან სისტემას, ამ კატეგორიაში გაერთიანებული სახელმწიფოები, ერთდონიანი სისტემის მსგავსად, ერთმანეთისგან ასხვავებენ აღიარებულ და არაღიარებულ რელიგიურ ჯგუფებს, თუმცა დამატებით შემოდის სხვადასხვა კრიტერიუმი, რაც თავად ამ ჯგუფებს შორის განსხვავებას ადგენს. მრავალდონიან სისტემებში, როგორც წესი, რეგისტრაციის წინაპირობები უფრო მკაცრია, ვიდრე ერთდონიანში. აღსანიშნავია, რომ რაც უფრო ზედა საფეხურზეა რელიგიური ჯგუფი, მით უფრო მეტი პრივილეგიით სარგებლობს ის სახელმწიფოსგან. ევროკავშირის ახალი წევრი, ყოფილი პოსტსოციალისტური ქვეყნებიდან სამი მრავალდონიან სისტემას აღიარებს.⁵⁰

ლატვიაში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა რამდენიმე ძირითად პრინციპს ეფუძნება. ესენია: სეკულარიზაცია, რელიგიის თავისუფლება, ტრადიცია, ნეიტრალიტეტი და პატივისცემა და გარკვეული უფლებამოსილების დელეგირება.⁵¹ კონსტიტუციის 99-ე მუხლიც აცხადებს, რომ “ყველას აქვს აზრის, სინდისის და რელიგიის

⁴⁹სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, პოლონეთი, ლატვია და ბულგარეთი.

⁵⁰ჩეხეთის რესპუბლიკა, ლიტვა და რუმინეთი. აქედან ჩეხეთში ორდონიანი სისტემა მოქმედებს, ხოლო დანარჩენ ორში – სამდონიანი.

⁵¹რინგოლდს ბალოდისი „სახელმწიფო და ეკლესია ლატვიაში“, გვ. 298 (გერჰარდ რობერსი (რედ.) „სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის ქვეყნებში“, თბილისი, 2011წ.)

თავისუფლება. ეკლესია სახელმწიფოსგან გამიჯნულია.”⁵² რელიგიის თავისუფლების პრინციპი, ასევე, მოცემულია 1995 წლის 7 სექტემბრის კანონში “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ”. კანონის მიზანი მითითებულია 2(2) პუნქტში, რომლითაც ლატვიის მოქალაქეებს ენიჭებათ აღმსარებლობის თავისუფლება, ასევე, ეძლევათ უფლება, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება რელიგიისადმი, აღიარონ ნებისმიერი რელიგია ინდივიდუალურად ან თემის სხვა წევრებთან ერთად ან არ აღიარონ არც ერთი რელიგია, თავისუფლად შეიცვალონ მრწამსი არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით. 1995 წლის 7 სექტემბრის კანონით „რელიგიური ორგანიზაციების შესახებ”, ასევე, რეგულირდება რელიგიურ ორგანიზაციათა სტატუსი და რეგისტრაციის წესები.⁵³

ლატვიაში სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთმანეთისგან გამიჯვნა იმაში აისახება, რომ სახელმწიფო დაწესებულებები რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არეგულირებენ. (მაგ. რელიგიურ საქმეთა საბჭო). კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში კი რელიგიურ ორგანიზაციებს შეუძლიათ, შეასრულონ სახელმწიფო ინსტიტუტების „მსგავსი” ფუნქციები (მაგ. ქორწინების ცერემონიალი, რომელიც აღიარებას იღებს სახელმწიფოს მიერ). “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” 1995 წლის 7 სექტემბრის კანონის მე-4 მუხლი კრძალავს რელიგიისა და შეხედულებების საფუძველზე ლატვიის მოსახლეობის უფლებების აშკარა და ფარულ შელახვას, პრივილეგიების მინიჭებას, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას ან სიძულვილის გამოხატვას. აღსანიშნავია, რომ რელიგიური კუთვნილების, აღმსარებლობის და შეხედულების მითითება პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში იკრძალება. დამატებით მოქმედებს დამცავი დებულება, რომლის თანახმად, არა მხოლოდ საჯარო, არამედ კერძო ინსტიტუციებს (სახელმწიფო ორგანიზაციებს, მუნიციპალიტეტებს, კერძო და კომერციულ ორგანიზაციებს), “რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონის მე-4(4) მუხლის მიხედვით, თანაბრად ეკრძალებათ თანამშრომლებისგან და სხვა პირებისგან მოითხოვონ რელიგიისადმი

⁵²ეს დებულება შევიდა 1998 წლის კონსტიტუციაში, როდესაც კონსტიტუციას დაემატა ახალი პარაგრაფი ადამიანის უფლებების შესახებ.

⁵³ibidem. რინგოლდს ბალოდისი „სახელმწიფო და ეკლესია ლატვიაში”, გვ. 298.

დამოკიდებულების და რელიგიურ მიმდევრობასთან დაკავშირებული ინფორმაცია.⁵⁴

„ლატვიაში არ არსებობს სახელმწიფო რელიგია. ლატვიის რესპუბლიკის კონსტიტუციაში (Sartversme) არ მოიხსენიება არც ერთი კონკრეტული რელიგია. ქვეყნის კანონმდებლობა (ლიტვის კანონმდებლობისგან განსხვავებით) არ ითვალისწინებს “ტრადიციულ” კონფესიათა ცნებას. ამგვარი განმარტება არ არის არც „რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონში, სადაც არ არის განსაზღვრული ტრადიციული რელიგიური კონფესიები. ამასთან, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 51-ე მუხლში მითითებულია ის კონფესიები, რომელთაც აქვთ ქორწინების ჩატარების უფლება და ისინი “ტრადიციულად” იწოდებიან. ესენია: ლუთერული, კათოლიკური, მართლმადიდებელი, ძველმორწმუნე, მეთოდისტური, ბაპტისტური, მეშვიდე დღის ადვენტისტური ეკლესიები და იუდეური რელიგიური საზოგადოებები.”⁵⁵

კონსტიტუციის 99-ე მუხლის შინაარსის მიუხედავად, პრაქტიკაში კანონის ამ მუხლის ინტერპრეტაციის საკითხები წამოიჭრება, რადგან, ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის დეკლარირების მიუხედავად, 99-ე მუხლში სახელმწიფოს და ეკლესიის უფლებები მკაფიოდ არ არის გამიჯნული და სახელმწიფოს მიერ გატარებული ზომების 99-ე მუხლის ფარგლებში მოაზრება ყოველთვის ვერ ხერხდება.

2002 წლის 12 სექტემბერს ლატვიამ წმინდა საყდართან ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა და „რელიგიურ ორგანიზაციათა შესახებ” კანონს ახალი, მე-7(5) მუხლი დაამატა, რომლის თანახმად, სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის ურთიერთობებს “სპეციალური კანონები უნდა არეგულირებდეს”. ეს ჩანაწერი სხვა რელიგიურ გაერთიანებებზე პირდაპირ არ მიუთითებდა. თუმცა „2003 წლის შემოდგომაზე ლატვიის ევანგელურ-ლუთერულმა და მართლმადიდებელმა ეკლესიებმა „რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონის მე-7(5) მუხლის

⁵⁴Ibidem, გვ. 298.

⁵⁵რინგოლდს ბალოდისი „სახელმწიფო და ეკლესია ლატვიაში”, გვ. 299.

საფუძველზე შეიმუშავეს ორი კანონპროექტი და განსახილველად გადასცეს რელიგიურ საქმეთა საბჭოს.”⁵⁶ რელიგიურ საქმეთა საბჭომ მიიჩნია, რომ სპეციალური კანონების მიღებამდე უმჯობესი იქნებოდა, თუ ხელი მოეწერებოდა შესაბამის ხელშეკრულებებს, რომელთაც საფუძველად დაუდებდნენ სპეციალურ კანონებს. თანმდევი კრიტიკის მიუხედავად, 2004 წლის 8 ივნისს ლატვიის მთავრობამ ხელშეკრულებები გააფორმა შვიდ ტრადიციულ კონფესიასთან, მათ შორის, მართლმადიდებელ ეკლესიასთან.

ეკლესიების შიდა ორგანიზება და სახელმწიფო რეგისტრაცია

„რელიგიური ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მიხედვით, რელიგიური ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ მმართველ ორგანოდ უცხო ქვეყნებში რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციას ასახელებენ, ლატვიის რესპუბლიკაში შეიძლება დარეგისტრირდნენ, როგორც ”ავტონომიური რელიგიური ორგანიზაციები”,⁵⁷ ასე, მაგალითად, ლატვიაში მართლმადიდებელი ეკლესია მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედის, ხოლო კათოლიკური ეკლესია ფუნქციონირებს რიგის არქიეპისკოპოსის ეპარქიის რომის პაპის კურიის მეშვეობით. ლატვიის თორმეტი მუსლიმური გაერთიანებიდან შვიდმა თავის თეოლოგიურ ცენტრად რუსეთში რეგისტრირებული მუსულმანთა სულიერი ლიდერების საბჭო დაასახელა, ხოლო ზოგიერთმა ავტონომიურობაზე განაცხადა პრეტენზია.⁵⁸ კონგრეგაციასა და უცხოურ ცენტრს შორის კავშირით სხვა კონფესიებიც სარგებლობენ.

რეგისტრაცია

ლატვიაში კანონმდებლობა რელიგიურ ჯგუფებს აუცილებელ რეგისტრაციას არ სთხოვს, თუმცა რეგისტრაციის შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან მათ გარკვეული პრივილეგიები ენიჭებათ. მაგალითად, რელიგიურ საქმეთა საბჭოში რეგისტრაციის შედეგად რელიგიურ ორგანიზაციებს იურიდიული პირის სტატუსი ენიჭებათ, შეუძლიათ, აწარმოონ სხვადასხვა ფინანსური ტრანზაქცია,

⁵⁶ibidem. გვ. 302.

⁵⁷ibidem. გვ. 302.

⁵⁸ibidem. გვ. 303.

დონორებზე ვრცელდება საგადასახადო შეღავათები და ა.შ. რეგისტრაცია აადვილებს საზოგადოებრივი თავშეყრის წესებსაც. „იურიდიული პირის სტატუსის მიღების შემდეგ რელიგიურ ორგანიზაციას შეუძლია: (1) ორგანიზება გაუწიოს საჯარო მსახურებას; (2) დააარსოს მონასტრები და საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც იმოღვაწებენ ამ ორგანიზაციის სასულიერო პირები; (3) რელიგიური საქმიანობა განახორციელოს საავადმყოფოებში და სტაციონარებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში; (4) გამოიყენოს რელიგიური სიმბოლოები იმ დებულებების შესაბამისად, სადაც მითითებულია, რომ „მხოლოდ რელიგიურ ორგანიზაციებს ან მათ მიერ დაარსებულ დაწესებულებებს აქვთ უფლება, თავიანთ ოფიციალურ ფორმებში და ბეჭდებში გამოიყენონ ამ ორგანიზაციათა დასახელებები და სიმბოლოები“⁵⁹ შესაბამისად, რეგისტრაცია სასურველია, რადგან იგი არა შემზღუდველი არამედ პირიქით, უფლებებით აღმჭურველი პროცედურაა. რეგისტრაცია აუცილებელი არ არის რელიგიის თავისუფლების გამოხატვისთვის. „ყველა დაურეგისტრირებელ რელიგიურ ჯგუფს [ასევე] უფლება აქვს, ჩაატაროს წირვა, რელიგიური რიტუალები, ცერემონიები და განახორციელოს საქველმოქმედო საქმიანობა, თუ ეს კანონს არ ეწინააღმდეგება“ ინდივიდუალურ დონეზე რეგისტრაციის შესახებ განაცხადის მიღებაზე უარი ხელს არ უშლის პირთა რელიგიურ აღმსარებლობას და მათ უფლებას, გაწევრიანდნენ რელიგიურ ორგანიზაციებში. „მშვიდობიანი შეკრების უფლება განსაზღვრულია კანონით „შეკრებების, დემონსტრაციების და პიკეტების“ შესახებ. ამ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება, მოაწყოს მშვიდობიანი მიტინგები, დემონსტრაციები და პიკეტები ან მონაწილეობა მიიღოს მათში, თუმცა ეს არ ეხება რელიგიური ორგანიზაციების მიერ მოწყობილ დონისძიებებს. „რელიგიური ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მე-14(3) მუხლის თანახმად, რელიგიურ ორგანიზაციებს უფლება აქვთ, ჩაატარონ რელიგიური რიტუალები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიღებული აქვთ ნებართვა შესაბამისი

⁵⁹ Ibidem. გვ. 306.

მუნიციპალიტეტიდან. რელიგიურ საქმიანობაში მონაწილეობისას საზოგადოებრივი წესრიგი არ უნდა იქნეს დარღვეული.”⁶⁰

„რელიგიური ორგანიზაციების შესახებ” კანონით რელიგიური ორგანიზაციის დარეგისტრირებისათვის აუცილებელია 25 სრულწლოვანი პირის მიერ გამოსატული ნება. ამასთან, ეს პირები დარეგისტრირებულები უნდა იყვნენ ლატვიის სამოქალაქო რეესტრში და იზიარებდნენ ერთ აღმსარებლობას. მათ რელიგიურ საქმეთა საბჭოში უნდა წარადგინონ სათანადო წესით შედგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტი (კონგრეგაციის წესდება, სხდომის ოქმი და ა.შ.). რელიგიურ ასოციაციაზე/საზოგადოებაზე ვრცელდება მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, რელიგიური ასოციაციის ჩამოყალიბებისთვის საჭიროა ერთი და იმავე კონფესიის ათი და მეტი დარეგისტრირებული კონგრეგაციის ასოციაციად გაერთიანების სამართლებრივად გამოსატული ნება. კანონის თანახმად, საეკლესიო კონგრეგაციები, რელიგიური თემები და ეპარქიები, სემინარიები, მონასტრები და დიაკონური ინსტიტუტები უნდა დარეგისტრირდნენ. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ რელიგიური ასოციაციის სტატუსის მქონე ეკლესიებს შეუძლიათ თეოლოგიური სკოლებისა და მონასტრების დაარსება.⁶¹

აღნიშნული მკაცრი პირობა, რომელსაც სახელმწიფო აწესებს რელიგიური ასოციაციების/საზოგადოებების რეგისტრაციისათვის, ხშირად კრიტიკის საფუძველი ხდება, რადგან, რიგ ექსპერტთა აზრით ის ვერ აკმაყოფილებს ე.წ. „პროპორციულობის სტანდარტს”. მათი განმარტებით, რადგანაც არ არსებობს საფრთხე, რომელიც შეიძლება დაემუქროს საზოგადოებრივ წესრიგს, სახელმწიფო უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას ან მორალურ ნორმებს ⁶² სახელმწიფოს მხრიდან ასეთი პირობის წაყენება გამართლებული არ არის და ეს მათ მიერ რელიგიის თავისუფლების შემზღვეველ გარემოებადაა მიჩნეული.

⁶⁰ Ibidem. გვ. 307.

⁶¹ Ibidem. გვ. 307-308.

⁶² იხ. „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ სტანდარტი (მე-8, მე-11 მუხლებისთვის), კერძოდ კი, მე-9 მუხლისთვის (რელიგიის თავისუფლება).

ლატვიის კონსტიტუციის 116-ე მუხლი და „რელიგიური ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლი ითვალისწინებს რელიგიურ ორგანიზაციათა საქმიანობის შეზღუდვის წინაპირობებს. შეზღუდვას ექვემდებარება რელიგიურ ორგანიზაციათა ისეთი საქმიანობა, რომელიც „ხელს უწყობს შეუწყნარებლობას და სიძულვილს, კანონის დარღვევას და აქეზებს ამგვარი ქმედებისკენ, არღვევს ან რაიმე მიზეზით არ ემორჩილება რელიგიურ ორგანიზაციათა წესდებას, საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს უსაფრთხოებას, საზოგადოებრივ წესრიგს, სიმშვიდეს, ან სხვა ადამიანთა ჯანმრთელობას ან მორალის ნორმებს“. რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტის საფუძველი მხოლოდ სასამართლოს დადგენილება შეიძლება გახდეს.

კანონი „რელიგიური ორგანიზაციების შესახებ“, ასევე იცნობს ე.წ. „ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნას“ რომელიც მე-8(4) მუხლით რეგულირდება. აღნიშნული პირობა ვრცელდება მხოლოდ იმ კონგრეგაციაზე, რომელიც ლატვიის რესპუბლიკაში საქმიანობას პირველად იწყებს.

ლატვიის მართლმადიდებელი ეკლესია თვითმმართველი ეკლესიაა მოსკოვის საპატრიარქოს შემადგენლობაში. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის გადაწყვეტილებით, იგი სარგებლობს გარკვეული დამოუკიდებლობით ადმინისტრაციულ, შიდა მმართველობით და საგანმანათლებლო საკითხებში. ეკლესიის წესდება 1992 წლის დეკემბერში ლატვიის იუსტიციის სამინისტრომ დაარეგისტრირა. მას ნაწილობრივ დაუბრუნდა კომუნისტების ეპოქაში ჩამორთმეული უძრავი ქონება, ხოლო როგორც ზემოთ იყო მითითებული, 2004 წელს სახელმწიფომ მასთან გააფორმა ხელშეკრულება, რითიც დარეგულირდა ამ ორ სუბიექტს შორის ურთიერთობა.

ეკლესია აერთიანებს ორ ეპარქიას, მსახურობს 88 სასულიერო პირი, მოქმედებს 124 ეკლესია, სამი მონასტერი, ერთი უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი. მართლმადიდებელთა რაოდენობა, სხვადასხვა მონაცემებით 330-350 ათასია. წინამძღოლი—ალექსანდრე (კუდრიაშოვი) ატარებს ტიტულს მიტროპოლიტი რიგის და სრულიად ლატვიისა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, 1993 წელს, აღდგა რიგის სასულიერო სემინარიის საქმიანობა, ფუნქციონირებს კატეხიზმოს შემსწავლელი ჯგუფები, რეგულარულად გამოიცემა ორი გაზეთი, რესტავრაცია ჩაუტარდა და აღდგა ძველი ეკლესიები – მათ შორის, რიგის მაცხოვრის შობის კათედრალური ტაძარი.

მართლმადიდებლობა ქვეყნის ტრადიციული რელიგიაა. მართლმადიდებელი ეკლესიის უძრავი ქონება, რომელიც გამოიყენება რელიგიური საქმიანობისათვის არ იბეგრება. დამატებითი ღირებულების გადასახადის კანონის თანახმად, რელიგიური ორგანიზაციების მიერ გაწეული რელიგიური, რიტუალური და სხვა არამომგებიანი დანიშნულების მომსახურება განთავისუფლებულია ამ გადასახადისაგან.

სამეწარმეო სუბიექტები, რომლებიც გაიღებენ შემოწირულობას ეკლესიის დასახმარებლად, სარგებლობენ საგადასახადო შეღავათით. ასევე, ფიზიკური პირის დასაბეგრ თანხას, საიდანაც იგი საშემოსავლო გადასახადს იხდის, აკლდება ის ოდენობა, რომელსაც პირი ეკლესიას ურიცხავს.

მართლმადიდებელ ეკლესიას უფლება აქვს, ასწავლოს თავისი რელიგია სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მიაწოდოს კაპელანები შეიარაღებულ ძალებში, გახსნას სასწავლო დაწესებულებები, გამოსცეს და გაავრცელოს ლიტერატურა, სახელმწიფო აღიარებს მის მიერ ჩატარებულ ჯვრისწერას და ა.შ.

ლიტვაში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა საკმაოდ სრულად და ამომწურავად არის გაწერილი 1995 წლის კანონში „რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების შესახებ“ (LRCA).⁶³ აღნიშნული სამართლებრივი აქტი: „იდევს რელიგიის თავისუფლების გარანტიას, რაც დადგენილია ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციითა და საერთაშორისო დოკუმენტებით (მუხლი მე-2, მე-3 და მე-8); იგი მოიცავს სახელმწიფოს მიერ

⁶³ კანონი რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების შესახებ, მიღებული 1995 წლის 4 ოქტომბერს/Valstybės žiniuos, 1995, No. 89-1985. შესწორებები გამოქვეყნებულია Valstybės žiniuos - ში 1997, No. 66-1618, 2000, No. 40-1115.

აღიარებული ტრადიციული რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციებს ჩამონათვალს (მუხლი მე-5), განსაზღვრავს სახელმწიფოს მხრიდან სხვა რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების აღიარების კრიტერიუმებსა და პროცედურებს (მუხლი მე-5 და მე-6), უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ აღიარებული რელიგიური ასოციაციების, სხვა რელიგიური გაერთიანებების და ასოციაციების რეგისტრაციას იურიდიულ პირებად (მუხლი მე-5, მე-6, მე-10, მე-11 და მე-12). „რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების შესახებ“ (LRCA) კანონში, ასევე, განხილულია რელიგიური საქმიანობის დროებითი შეჩერების ან შეწყვეტის პროცედურა. კანონი (LRCA), აგრეთვე, არეგულირებს სკოლებში რელიგიური განათლების საკითხს, რელიგიური ორგანიზაციების საქველმოქმედო, ფილანთროპიულ და საგანმანათლებლო საქმიანობას (მუხლი მე-14), მათ ქონებრივ უფლებებს, შრომით ურთიერთობას, საგადასახადო და სოციალურ საკითხებს (მე-13, მე-16, მე-17 და მე-18 მუხლები). სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლები, ასევე შეიძლება მოვიძიოთ ლიტვის სამოქალაქო კოდექსში⁶⁴, განათლების კანონში⁶⁵ და პენსიის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის კანონში,⁶⁶ რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, არეგულირებს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ძირითად საკითხებს.”⁶⁷

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციის 43-ე მუხლის თანახმად, უზრუნველყოფილია რელიგიური ორგანიზაციების თავისუფლად საქმიანობის უფლება თავიანთი კანონებისა და წესდების შესაბამისად და გამოცხადებულია, რომ ლიტვის რესპუბლიკაში არ არსებობს სახელმწიფო რელიგია. 43-ე მუხლი, ასევე, შესაძლებელს ხდის, სახელმწიფომ და რელიგიურმა ასოციაციამ ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრონ რელიგიური ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი. ამ ჩანაწერის მიუხედავად, ასეთი უფლების რეალიზაცია მხოლოდ კათოლიკურმა ეკლესიამ შეძლო. დღეისათვის ლიტვის სახელმწიფოს

⁶⁴იხ. ლიტვის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი//Valstybės žinios, 2000, No. 74-2262.

⁶⁵იხ. ლიტვის რესპუბლიკის განათლების კანონი//Valstybės žinios, 2003, No. 63-2853.

⁶⁶იხ. ლიტვის რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის სახელმწიფო პენსიის კანონი//Valstybės žinios, 1994, No. 59-1153; No. 113-3283; No. 41-1165; No. 92-2862.

⁶⁷Ibidem. გვ. 3-5.

ხელშეკრულებითი ურთიერთობა მხოლოდ კათოლიკურ ეკლესიასთან აკავშირებს.

1990 წლის 11 მარტს ლიტვამ კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა. 1991 წლის 30 აგვისტოს აღდგა დიპლომატიური ურთიერთობა ლიტვის რესპუბლიკასა და ვატიკანს შორის. 1990 წლის 12 ივნისს მიიღეს კათოლიკური ეკლესიის სტატუსის რესტიტუციის აქტი, რომელიც „აღიარებს ეკლესიის უფლებას, განაგოს თავისი შიდა საქმე საეკლესიო სამართლისა და ნორმების შესაბამისად. ამასთანავე უზრუნველყოფს კომუნისტური ეპოქის დროს მიყენებული ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურებას სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულება იძლევა იმის გარანტიას, რომ არ შეიზღუდება ეკლესიის საგანმანათლებლო საქმიანობა, განსაზღვრულია სახელმწიფოსა და ეკლესიის თანამშრომლობა პარიტეტულ საწყისზე.“⁶⁸ აღნიშნულ სამართლებრივ აქტებს ემატება ვატიკანსა და ლიტვის რესპუბლიკას შორის 2000 წლის 5 მაისს გაფორმებული სამი ხელშეკრულება, „მათგან პირველი - ეხება თანამშრომლობას განათლებისა და კულტურის სფეროში,⁶⁹ მეორე – ჯარში მომსახურე კათოლიკეებისთვის გაწეულ პასტორულ საქმიანობას,⁷⁰ ხოლო მესამე – სახელმწიფოსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის ურთიერთობის იურიდიულ ასპექტებს⁷¹.”⁷²

(LRCA) კანონის მე-2 მუხლი განსაზღვრავს რელიგიური გაერთიანების ცნებას. ამ ნორმის მიხედვით, რელიგიური გაერთიანება ერთი და იმავე მისწრაფების ინდივიდთა ჯგუფს აერთიანებს. ასოციაციაში კი გაერთიანებული უნდა იყოს „საერთო ხელმძღვანელობას

⁶⁸ იოლანტა კუზნეკოვიენე „სახელმწიფო და ეკლესია ლიტვაში“, გვ. 328. (გერჰარდ რობერსი (რედ.) „სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის ქვეყნებში“, თბილისი, 2011წ.)

⁶⁹ ლიტვის რესპუბლიკის მთავრობასა და ვატიკანს შორის დადებული ხელშეკრულება განათლებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, Valstybės žinios, 2000, No. 67-2024.

⁷⁰ ლიტვის რესპუბლიკის მთავრობასა და ვატიკანს შორის დადებული ხელშეკრულება ჯარში მომსახურე კათოლიკეებისთვის გაწეული პასტორული საქმიანობის შესახებ, Valstybės žinios, 2000, No. 67-2023.

⁷¹ კათოლიკურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ეხება სახელმწიფოსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის ურთიერთობის იურიდიულ ასპექტებს, Valstybės žinios, 2000, No. 67-2022.

⁷² იოლანტა კუზნეკოვიენე „სახელმწიფო და ეკლესია ლიტვაში“, გვ.330.

დაქვემდებარებული, სულ მცირე, ორი რელიგიური გაერთიანება”. „რელიგიური ცენტრი” განმარტებულია, როგორც რელიგიური ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანო.

ლიტვის კანონმდებლობა, ლატვიის კანონმდებლობის მსგავსად, არ ითხოვს რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების სავალდებულო რეგისტრაციას, თუმცა კი დაურეგისტრირებელი რელიგიური გაერთიანება ვერ ჩაითვლება სამართლის სუბიექტად, რამაც შესაძლებელია, პრაქტიკულ საქმიანობაში ბარიერები შექმნას.

რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების შესახებ კანონი (LRCA) ლატვიის შესაბამისი კანონისგან განსხვავებით, რელიგიურ გაერთიანებებსა და ასოციაციებს სამ განსხვავებულ კატეგორიად ყოფს. ესენია:

- ტრადიციული რელიგიური გაერთიანებები და ასოციაციები;
- სახელმწიფოს მიერ აღიარებული რელიგიური გაერთიანებები და ასოციაციები;
- სხვა (არატრადიციული) რელიგიური გაერთიანებები და ასოციაციები;

პირველ ჯგუფში შედის ის რელიგიური გაერთიანებები და ასოციაციები, რომლებიც ლიტვის ისტორიული, სულიერი და სოციალური მემკვიდრეობის ნაწილია. კანონში ჩამოთვლილია ლიტვაში არსებული ტრადიციული ეკლესიები. მე-5 მუხლის თანახმად, ლიტვის რესპუბლიკაში არსებობს სულ ცხრა ტრადიციულად მიჩნეული ეკლესია: რომის კათოლიკური, ბერძნულ-კათოლიკური, ევანგელურ-ლუთერული, ევანგელურ-რეფორმისტული, რუსული მართლმადიდებელი, ძველმორწმუნეების, ებრაული, სუნიტი მუსლიმანებისა და კარაიტე.⁷³

მეორე ჯგუფში შედის „სახელმწიფოს მიერ აღიარებული რელიგიური გაერთიანებები და ასოციაციები“, ე.ი. რელიგიური გაერთიანებები და ასოციაციები, რომელთაც, სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, შესაძლოა, მიენიჭოს აღიარებული რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების სტატუსი. ეს იმ შემთხვევაშია შესაძლებელი თუ ისინი

⁷³Ibidem. გვ. 332.

შეადგენენ ქვეყნის ისტორიული, სულიერი და სოციალური მემკვიდრეობის ნაწილს, „მოწონებულნი“ არიან სახელმწიფოს მიერ, მათი სწავლება და წეს-ჩვეულებები არ ეწინააღმდეგება კანონსა და მორალს და მათ შემადგენლობაშია ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქეობის მქონე, სულ მცირე, 15 სრულწლოვანი წევრი (LRCA-ი კანონი, მ.6). ასეთი ორგანიზაციები შექმნიან უფლებამოსილი სუბიექტის სტატუსის მიღებას რეგისტრაციის გასავლელად და იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ იურიდიული პირის უფლებებით ისარგებლებენ. რეგისტრაციისათვის განსახილველი წესდება ან შესაბამისი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს „გაერთიანების სახელწოდებას, მისი მთავარი ოფისის, სამართლებრივი ფორმის, რელიგიის მიზნების, საორგანიზაციო სტრუქტურის, გაერთიანების ან ასოციაციის ხელმძღვანელობის მონაცემებს, ასევე, მენეჯმენტის პროცედურას, წესდების შესწორების პროცედურას, გაერთიანებაში შესვლის და მისი დატოვების წესს, წევრთა უფლება-მოვალეობებს, რეორგანიზაციის პროცედურას და მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში ქონების განაწილების მექანიზმს“.⁷⁴

მიუხედავად იმისა, რომ, LRCA-ი კანონის თანახმად, ორივე ჯგუფში შემავალი ორგანიზაციები მოიაზრებიან ლიტვის რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის შემადგენელ ნაწილად, „ტრადიციულსა“ და „ალიარებულს“ შორის განსხვავება მაინც არსებობს, რაც ნათლად არის განმარტებული ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებაში, სადაც ნათქვამია, რომ: „ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციების ტრადიციულად დასახელება არ არის მათი ტრადიციულ ორგანიზაციებად დაფუძნების აქტის შედეგი, არამედ მათი ტრადიციული ხასიათის და იმავდროულად მათი საზოგადოებასთან ურთიერთობის სტატუსის განაცხადია. ამგვარი აქტი ასახავს რელიგიური კულტურისა და მდგომარეობის განვითარებას საზოგადოებაში“. „კანონმდებლის სურვილით,

⁷⁴ Ibidem. გვ. 327.

ტრადიცია არც იქმნება და არც უქმდება. ამის შედეგია ტრადიციულ ეკლესიათა ნუსხის დახურვა”.⁷⁵

რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების მხრიდან სახელმწიფო აღიარების მოთხოვნა შესაძლებელია ქვეყანაში პირველადი რეგისტრაციიდან 25 წლის თავზე. იუსტიციის სამინისტროს დასკვნის საფუძველზე, სახელმწიფო აღიარებას ანიჭებს ლიტვის რესპუბლიკის სეიმი. აღიარების მოთხოვნაზე უარის შემთხვევაში კანონის მე-6 მუხლის თანახმად, მომდევნო 10 წლის განმავლობაში შეუძლებელია იგივე მოთხოვნის დაყენება. LRCA-ი კანონის მე-12 მუხლის მიხედვით, „იუსტიციის სამინისტროს უფლება აქვს, უარი უთხრას რეგისტრაციაზე რელიგიურ გაერთიანებას ან ასოციაციას, თუ „(1) არ არის წარმოდგენილი აუცილებელი მონაცემები, (2) ამ რელიგიური გაერთიანების ან ასოციაციის საქმიანობა არღვევს ადამიანის უფლებებს და საზოგადოებრივ წესრიგს, (3) წესდება იმავე სახელწოდებით უკვე რეგისტრირებულია“⁷⁶

სახელმწიფოს მიერ რელიგიური გაერთიანებების აღიარების შემთხვევაში, ისინი სარგებლობენ კონსტიტუციის 43-ე მუხლის დებულებით - აქვთ იურიდიული პირის სტატუსი და კანონი მათგან აღარ ითხოვს, ტრადიციული რელიგიური გაერთიანებებისა და ასოციაციების მსგავსად რეგისტრაციას.⁷⁷ ამავე მუხლის თანახმად, რელიგიურ გაერთიანებას შეუძლია, იმოქმედოს თავისუფლად, საკუთარი კანონებისა და სტატუტის შესაბამისად, ასევე, უფლება აქვს, თავისუფლად გაავრცელოს თავისი სწავლება, აღასრულოს რიტუალები, ჰქონდეს სამლოცველოები და საგანმანათლებლო დაწესებულებები მღვდელმსახურების მოსამზადებლად, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ლიტვის კანონებს.⁷⁸ „სამოქალაქო კოდექსის II წიგნის

⁷⁵ Ibidem. გვ. 6. იხ. აგრეთვე ლიტვის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ლიტვის რესპუბლიკის განათლების კანონის მუხლი 1(5), მუხლი 10(3 და 4), მუხლი 15(1), მუხლი 20, მუხლი 21(2), მუხლი 32(2), მუხლი 34(2, 3, და 4), მუხლი 35(2 და 5), მუხლი 37(2) და მუხლი 38(2 და 3)-ის და ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, 13 ივნისი, 2000//Valstybės žinios, 2000, No. 49-1424.

⁷⁶ Ibidem. გვ.333.

⁷⁷ Ibidem. გვ.333-334.

⁷⁸ ლიტვის კონსტიტუცია, მუხლი 43-ე.

IV თავის (მუხლი 2(34)) შესაბამისად, რელიგიური გაერთიანება და ასოციაცია საზოგადოებრივი (არაკომერციული) იურიდიული პირია.”⁷⁹

ლიტვაში მართლმადიდებლობა რიცხოვნობით მეორე რელიგიაა, კათოლიციზმის შემდეგ. ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედებს მოსკოვის საპატრიარქოს კანონიკური იურისდიქცია, ვილენისა და ლიტვის ეპარქიის სახით.

2012 წლის მონაცემებით ქვეყანაში დაახლოებით 140 ათასი მართლმადიდებელია. ეპარქიაში 50 ეკლესიაა. საინტერესოა, რომ ეკლესიის მრევლი ძირითადად რუსები ან რუსულენოვანი მოქალაქეები არიან. მიუხედავად ამისა ეკლესიის რიგი სასულიერო პირები საბჭოთა პერიოდში მხარს უჭერდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობას.

ლიტვაში მართლმადიდებლობა მიჩნეულია ტრადიციულ რელიგიად და იგი შედის იმ რელიგიათა ჩამონათვალში, რომელნიც ქვეყანაში, სხვა არატრადიციულ ან ახალ რელიგიურ გაერთიანებებთან შედარებით, პრივილეგიური მდგომარეობით სარგებლობენ.

მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორც ტრადიციულ რელიგიურ გაერთიანებას, უფლება აქვს, ასწავლოს თავისი რელიგია სახელმწიფო სკოლებში.

ეკლესიის სასწავლო დაწესებულება, რომლის სწავლების ხარისხი შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს, სუბსიდირებას იღებს სახელმწიფოსგან.

ეკლესია განთავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან. ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი, თუ იგი განკუთვნილია რელიგიური გაერთიანების საჭიროებისათვის, დაბეგვრას არ ექვემდებარება.

იმპორტირებული პროდუქცია, რომელიც რელიგიური ხასიათისაა, არ ექვემდებარება საბაჟო გადასახადს, რელიგიური მიზნით გამოყენებული უძრავი ქონება განთავისუფლებულია გადასახადისგან.

⁷⁹იოლანტა კუზნეკოვიენე „სახელმწიფო და ეკლესია ლიტვაში“, გვ.334.

მართლმადიდებელი ეკლესია როგორც ტრადიციული, მოიპოვებს სახელმწიფო დაფინანსებას კულტურული, საგანმანათლებლო და საქველმოქმედი საქმიანობისათვის.

სახელმწიფო გამოყოფს თანხას რელიგიური გაერთიანებების კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და სხვა საჭიროებისათვის.

ეკლესიისათვის სუბსიდირება ადგილობრივმა ხელისუფლებამაც შეიძლება გამოყოს.

ესტონეთში მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებით შექმნილია სპეციფიკური მდგომარეობა, რაც განპირობებულია ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ესტონეთის სწრაფვით განთავისუფლებულიყო საბჭოთა მემკვიდრეობისაგან, ერთი მხრივ, და არ მიეცა საშუალება რუსეთისათვის, ქვეყნის შიგნით ჰქონოდა არსებულ მდგომარეობაზე ზემოქმედების სერიოზული ბერკეტები.

ესტონეთის რელიგიის საქმეთა დეპარტამენტმა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1993 წლის 11 აგვისტოს, დაარეგისტრირა ესტონეთის სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია. რუსული ორიენტაციის ეპისკოპოს კორნელის და მის სამწყსოს კირეგისტრაციაზე უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ უკვე არსებობდა ესტონეთის მართლმადიდებელი ეკლესია. მათ მიეცა წინადადება, დაეარსებინათ ახალი რელიგიური გაერთიანება. 1994 წელს ეკლესიის წევრთა უმრავლესობამ მოითხოვა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შესვლა. 1996 წლის 22 თებერვალს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება, თავის იურისდიქციაში შეეყვანა ესტონეთის ეკლესია, როგორც ავტონომიური ერთეული.

ამ ფაქტმა რასაკვირველია, გამოიწვია რუსეთის საპატრიარქოს ნეგატიური რეაქცია. საქმე იქამდეც მივიდა, რომ 1996 წლის თებერვლიდან მაისამდე მოსკოვის საპატრიარქომ ექვარისტული კავშირიც გაწყვიტა კონსტანტინოპოლთან.

შემდგომში მხარეებმა მიაღწიეს გარკვეულ კომპრომისს და დაუშვეს იმის შესაძლებლობა, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებულიყო ასევე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაც.

2002 წლის 17 აპრილს დარეგისტრირდა მოსკოვის საპატრიარქოს ესტონეთის მართლმადიდებელი ეკლესია. მრევლს მიეცა წინადადება, თვითონ აერჩია, თუ რომელი ეკლესიის წევრი გახდებოდა. რუსულენოვანი მოსახლეობის უმრავლესობამ მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში ყოფნა მოისურვა, ესტონურმა კონსტანტინოპოლის.

დღეს ესტონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის (კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში) წინამძღოლია სტეფანე - მიტროპოლიტი ტალინისა და სრულიად ესტონეთისა. სხვადასხვა მონაცემებით, ამ ეკლესიის მრევლი 7000-იდან 20000-მდეა, ჰყავთ ორმოცდაათამდე სასულიერო პირი, აქვთ 60 საკულტო ნაგებობა და სამი ეპარქია - ტალინის, ტარტუს და პიარნუსკის.

ესტონეთში სახელმწიფო ესმარება მართლმადიდებელ ეკლესიას საკულტო ნაგებობების შენახვაში. ეკლესია განთავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან. მას შეუძლია, ისარგებლოს შეღავათით დამატებითი ღირებულების გადასახადთან დაკავშირებით. იგი არ იხდის ქონებისა და მიწის გადასახადებს თუ იქ განთავსებულ ნაგებობაში აღესრულება ღვთისმსახურება ან საკულტო რიტუალები.

ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანაში განხორციელდა რესტიტუციის პროცესი და რელიგიურმა გაერთიანებებმა, მათ შორის მართლმადიდებელმა ეკლესიამ, ნაწილობრივ დაიბრუნეს თავიანთი უძრავი ქონება, თუმცა ესტონეთის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია, უძრავ ქონებას იჯარის (მინიმალური გადასახადი) საფუძველზე ფლობს.

ესტონეთში ქრისტიანული ეკლესიები გაერთიანებულნი არიან საეკლესიო საბჭოში. მის შემადგენლობაში შედის 10 რელიგიური გაერთიანება. საბჭოში წამყვანი პოზიციები ევანგელურ-ლუთერულ და მართლმადიდებელ ეკლესიებს უკავიათ. საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს რელიგიისა და სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მნიშვნელოვან საკითხებზე. სახელმწიფო აქტიურად ესმარება ამ გაერთიანებას. 2004 წელს საბჭოსათვის დაახლოებით 320 000 ევრო იქნა გამოყოფილი.

2003-2004 წლებში ესტონეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ერთჯერადად 290 000 ევრო მიიღო.

მოსკოვის საპატრიარქოს განცხადებით, მათი მრევლი 100 ათასამდეა. აქვთ 33 ეკლესია და ჰყავთ 57 სასულიერო პირი. წინამძღოლია კორნელი, მიტროპოლიტი ტალინისა და სრულიად ესტონეთისა.

პოლონეთში, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის და რელიგიის თავისუფლების თვალსაზრისით, განმსაზღვრელი ძირითადი ნორმატიული აქტებია პოლონეთის რესპუბლიკის 1997 წლის 2 აპრილის კონსტიტუცია, „1989 წლის 17 მაისის კანონი“, რომელიც იძლევა სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლების გარანტიას და 1998 წელს პოლონეთის რესპუბლიკასა და წმიდა საყდარს შორის გაფორმებული კონკორდატი, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობას კათოლიკურ ეკლესიასა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ⁸⁰ პოლონეთის 1997 წლის კონსტიტუციის პრეამბულა შეიცავს *Invocatio Dei*-ს: „...პოლონელი ერი – რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, ისინი, ვისაც აქვთ უფლის, როგორც სიმაღლის, ჭეშმარიტების, სიკეთისა და სათნოების წყაროს, რწმენა და ისინიც, ვინც არ იზიარებენ ამ რწმენას, მაგრამ პატივს სცემენ სხვა წყაროებიდან გამომდინარე ღირებულებებს“. ⁸¹ ხაზგასასმელია, რომ მოცემული პრეამბულა წარდგენილი იყო, როგორც ევროპის კონსტიტუციის შესაძლო მუხლი.⁸²

1997 წლის კონსტიტუციის 25-ე მუხლით რეგულირდება ეკლესიების და სხვა რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ სტატუსი. ამ მუხლის თანახმად:

⁸⁰ იხ. *Supra*, გვ. 53.

⁸¹ იხ. პოლონეთის კონსტიტუციის (1997წ.) მიხედვით რინკოვსკი: „სახელმწიფო და ეკლესია პოლონეთში“, გვ. 5 ოდნავ განსხვავებული თარგმანისთვის იხ. ქეთევან მესხიშვილი: პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტის ქართული თარგმანი და შესავალი ნარკვევი, ავტორთა კოლექტივი, „აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კონსტიტუციები“, თბილისი, 2005 წ. გვ. 207-258.

⁸² მიხედვით რინკოვსკი: „სახელმწიფო და ეკლესია პოლონეთში“, გვ. 486. (გერჰარდ რობერსი (რედ.) „სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის ქვეყნებში“, თბილისი, 2011წ.)

1. ეკლესიებსა [ქრისტიანული გაერთიანებები] და სხვა [არაქრისტიანულ] რელიგიურ გაერთიანებებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი უფლებები (ე.წ. უფლებრივი თანასწორობის პრინციპი);
2. პოლონეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოები უნდა იყოს მიუკერძოებელი პიროვნული მრწამსის, რელიგიური თუ ფილოსოფიური ან ცხოვრებისეული შეხედულებების საკითხებში და უზრუნველყოფდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი გამოხატვის თავისუფლებას (ე.წ. სახელმწიფოს იდეოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპი).
3. ეკლესიების და სხვა რელიგიური გაერთიანებების და სახელმწიფოს ურთიერთობა დამყარებული უნდა იყოს როგორც მათი ავტონომიისა და ორმხრივი დამოუკიდებლობის აღიარების პრინციპზე, ასევე ინდივიდუალური და საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის ზრუნვის პრინციპზე (ე.წ. ავტონომიის და დამოუკიდებლობის პატივისცემისა და თანამშრომლობის პრინციპი);
4. ურთიერთობა პოლონეთის რესპუბლიკასა და რომის კათოლიკურ ეკლესიას შორის უნდა დარეგულირდეს წმინდა საყდართან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საკანონმდებლო აქტით;
5. ურთიერთობა პოლონეთის რესპუბლიკასა და ეკლესიებსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის უნდა დარეგულირდეს საკანონმდებლო აქტით, რომელსაც იღებენ მინისტრთა საბჭოსა და მათ წარმომადგენლებს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად”.

უშუალოდ რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული დებულებები, მათ შორის რელიგიური აღმსარებლობის უფლების უზრუნველყოფა, აგრეთვე, რწმენის გამოხატვის თავისუფლების შესაძლო შეზღუდვები, რაც არ მოდის წინააღმდეგობაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 (2) მუხლით დაწესებულ შესაძლო შეზღუდვებთან, მოცემულია კონსტიტუციის 53-ე მუხლში. კონსტიტუციის 35-ე მუხლი ეხება ნაციონალური და ეთნიკური უმცირესობების უფლებას, შეინარჩუნონ თავიანთი რელიგიური თვითმყოფადობა; 48-ე მუხლი განსაზღვრავს რელიგიური განათლების პირობებს სკოლებში, ხოლო „მუხლი 85(3)-ის შესაბამისად, რელიგიური შეხედულებებისა და მორალური მრწამსის საფუძველზე

შესაძლებელია სამხედრო სამსახურის ჩანაცვლება ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურით.”⁸³

1989 წლის 5 აპრილს, ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის პირობებში, ხელი მოეწერა ე.წ. „მრგვალი მაგიდის შეთანხმებას”, რომელმაც სისტემურ რეფორმას ჩაუყარა საფუძველი. აღნიშნული რეფორმა, სხვა საკითხების გარდა, მოიცავდა პოლონეთში ეკლესიის სამართლებრივი მდგომარეობის ცვლილებას ორ ეტაპად: პირველი ეტაპი დაიწყო 1989 წლის 17 მაისს, როდესაც მიღებულ იქნა ეკლესიასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი სამი კანონის პაკეტი: („სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლების გარანტიის უზრუნველმყოფი კანონი”; „სახელმწიფოსა და [პოლონეთის] კათოლიკურ ეკლესიას შორის ურთიერთობის მარეგულირებელი კანონი” და „კანონი სასულიერო პირთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ”). შემდგომ (მეორე) ეტაპზე (1993-1998 წწ.) უკვე ხელი მოეწერა (1993წ.) და ძალაში შევიდა (1998წ.) კონკორდატი წმიდა საყდართან.⁸⁴

აღნიშნულმა „სამი კანონის პაკეტმა”, ექსპერტთა აზრით, პოლონეთში კოორდინირებული გამიჯვნის სისტემა დაამკვიდრა, თუმცა, რაღა თქმა უნდა, იმ პერიოდის კანონებში მოცემული უფლებები არ უნდა გავიგოთ, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლებები დღევანდელი (თანამედროვე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი) მნიშვნელობით, არამედ როგორც გარკვეული კონცესია, დათმობა რეჟიმის მხრიდან. ეს პაკეტი საერთაშორისო აქტებთან ჰარმონიზაციის მიზნით სახელმწიფოს მმართველმა ჯგუფმა „უბოძა” პოლონეთის მოსახლეობას სამოქალაქო უფლებების სახით.⁸⁵

კანონთა პაკეტიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლების გარანტიის უზრუნველმყოფი კანონი (შემდგომში „1989 წლის კანონი”),⁸⁶ რადგან ის კონსტიტუციასთან

⁸³მიხალ რინკოესკი: „სახელმწიფო და ეკლესია პოლონეთში” გვ.487.

⁸⁴იხ. Piotr Mazurkiewicz: „Autonomy of the Church and Freedom of Religion in Poland”, გვ. 4.

⁸⁵იხ. Piotr Mazurkiewicz: „Autonomy of the Church and Freedom of Religion in Poland”, გვ. 4.

⁸⁶Journal of Laws, 1989, No.29, Items 154-156, ციტირებულია Piotr Mazurkiewicz: „Autonomy of the Church and Freedom of Religion in Poland”, გვ.4.

ერთად ქმნის ზოგადკონფესიურ ნორმებს, რომლებიც ყველა ეკლესიას და რელიგიურ გაერთიანებას ეხება და ზოგადკონფესიურ სტანდარტებს აწესებს.

1989 წლის კანონის მე-10 მუხლი აცხადებს, რომ „პოლონეთის რესპუბლიკა საერო (სეკულარული) სახელმწიფოა და იგი რელიგიისა და მსოფლმხედველობის საკითხებში ნეიტრალურია.“⁸⁷ კანონის მე-7 მუხლი აწესებს პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეთა კონფესიურ თავისუფლებას. „ამავე კანონის მე-16 მუხლის თანახმად, სახელმწიფო თანამშრომლობს ეკლესიებსა და რელიგიურ ორგანიზაციებთან მშვიდობის შენარჩუნების, სახელმწიფოს განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობის საკითხებში. ეს თანამშრომლობა, ასევე, გამოიხატება [მაგ.] პოლონეთის კულტურული მემკვიდრეობის – რელიგიური ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურული ძეგლების – აღდგენასა და დაცვაში (მუხლი მე-17)...“⁸⁸

ეკლესიებისა და სარწმუნოებრივი გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსი

პოლონეთში საეკლესიო სამართალი ორი მიმართულებით განვითარდა: ზოგადი კონფესიური კანონი - რომელშიც მოიაზრება ყველა საერთო ნორმა, პოლონეთში მოქმედი ყველა ეკლესიისა და რელიგიური გაერთიანებისათვის (მაგ. კონსტიტუცია, 1989 წლის კანონი) და კერძო კონფესიური კანონი, რომელიც მოიცავს დებულებებს კონკრეტული ეკლესიის თუ სარწმუნოებრივი გაერთიანების შესახებ (მაგ. 1993/8 წლის კონკორდატი, 1991 წლის კანონი მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის შესახებ).⁸⁹

როგორც უკვე აღინიშნა, პოლონეთის საკანონმდებლო სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ არსებობს იურიდიული პირის საჯარო-სამართლებრივი სტატუსი, როგორც ასეთი. საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის დადგენა მხოლოდ პრაქტიკაში,

⁸⁷Ibid. გვ. 488.

⁸⁸Ibid. გვ. 488.

⁸⁹იხ.მისალ რინკოვსკი: „სახელმწიფო და ეკლესია პოლონეთში“, გვ. 489. აგრეთვე იხ. Piotr Mazurkiewicz: „Autonomy of the Church and Freedom of Religion in Poland“, გვ. 5.

სხვადასხვა მარეგულირებელი აქტების/დებულებების ფუნქციური ინტერპრეტაციით არის შესაძლებელი.⁹⁰

საეკლესიო სამართალი, ასევე, ერთმანეთისგან განასხვავებს ეკლესიებს (ქრისტიანულ გაერთიანებებს) და სხვა (არაქრისტიანულ) რელიგიურ/კონფესიურ გაერთიანებებს. პოლონური სამართლისთვის დამახასიათებელი შესაბამისი ტერმინებით არის აღნიშნული „ეკლესიები და სხვა სარწმუნოებრივი გაერთიანებები“ (*"Kościoły i inne związki wyznaniowe"*), რელიგიის თავისუფლება (*"wolność religii"*) და კონფესიის თავისუფლება (*"wolność wyznania"*). კანონის სფეროს, რომელიც განიხილავს რელიგიებთან და კონფესიებთან დაკავშირებულ საკითხებს, ძირითადად უწოდებენ კონფესიურ კანონს (*"prawo wyznaniowe"*).⁹¹

1989 წლის კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თითოეული ეკლესია ან რელიგიური გაერთიანება იძენს იურიდიული პირის სტატუსს სახელმწიფო რეგისტრში გატარების გზით. რაც შეეხება იურიდიული პირის შიდა სტრუქტურას, ორგანოებს, კომპეტენციას, დანიშვნის/არჩევის წესს და წარმომადგენლობას, ყველა ეს საკითხი, ამავე კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რეგულირდება რელიგიური გაერთიანებების შიდა კანონით/დებულებით.⁹²

მიუხედავად იმისა, რომ ყველა კანონიერად რეგისტრირებული ორგანიზაცია პოლონეთში ერთნაირი იურიდიული უფლებებით სარგებლობს, პრაქტიკული განსხვავება ეკლესიებსა და სარწმუნოებრივ გაერთიანებებს შორის გამოიხატება მათი რეგისტრაციის მეთოდში. შესაბამისად, ეკლესიები და სარწმუნოებრივი გაერთიანებები, მათი აღიარების ან რეგისტრაციის მიხედვით, ორ ჯგუფად იყოფა:

1. [ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები] რომლებიც ფუნქციონირებს იმ სპეციალური კანონის თანახმად, რომელიც

⁹⁰იხ. supra, გვ. 73-74. აგრეთვე Piotr Mazurkiewicz: „Autonomy of the Church and Freedom of Religion in Poland”, გვ. 11.

⁹¹მისალ რინკოვსკი: „სახელმწიფო და ეკლესია პოლონეთში”, გვ. 485.

⁹²Piotr Mazurkiewicz: „Autonomy of the Church and Freedom of Religion in Poland”, გვ. 11.

განსაზღვრავს ურთიერთობებს სახელმწიფოსა და გარკვეულ ეკლესიებსა და სარწმუნოებრივ გაერთიანებებს შორის;

2. [ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები] რომლებიც ფუნქციონირებს 1989 წლის კანონის საფუძველზე და იძლევიან სინდისისა და კონფესიური თავისუფლების გარანტიას, ამასთან, ქმნიან საერთო სტრუქტურას ყველა ეკლესიისა და სარწმუნოებრივი გაერთიანებისათვის პოლონეთში.⁹³

პირველ ჯგუფში შედიან ყველაზე დიდი და იმავდროულად ყველაზე ძველი რელიგიური გაერთიანებები. პოლონეთში 150-ზე მეტი აღიარებული ან რეგისტრირებული ეკლესიიდან და რელიგიური გაერთიანებიდან ამჟამად მხოლოდ თოთხმეტი მიეკუთვნება პირველ ჯგუფს. მათგან რამდენიმეს (3) სტატუსი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე განისაზღვრა,⁹⁴ ხოლო დანარჩენ (11) ეკლესიებთან და რელიგიურ გაერთიანებებთან სახელმწიფომ 1991-1997 წლებში მოაწესრიგა ურთიერთობა.

ამ კანონებით დარეგულირებული სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობის ჯგუფში გაერთიანდა პოლონეთის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (1991 წლის 4 ივლისის კანონი).

პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალურია. მართლმადიდებელი ეკლესიის დიპტიქში მას მე-13 ადგილი უკავია. ეკლესიის წინამძღოლია მისი უნეტარესობა საბა - არქიეპისკოპოსი ვარშავისა და სრულიად პოლონეთისა. ეკლესიას დღეისათვის ექვსი ეპარქია აქვს პოლონეთის ტერიტორიაზე.

ესენია: ვარშავა-ბელსკის, ბელოსტოკ-გდანსკის, ლოძ-პოზნანის, პერემიშლ-ნოვოსონდეტის, ვროცლავ-შჩეცინსკის, ლიუბლინო-ხოლმის ეპარქიები.

საინტერესოა, რომ მას ასევე აქვს ორი ეპარქია ბრაზილიაში - რიოდუანეიროსა და რესიფში. ეკლესიის იურისდიქცია ნაწილობრივ ვრცელდება პორტუგალიისა და ესპანეთის ტერიტორიებზე. 2012 წლის

⁹³მისალ რინკოვსკი: „სახელმწიფო და ეკლესია პოლონეთში“, გვ. 488.

⁹⁴აღმოსავლეთის ძველი წესის ეკლესია (რესპუბლიკის პრეზიდენტის დადგენილება, 1928 წლის 22 მარტი), ისლამური რელიგიური გაერთიანება (1936 წლის 21 აპრილი), ყარაიმული რელიგიური გაერთიანება(1936 წლის 21 აპრილი), იხ. ibid, გვ. 8.

მონაცემებით, მორწმუნე მართლმადიდებელთა რაოდენობა დაახლოებით 500 ათასია. ეკლესია ფლობს 237 ტაძარსა და 13 მონასტერს, ჰყავს 11 ეპისკოპოსი და 259 მღვდელმსახური.

ამ მონაცემებით მართლმადიდებელი ეკლესია რიგით მეორე ადგილზეა კათოლიკური ეკლესიის შემდეგ.

მართლმადიდებელი ეკლესია შედის რელიგიურ გაერთიანებათა პირველ ჯგუფში, სადაც სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად მიღებულია შესაბამისი საკანონმდებლო აქტი. ამ ჯგუფში არიან ყველაზე დიდი და ამავე დროს ყველაზე ძველი რელიგიური გაერთიანებები ქვეყანაში. როგორც ზემოთ მივუთითეთ, 1991 წლის 4 ივლისს პოლონეთის რესპუბლიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა ლეხ ვალენსამ ხელი მოაწერა კანონს, რომელმაც დაარეგულირა ურთიერთობა სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის.

პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესია შედის მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიათა შემადგენლობაში და ინარჩუნებს მათთან ერთობას დოგმატურ და კანონიკურ საკითხებში. ის დამოუკიდებელია ნებისმიერი ხელისუფლებისაგან და თავის შიდა საქმიანობაში ხელმძღვანელობს საკუთარი კანონებით. ეკლესია ახორციელებს როგორც საკულტო-რელიგიურ, ასევე სოციალურ, ჰუმანიტარულ თუ საქველმოქმედო საქმიანობას. სახელმწიფო მართლმადიდებლებისათვის დასვენების დღეებად აცხადებს შობასა და მის შემდგომ დღეს, ნათლილებას, ხარებას, აღდგომის მეორე დღეს, ფერიცვალებას და ღვთისმშობლის მიძინების დღეს.

კომუნისტური რეჟიმის შემდგომ ეკლესიას მიეცა საშუალება, გაეაქტიურებინა საქმიანობა. 1996 წელს დაარსებულ იქნა მართლმადიდებლური საქველმოქმედო ცენტრი „ელეოსი“, ეკლესიის სოციალური მსახურება ასევე მოიცავს დახმარების აღმოჩენას მიუსაფარი ბავშვების და უსახლკაროთათვის, მზრუნველობის სახლების ორგანიზებას და ა.შ.

სასულიერო განათლების მისაღებად ფუნქციონირებს სამი სასწავლო დაწესებულება - მართლმადიდებლური სასულიერო სემინარია და

საღვთისმეტყველო აკადემია ვარშავაში, ქრისტიანული ღვთისმეტყველების კათედრა ბელოსტოკის უნივერსიტეტში. ეკლესიას ასევე აქვს იკონოგრაფიის, მეფსალმუნეთა და საეკლესიო რეგენტთა სკოლა.

პოლონეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში როგორც ეპარქიების დონეზე, ასევე მთელი ეკლესიის მასშტაბით ფუნქციონირებს საძმოები, რომლებიც სხვადასხვა საკითხზე მუშაობენ. „ახალგაზრდა მართლმადიდებელთა საძმო,” ახალგაზრდებთან მუშაობითაა დაკავებული, „წმინდა კირილესა და მეთოდეს საძმოს” მუშაობის მიმართულება საგანმანათლებლო საქმიანობაა, „წმინდა ნიკოლოზის საძმო” დაკავებულია მომლოცველობითა და ქველმოქმედებით და ა.შ.

ეკლესია გამოსცემს რამდენიმე ჟურნალსა და გაზეთს პოლონურ, რუსულ და ბელარუსულ ენებზე.

პოლონეთის მთავარი მართლმადიდებლური სიწმინდე გრაბარკის წმინდა მთა და იქ მდებარე მონასტერია. ყოველწლიურად, 19 აგვისტოს - ფერიცვალების დღეს ათასობით მორწმუნე როგორც პოლონეთის სხვადასხვა რეგიონიდან, ასევე ბელორუსიიდან, ჩეხეთიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან ქალაქ ბელოსტოკიდან სამი დღის განმავლობაში აწყობს მსვლელობას. მომლოცველები მრავალკილომეტრიან გზას ფეხით, ჯვრებით ხელში გადიან, ხოლო ბოლო მონაკვეთი მორწმუნეებმა ჩოქვით უნდა გაიარონ და სამგზის შემოუარონ ტაძარს. ამის შემდგომ ხდება ჯვრების დაბრძანება. მსგავსი მასობრივი მსვლელობა სხვა დღესასწაულებზეც ეწეობა.

რუმინეთი

I. სოციალური ფაქტები

რუმინეთი (რუმ. România) მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე. სახელმწიფოს სახელწოდება მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან "Romanus", რაც რომაელს, რომში მცხოვრებს ნიშნავს. პირველად ტრანსილვანიის, მოლდავეთისა და ვლახეთის მცხოვრებნი "რუმინელებად" XVI საუკუნეში არიან მოხსენიებულნი. 1541 წლიდან რუმინული სამთავროები ოსმალთა იმპერიის სიუზერენიტეტს ექვემდებარებოდნენ. 1881 წელს შეიქმნა რუმინეთის სამეფო, ხოლო 1918 წლის 1 დეკემბერს მოხდა ყველა რუმინული მიწის გაერთიანება, რასაც "დიდ რუმინეთს" უწოდებდნენ.

რუმინეთის სამეფო გაუქმდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და დამყარდა კომუნისტური რეჟიმი, რომელმაც 1989 წლამდე იარსება. დემოკრატიული რუმინეთის მოქმედი კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1991 წლის 21 ნოემბერს და დამტკიცდა სახალხო რეფერენდუმის გზით იმავე წლის 8 დეკემბერს.

რუმინეთის სახელმწიფო ენა რუმინულია. იგი არის ინდოევროპულ ენათა რომანული ოჯახის აღმოსავლეთ რომანული (ვლახური) ენა.

რუმინეთის ფართობი 238.4 ათასი კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა – 20.1 მილიონი ადამიანი. 2011 წლის აღწერით, ქვეყნის მოსახლეობის 86.5% რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრია.

II. ისტორიული ცნობები

რუმინეთის საეკლესიო ისტორიის თანახმად, ადგილობრივი ეკლესიის დამაარსებლად ანდრია მოციქულს და პავლე მოციქულის მოწაფეებს მიიხნევენ. ასევე დასტურდება ქრისტიანული თემების არსებობა რუმინეთის ტერიტორიაზე ადრეული პერიოდიდანვე. გვიანდელ პერიოდში ჩამოყალიბებული ვლახეთისა და მოლდავეთის სამიტროპოლიტო კათედრები კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს ექვემდებარებოდნენ. 1708-1716 წლებში ვლახეთის სამიტროპოლიტო კათედრა ეკავა წარმოშობით ქართველს, საქართველოსა და რუმინეთის ეკლესიების საერთო დიდ მოღვაწეს, ანთიმოზ ივერიელს (რუმ. Antim Ivireanul). წმ. მღვდელმოწამე

ანტიმოხს დიდი წვლილი აქვს შეტანილი რუმინელი ხალხის ბრძოლაში თავისუფლებისათვის, ასევე, რუმინეთში საბჭოედი სტამბის გამართვაში (ისევე, როგორც საქართველოში) და საეკლესიო წიგნების რუმინულ ენაზე თარგმნაში.

ვლახეთისა და მოლდავეთის სამიტროპოლიტო კათედრების გაერთიანების შემდეგ, 1885 წელს აღიარებულ იქნა ერთიანი რუმინული ეკლესიის ავტოკეფალია. 1923 წელს რუმინეთის ხელისუფლებამ მართლმადიდებელ ეკლესიასა და რომის კათოლიკურ ეკლესიასთან უნიაში მყოფ ეკლესიას „ეროვნული ეკლესიების“ სტატუსი მიანიჭა. 1925 წელს რუმინეთის ეკლესიის მეთაურს მიენიჭა „პატრიარქის“ ტიტული.

1925 წლიდან რუმინეთის ეკლესიას პატრიარქის რანგში წინამძღოლობდნენ: მირონი (1925–1939), ნიკოდიმი (1939–1948), იუსტინიანე (1948–1977), იუსტინე (1977–1986), თეოქტისტე (1986–2007). 2007 წლიდან ეკლესიის საჭეთმპყრობელია მისი უნეტარესობა, პატრიარქი დანიელი (ჩობოტეა).

III. ძირითადი სტრუქტურა

1. რელიგიის თავისუფლება

რუმინეთი სეკულარული სახელმწიფოა. კონსტიტუციის თანახმად, განმტკიცებულია რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლება. საინტერესოა, რომ, რუმინეთის კონსტიტუციით, რელიგიური ორგანიზაციები ავტონომიური არიან და კონსტიტუციითვეა განმტკიცებული მათთვის სახელმწიფოსგან მხარდაჭერის მიღება.

რუმინეთის კონსტიტუცია

1991 წელს მიღებული რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, განმტკიცებულია ადამიანთა თანასწორობა, კერძოდ, კონსტიტუციის მე-4 მუხლის თანახმად:

„მუხლი 4: ხალხის ერთიანობა და მოქალაქეთა თანასწორობა

1. სახელმწიფო წყობა ემყარება რუმინელი ხალხის ერთიანობას და მის მოქალაქეთა თანასწორობას.

2. რუმინეთი არის საერთო და განუყოფელი სამშობლო მისი მოქალაქეებისათვის, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, რომელიც დაეფუძნება რასას, ეროვნებას, ეთნიკურ წარმომავლობას, ენას,

რელიგიას, სქესს, შეხედულებას, პოლიტიკურ კუთვნილებას, საკუთრებას ან სოციალურ წარმომავლობას.“

რელიგიის მხრივ თანასწორობა ასევე განმტკიცებულია კონსტიტუციის მე-6 (თვითშეგნების უფლება) და მე-7 (უცხოეთში მცხოვრები რუმინელები) მუხლებით:

„მუხლი 6: თვითშეგნების უფლება

1. სახელმწიფოს მიერ აღიარებული და გარანტირებულია პირთა უფლება მიეკუთვნებოდნენ ეროვნულ უმცირესობას მათი ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითშეგნების დაცვის, განვითარებისა და გამოხატვის მიზნით.

2. დაცვის ზომები, რომლებსაც გამოიყენებს რუმინეთის სახელმწიფო იმ პირთა თვითშეგნების დაცვის, განვითარებისა და გამოხატვის დროს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, თანხმობაში უნდა იყოს თანასწორობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპთან რუმინეთის სხვა მოქალაქეებთან მიმართებით.

მუხლი 7: უცხოეთში მცხოვრები რუმინელები

სახელმწიფო მხარს უჭერს იმ რუმინელებთან კავშირის გაძლიერებას, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ და იმოქმედებს მათი ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითშეგნების დაცვის, განვითარებისა და გამოხატვისთვის, იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან.“

რაც შეეხება აღმსარებლობას, მას ეხება კონსტიტუციის 29-ე მუხლი:

“მუხლი 29: სინდისის თავისუფლება

1. მოსაზრების, შეხედულების და რელიგიური რწმენის თავისუფლება დაუშვებელია რაიმე ფორმით აიკრძალოს. არავის იძულება არ შეიძლება მიიღოს შეხედულება ან რელიგია მისი ნების საწინააღმდეგოდ.

2. სინდისის თავისუფლება გარანტირებულია; ის უნდა გამოიყენებოდეს შემწყნარებლობის სულისკვეთებით და ურთიერთპატივისცემით.

3. ყველა რელიგია თავისუფალია და მოწყობილია მათი დებულებების საფუძველზე, კანონით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად.

4. კულტა შორის ურთიერთობაში ნებისმიერი ფორმის, სახის რელიგიური შეუღლი აკრძალულია.
5. რელიგიური კულტები ავტონომიურია სახელმწიფოსგან და მისგან იღებენ მხარდაჭერას, მათ შორის, არმიაში, საავადმყოფოებში, საპატიმროებსა და ობოლთა თავშესაფრებში რელიგიური თანადგომის განხორციელებისას.”

კონსტიტუციის 32-ე მუხლის მე-7 პუნქტი განამტკიცებს და იცავს რელიგიურ განათლებას:

"7. სახელმწიფო უზრუნველყოფს რელიგიური განათლების თავისუფლებას, იმ სპეციალური მოთხოვნების შესაბამისად, რაც აქვს თითოეულ რელიგიურ კულტს. საჯარო სკოლებში რელიგიური განათლება ორგანიზებული და გარანტირებულია კანონით."

საინტერესოა რუმინეთის კონსტიტუციის 42-ე მუხლი, რომელიც ეხება იძულებითი შრომის აკრძალვას და მისი მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი, რომელშიც განხილულია რელიგიური რწმენის გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლება:

“მუხლი 42: იძულებითი შრომის აკრძალვა

2. იძულებით შრომად არ ითვლება:

ა) საქმიანობა სამხედრო სამსახურის ფარგლებში, ისევე როგორც საქმიანობა მის ნაცვლად, კანონის თანახმად, რელიგიური ან სინდისთან დაკავშირებული სხვა მიზეზის გამო;”.

კონსტიტუციის 48-ე მუხლი ეხება ქორწინების საკითხს. საგულისხმოა, რომ რუმინეთის კონსტიტუცია ავალდებულებს მორწმუნეებს, რელიგიური ქორწინების წესი შეასრულონ მხოლოდ სამოქალაქო ქორწინების შემდეგ:

"მუხლი 48: ოჯახი

2. დაქორწინების პირობები, განქორწინება და ქორწინების ბათილობა განისაზღვრება კანონით. რელიგიური ქორწინება შეიძლება მხოლოდ სამოქალაქო ქორწინების შემდეგ."

რუმინეთის კონსტიტუციით არის განსაზღვრული, რომ რუმინეთის კულტების შესახებ საკანონმდებლო აქტი უნდა იყოს ორგანული კანონის დონის (მუხლი 73, პუნქტი 3, ქვეპუნქტი "ს").

2. რუმინეთის კანონმდებლობა აღმსარებლობათა შესახებ

როგორც ზემოთ აღინიშნა, რუმინეთს 2006 წელს მიღებული აქვს ორგანული კანონი „რელიგიის თავისუფლებისა და აღმსარებლობათა ზოგადი სტატუსის შესახებ“. კანონი შედგება 4 თავისა და 51 მუხლისგან. კანონი ადგენს რელიგიური ორგანიზაციების სტატუსს, მათ ძირითად უფლებებს, აღიარების (რეგისტრაციის) წესს, ასევე მის დანართში მოცემულია აღიარებული 18 რელიგიური გაერთიანების ნუსხა.

ა) ეკლესიის სტატუსი

კანონის თანახმად, რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი (მუხლი მე-8). კანონი ცნობს ეკლესიის განსაკუთრებულ როლს რუმინეთისთვის:

„მუხლი 7

1. რუმინეთის სახელმწიფო აღიარებს აღმსარებლობათა სულიერ, საგანმანათლებლო, სოციალურ-საქველმოქმედო, კულტურულ და სოციალური თანამშრომლობის როლს, ისევე, როგორც მათ სტატუსს, როგორც სოციალური მშვიდობიანობის ფაქტორს.

2. რუმინეთის სახელმწიფო აღიარებს რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს რუმინეთის ეროვნულ ისტორიაში და რუმინული საზოგადოების ცხოვრებაში, ასევე სხვა აღმსარებლობების როლს“.

კანონი ეკლესიას ანიჭებს უფლებას, შიდასაეკლესიო მიზნებისთვის გამოიყენოს კანონიკური სამართლის ნორმები (მუხლი 8, პუნქტი 3).

ბ) თანამშრომლობა რელიგიურ აღმსარებლობებთან

კანონის საფუძველზე რუმინეთის სახელმწიფო ადგენს სრულ ნეიტრალიტეტს რელიგიური აღმსარებლობების მიმართ, თუმცა, იმავდროულად, ნებას რთავს სახელისუფლო ორგანოებს, მხარი დაუჭირონ და ითანამშრომლონ რელიგიურ აღმსარებლობებთან,

გააფორმონ მათთან შეთანხმებები და განახორციელონ საერთო პროექტები:

„მუხლი 9

1.რუმინეთში არ არის სახელმწიფო რელიგია; სახელმწიფო ნეიტრალურია ნებისმიერი რელიგიური მოძღვრებისა თუ ათეისტური იდეოლოგიის მიმართ.

2.აღმსარებლობანი თანასწორი არიან კანონის და ხელისუფლების წინაშე. სახელმწიფო, თავისი ხელისუფლების მეშვეობით არ ახორციელებს და არც მხარს უჭერს პრივილეგიის მინიჭებას ან დისკრიმინაციის გამოყენებას რომელიმე აღმსარებლობის მიმართ.

3.ხელისუფლება თანამშრომლობს აღმსარებლობებთან საერთო ინტერესის სფეროში და მხარს უჭერს მათ საქმიანობას.

4.რუმინეთის სახელმწიფო, მისი ხელისუფლების იურისდიქციის ფარგლებში, მხარს უჭერს რუმინეთში აღიარებული აღმსარებლობების სულიერ-კულტურულ და სოციალურ საქმიანობას სხვა ქვეყნებში.

5.ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეიძლება ხელი მოაწეროს თანამშრომლობის შეთანხმებას აღიარებულ აღმსარებლობებთან საერთო ინტერესების სფეროში, ისევე როგორც შეთანხმებებს აღმსარებლობათა ტრადიციის ცალკეული სპეციფიკური ასპექტების მოწესრიგებისთვის, რომლებიც კანონის შესაბამისად დამტკიცებას ექვემდებარება.“

IV. კულტურა და საკულტო ნაგებობები

რუმინეთის კანონმდებლობა მხარს უჭერს რელიგიური აღმსარებლობების აქტიურ ჩართვას ქვეყნის კულტურულ საქმიანობაში. აღნიშნულ სფეროს ეხება რამდენიმე საკანონმდებლო აქტი. ცალკე არის რეგულირებული საკულტო ნაგებობების საკითხი, როგორც ახლის მშენებლობის, ისე არსებულით სარგებლობის. სპეციალური ნორმა აწესრიგებს ისტორიული ძეგლებისა და, ასევე, სოციალისტური რეჟიმის დროს ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის საკითხებს.

ა) ისტორიული ძეგლების დაცვა

კანონის თანახმად, ისტორიული ძეგლი განმარტებულია, როგორც რუმინეთში მდებარე უძრავი ქონება, ნაგებობა ან მიწა, რომელიც მნიშვნელოვანია ეროვნული ან მსოფლიო ისტორიის, კულტურისა და ცივილიზაციისათვის. კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ყველა ისტორიული ძეგლი აღიარებულია ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად და დაცულია კანონით.

კანონის მე-3 მუხლში, სადაც განსაზღვრულია ისტორიული ძეგლების სამი კატეგორია (ძეგლი; ადგილმდებარეობა; ბუნების ძეგლი), ძეგლის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორად აღიარებულია მისი რელიგიური მნიშვნელობა.

კანონი ადგენს ისტორიული ძეგლების როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის საკუთრებაში არსებობის უფლებას. თუმცა, თუკი ისტორიული ძეგლი არასახელმწიფო სექტორის საკუთრებაში ირიცხება, იგი ექვემდებარება სამოქალაქო საზოგადოების წედომას, რაც კანონის საფუძველზე დგინდება. ისტორიული ძეგლის გასხვისება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ რუმინეთის სახელმწიფომ უარი თქვა მის შექენაზე (მუხლი 4, პუნქტი 4) და გასხვისების შემდეგაც მას უნარჩუნდება ძეგლის სტატუსი და სახელმწიფო დაცვა (მუხლი მე-5). კანონის მიხედვით, ისტორიული ძეგლები, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ერთიანდებიან ორ ჯგუფში: ეროვნული და მსოფლიო ღირებულების მქონე; ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის კონკრეტული ძეგლის მიკუთვნების საკითხს წყვეტს ისტორიული ძეგლების ეროვნული ინსტიტუტი (მუხლი 22, პუნქტი 1).

კანონი (მე-9 მუხლი) საგანგებოდ იცავს ისტორიული ძეგლის ფარგლებში შესრულებულ ღმრთისმსახურებას:

„წინებისმიერი ღონისძიება ღია ცის ქვეშ, რომელმაც შეიძლება წარმოქმნას იმგვარი ხმაური ან განათება, რომ ხელი შეეშალოს რელიგიურ მსახურებას ისტორიული ძეგლის დაცულ ზონაში, რომელიც გამოიყენება, როგორც საკულტო ადგილი, აკრძალულია.

6.გამონაკლისის სახით, მე-5 პუნქტში აღნიშნული ღონისძიება შეიძლება მოეწიოს, თუ იგი არ შეუშლის ხელს რელიგიურ მსახურებას იმ რელიგიური ხელისუფლების თანხმობით, რომელიც მართავს საკულტო ადგილს“.

ბ) მოქმედი საკულტო ნაგებობების სტატუსი

მოქმედი საკულტო ნაგებობების სტატუსს განსაზღვრავს რუმინეთის კანონი „იმ ცალკეული ნაგებობების სამართლებრივი სტატუსის შესახებ, რომლებსაც იყენებენ რელიგიური გაერთიანებები“.

კანონის პირველი მუხლით დადგენილია, რომ ის ნაგებობები, რომლებიც სახელმწიფოს ან ტერიტორიული ერთეულების საკუთრება იყო და გადაცემული ჰქონდათ აღმსარებლობებს 1990 წლის 1 იანვრის შემდეგ, შეიძლება მათ საკუთრებაში მიეცეთ, ამ კანონის პირობების დაცვით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულია გამონაკლისი ზიანის ანაზღაურებისათვის. კერძოდ, თუ კონკრეტული საკულტო ნაგებობის გამო აღმსარებლობის განაცხადი განხილვაშია, საკუთრების საკითხის განხილვა გადაიდება ამ განაცხადზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

საკულტო ნაგებობის გადაცემის მსურველმა რელიგიურმა გაერთიანებამ უნდა წარადგინოს რამდენიმე დოკუმენტი, მათ შორის, ნაგებობის და მიმდებარე ტერიტორიის აღწერილობა და მის მიერ ფლობის (სარგებლობის) დამადასტურებელი საბუთი. საკითხზე გადაწყვეტილების მიღების ვადაა 60 დღე.

საგულისხმოა კანონის მე-4 მუხლი, რომლის თანახმად, ამ კანონის საფუძველზე საკუთრებაში მიღებული უძრავი ქონების გასხვისება მისი შექენიდან 30 წლის განმავლობაში დაუშვებელია.

გ) ჩამორთმეული ქონების რესტიტუცია

რუმინეთმა 2000 წელს მიიღო მთავრობის დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა სოციალისტური რეჟიმის დროს რელიგიური გაერთიანებებისათვის ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის ან ჩამორთმეული ქონების სანაცვლოდ კომპენსირების საკითხი. აქტში 2002 წელს შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რასაც წინ უძღოდა (1999 წელს) რუმინეთის მთავრობის დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა უძრავი ქონების რესტიტუციის საკითხი ეთნიკური უმცირესობებისათვის.

როგორც 1999 წლის, ისე 2000 წლის დადგენილებები თავიდანვე მოექცა კრიტიკის ქვეშ, რადგან ისინი არ იძლეოდა 1940-1945 წლებში ნაცისტური რეჟიმის დროს ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესაძლებლობას. ხსენებული განსაკუთრებით დაზარალდნენ

იუდეური თემის წარმომადგენლები. დასავლელი პარტნიორების რეკომენდაციით, რუმინეთმა 2004 წელს მიიღო ახალი დადგენილება, რომლის მოქმედებაც გავრცელდა 1940 წლის 6 სექტემბრიდან წარმოშობილ სარესტიტუციო მოთხოვნებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ხსენებული ნორმატიული აქტების მიმართ კრიტიკა შეეხებოდა დანგრეული საკულტო ნაგებობების კომპენსაციას (ან არსებული უძრავი ქონების სახით რესტიტუციას), რაც ამ დადგენილებებით გათვალისწინებული არ ყოფილა. კომპენსაცია სხვა შემთხვევებისთვის არის განსაზღვრული.

2000 წლის დადგენილების პირველი მუხლის თანახმად „ნაგებობები, რომლებიც ეკუთვნოდათ რელიგიურ კულტებს რუმინეთში და რუმინეთის სახელმწიფოს სახელით ან მის გარეშე, 1945 წლის 6 მარტსა და 1989 წლის 22 დეკემბერს შორის იქნა ჩამორთმეული, ამ დადგენილების შესაბამისად ექვემდებარება დაბრუნებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სალოცავი ობიექტი ბუნების ძეგლია“. დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტი შეეხება იმ შემთხვევას, როდესაც ნაწილობრივ გამოიყენებოდა ჩამორთმეული ქონება და დარჩენილი ნაწილის დაბრუნება შესაძლებელი იყო, თუმცა ეს პუნქტი ამოღებულია.

დადგენილების პირველი მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ყველა განაცხადი, რომელიც შეეხება რელიგიური გაერთიანებებისათვის ჩამორთმეული ქონების რესტიტუციას, უნდა წარდგენილიყო რესტიტუციის სპეციალურ კომიტეტში დადგენილების ძალაში შესვლიდან 6 თვის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ხდება არა განაცხადის, არამედ პრეტენზიის წარდგენა.

იმავე მუხლის მე-6 პუნქტი აღგენს საგამონაკლისო ნორმებს, კერძოდ, ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც პატივსაღები მიზეზების გამო უძრავი ქონების დაბრუნება ვერ ხერხდება:

„ნ. თუ რესტიტუციას დაქვემდებარებული ნაგებობები საჯარო ინტერესს განეკუთვნება განათლების ან კვლევითი, ჯანმრთელობის ან სოციალურ-კულტურული დაწესებულებების საქმიანობის მხრივ, მასში განთავსებულია რეგისტრირებული პოლიტიკური პარტია, დიპლომატიური წარმომადგენლობა, საკონსულო დაწესებულება, რუმინეთში აკრედიტებული საერთაშორისო ორგანიზაცია, განმცხადებელმა რესტიტუციის სანაცვლოდ შეიძლება აირჩიოს:

ა) მიიღოს სხვა ქონება, რისთვისაც 5 წლის განმავლობაში მიიღებს შეღავათებს. ამ პერიოდში მესაკუთრე გათავისუფლდება ქონების გადასახადისგან და მთავრობის გადაწყვეტილებით დადგენილი ქირისგან;

ბ) მიიღოს ეკვივალენტური კომპენსაცია“.

რაც შეეხება რესტიტუციის სპეციალურ კომიტეტს, იგი კომპლექტდება შემდეგი უწყებების წარმომადგენლებით:

ა) კულტურის სამინისტრო;

ბ) იუსტიციის სამინისტრო;

გ) საჯარო მმართველობის სამინისტრო;

დ) ფინანსთა სამინისტრო;

ე) მთავრობის გენერალური სამდივნო;

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2006 წლის ჩათვლით სულ 14 716 განაცხადი იქნა წარდგენილი კომპეტენტურ ორგანოებში (აქედან 2 215 რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ). სხვადასხვა ცნობებით, დაბრუნებული ქონების საერთო რიცხვი 500-ს არ აღემატება.

დ) მაუწყებლობა

2002 წელს მიღებული რუმინეთის „აუდიო-ვიზუალური კანონი“ აწესრიგებს მაუწყებლობასთან, მის შინაარსთან და პრინციპებთან დაკავშირებულ არაერთ საკითხს. კანონის რეგულაცია შეეხება, აგრეთვე, რელიგიურ ორგანიზაციებს და რელიგიის სფეროს გაშუქების თემატიკასაც.

კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს, რომ სხვა მიზნებთან ერთად მაუწყებლობის ერთ-ერთი მიზანია უზრუნველყოს ქვეყანაში რელიგიური მრავალფეროვნების წარმოდგენა:

„1. პროგრამების მაუწყებლობით და რეტრანსლირებით მიღწეული და უზრუნველყოფილი იქნეს პოლიტიკური და სოციალური პლურალიზმი, კულტურული, ენობრივი და რელიგიური მრავალფეროვნება, საზოგადოების ინფორმირება, განათლება და გართობა, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემა“.

კანონის საფუძველზე მოქმედი ეროვნული აუდიო-ვიზუალური საბჭოს ფუნქციებში შედის, იყოს გარანტი არადისკრიმინაციული პოლიტიკისა, მათ შორის, რელიგიის სფეროში:

„მუხლი 17.

1. საბჭოს ვგალებათ:

დ) გამოსცეს, ამ კანონის შესაბამისად, მარეგულირებელი სტანდარტების შესახებ გადაწყვეტილებები, ამ კანონითვე განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, კერძოდ:

- არადისკრიმინაციული პოლიტიკა, რომელიც მოიცავს რასას, სქესს, ეროვნებას, რელიგიას, პოლიტიკურ მრწამსს ან სექსუალურ ორიენტაციას”.

კანონის 29-ე მუხლი ეხება რეკლამირების დროს არადისკრიმინაციულობის პრინციპის დაცვას და ამასთან, რელიგიისა და პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე შეურაცხყოფის აკრძალვას:

„1. რეკლამირება, მათ შორის თვითრეკლამა და ტელემარკეტინგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- არ შეიცავდეს რაიმე ფორმის დისკრიმინაციას, რაც ეფუძნება რასას, რელიგიას, ეროვნებას, სქესს ან სექსუალურ ორიენტაციას;

დ) არ შეურაცხოს მაყურებლების და მსმენელების რელიგიური ან პოლიტიკური მრწამსი;“

ანალოგიურ საკითხს შეეხება კანონის მე-40 მუხლიც:

„მუხლი 40.

აკრძალულია იმგვარი პროგრამის გადაცემა, რომელიც შეიცავს რასის, რელიგიის, ეროვნების, სქესის ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე სიძულვილის რაიმე მინიშნებას“.

რაც შეეხება ხსენებული ორი ნორმის დარღვევას, კანონის 95-ე მუხლი აღნიშნულისათვის ლიცენზიის ჩამორთმევას ითვალისწინებს.

კანონი ადგენს საგამონაკლისო ნორმებს რელიგიური ორგანიზაციებისათვის, ლიცენზიის გადაცემის შესახებ:

„მუხლი 56

1. ციფრული აუდიო-ვიზუალური ლიცენზია შეიძლება გადაეცეს მესამე მხარეს მხოლოდ საბჭოს თანხმობით, თუ ახალი მფლობელი დაფარავს ყველა ვალდებულებას, რაც მიიღო ლიცენზიით და წარადგენს იმ კომპანიის საგადასახადო სერტიფიკატს, რომელიც ფლობს ლიცენზიას.

2.გამონაკლისია ლიცენზიები, რომლებიც მიეცემა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რელიგიურ გაერთიანებებს და საჯარო მმართველობის ორგანოებს“.

V. შრომის კანონმდებლობა

რუმინეთის შრომის კანონმდებლობის მთავარი დოკუმენტია ქვეყნის შრომის კოდექსი, რომელიც 2003 წლის 24 იანვარს არის მიღებული. კოდექსი, კონსტიტუციური ნორმების და, ზოგადად, რუმინეთის სხვა კანონების მსგავსად, ადგენს აკრძალვას ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციისათვის, მათ შორის, რელიგიური ნიშნით. ამავე დროს, კოდექსით დადგენილია სპეციფიკური ნორმები ცალკეული აღმსარებლობებისთვის, კერძოდ, სახელმწიფო უქმე დღეების მხრივ.

დისკრიმინაციის აღმოფხვრას ეხება შრომის კოდექსის მე-5, 59-ე და 159-ე მუხლები. პირველი მათგანით დადგენილია დისკრიმინაციის აკრძალვა, ზოგადად, შრომითი ურთიერთობის სფეროში, მეორე – დასაქმებულის გათავისუფლებისას, ხოლო მესამე – ხელფასის გაცემისას:

„მუხლი 5

1.სამუშაო ურთიერთობის ფარგლებში, თანასწორი მოპყრობის პრინციპი თანაბრად შეეხება ყველა დასაქმებულს და დამსაქმებელს.

2.ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაცია, მიმართული დასაქმებულის მიმართ, დაფუძნებული ისეთ კრიტერიუმებზე, როგორცაა: სქესი, გენეტიკური თავისებურებანი, ასაკი, ეროვნული წარმომავლობა, რასა, კანის ფერი, ეთნიკური წარმოშობა, რელიგია, პოლიტიკური შეხედულება, სოციალური წარმომავლობა, სექსუალური ორიენტაცია, ფიზიკური უუნარობა, ოჯახური მდგომარეობა ან პასუხისმგებლობა, კავშირებში წევრობა ან საქმიანობა, აკრძალულია“.

„მუხლი 59

აკრძალულია დასაქმებულის გათავისუფლება:

ა) დაფუძნებული ისეთ კრიტერიუმებზე, როგორცაა: სქესი, გენეტიკური თავისებურებანი, ასაკი, ეროვნული წარმომავლობა, რასა, კანის ფერი, ეთნიკური წარმოშობა, რელიგია, პოლიტიკური შეხედულება, სოციალური წარმომავლობა, სექსუალური ორიენტაცია,

ფიზიკური უუნარობა, ოჯახური მდგომარეობა ან პასუხისმგებლობა, კავშირებში წევრობა ან საქმიანობა“.

„მუხლი 159

1. ხელფასი უნდა იყოს დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაოს ეკვივალენტური, დაფუძნებული შრომით ხელშეკრულებაზე.

2. შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოსათვის, ყოველ დასაქმებულს უფლება აქვს, მიიღოს ფულის ერთეულში გამოხატული ხელფასი.

3. ხელფასის დადგენისა და მიცემისას, გამორიცხულია ყოველნაირი დისკრიმინაცია, რაც შეიძლება ეფუძნებოდეს ისეთ კრიტერიუმებს, როგორცაა: სქესი, გენეტიკური თავისებურებანი, ასაკი, ეროვნული წარმომავლობა, რასა, კანის ფერი, ეთნიკური წარმოშობა, რელიგია, პოლიტიკური შეხედულება, სოციალური წარმომავლობა, სექსუალური ორიენტაცია, ფიზიკური უუნარობა, ოჯახური მდგომარეობა ან პასუხისმგებლობა, კავშირებში წევრობა ან საქმიანობა“.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ტრადიციულად, შრომის კოდექსით დადგენილია უქმე დღეები. რუმინეთში სულ არის დადგენილი 7 სახელმწიფო დღესასწაული, რომელთაგან 4 რელიგიურია და იგი განეკუთვნება ქრისტიანულ დღესასწაულთა რიცხვს. საგულისხმოა, რომ ქრისტიანული დღესასწაულები შრომის კოდექსში, განსხვავებით საერო დღესასწაულებისაგან, მოცემულია მხოლოდ სახელწოდებით და არა კონკრეტული თარიღით, რაც დასვენების საშუალებას აძლევს იმ ქრისტიანებსაც, რომლებიც განსხვავებული კალენდრით ხელმძღვანელობენ. კოდექსით, ასევე, დადგენილია არაქრისტიანი მორწმუნეების უფლება დაისვენონ თავიანთი დღესასწაულის დღეებში ყოველ 3 დღესასწაულზე 2 დღე.

139-ე მუხლის თანახმად:

„1. კანონიერი დღესასწაულები, რომელთა დროს მუშაობა არ უნდა შესრულდეს, არის:

- 1 და 2 იანვარი;
- აღდგომის პირველი და მეორე დღე;
- 1 მაისი;
- სულთმოფენობის პირველი და მეორე დღე;
- ღვთისმშობლის მიძინება;
- 1 დეკემბერი;

- ქრისტიანობის პირველი და მეორე დღე;

-2 დღე ყოველ 3 წლიურ რელიგიურ დღესასწაულზე, რომელიც დღესასწაულად არის გამოცხადებული კანონით აღიარებული რელიგიების მიერ, გარდა ქრისტიანულისა, იმ პირთათვის, რომლებიც ამ რელიგიას მიეკუთვნებიან“.

VI. ეკლესიისა და სასულიერო პირთა დაფინანსება

რუმინეთის სახელმწიფო, თანახმად ქვეყნის კონსტიტუციისა და რელიგიურ გაერთიანებათა კანონისა, ფინანსურ დახმარებას რეგულარულად აღმოუჩენს როგორც რუმინეთის მართლმადიდებელ ეკლესიას, ისე კანონის საფუძველზე აღიარებულ სხვა აღმსარებლობებს.

ა) ეკლესიის დაფინანსება

რუმინეთის ბიუჯეტი პერიოდულად (არა ყოველწლიურად) გამოყოფს ასიგნებებს საკულტო ნაგებობათა დასაფინანსებლად. მიმდინარე წელს რელიგიური გაერთიანებების საკულტო ნაგებობების დაფინანსება გათვალისწინებული არ არის. ზოგადად, რელიგიური გაერთიანებებისათვის ფინანსური მხარდაჭერის ფორმები განსაზღვრულია 2001 წელს გამოცემული №82 დადგენილებით.

დადგენილების პირველი მუხლით, რუმინეთში აღიარებული რელიგიური აღმსარებლობების დაწესებულებები, ასევე, თეოლოგიური სასწავლებლები და დაწესებულებები, რომლებიც ლიცენზირებული და აკრედიტებული არიან კანონის საფუძველზე და არ არიან ინტეგრირებული საჯარო სკოლებში, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან იღებენ მხარდაჭერას იმ ზომით, რაც უზრუნველყოფს სახელფასო ფონდის შევსებას რელიგიურ გაერთიანებათა ცენტრალური და ადგილობრივი ფინანსების მიერ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებს ზემოთ.

დადგენილება ითვალისწინებს არასასულიერო პირთა შრომის ანაზღაურებასაც, წინასწარ განსაზღვრული კვოტებით:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტიდან – იმ 17 500 პირისთვის, ვინც ჩართულია რელიგიური გაერთიანებების საქმიანობაში;

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან:

–იმ 300 პირისთვის, ვინც ჩართულია საღვთისმეტყველო განათლების სფეროში;

–იმ 30 პირისთვის, ვინც ემსახურება რუმინეთის მართლმადიდებელ ეკლესიას.

დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად, დასაშვებია ასიგნებების გამოყოფა რელიგიური აღმსარებლობებისათვის, რომლებიც განკუთვნილია სალოცავი ადგილების დაცვისა და შენახვისათვის. იქვეა აღნიშნული, რომ ეს არ ეხება იმ საკულტო ნაგებობებს, რომლებიც, კანონმდებლობის შესაბამისად, აღიარებულია ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობად.

როგორც პრაქტიკა აჩვენებს, რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესია გაცილებით მეტ ანაზღაურებას იღებს სახელმწიფოსგან, ვიდრე სხვა რელიგიური უმცირესობები. მაგალითისთვის, რუმინეთის მართლმადიდებელ ეკლესიას 2000 წელს სახელმწიფო ბიუჯეტმა ჩაურიცხა 11 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტი ლეუ, ხოლო 2004 წელს – 6.9 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტი.

რუმინეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ, სახელმწიფოსგან მიღებული ფინანსების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოყენებით, ბოლო წლებში ააშენა არაერთი ტაძარი, მათ შორის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და სამხედრო ნაწილებში. აუცილებელია აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მიერ კომუნისტური რეჟიმის დროს აღმსარებლობებისთვის ჩამორთმეული ქონების დაბრუნების საკითხი დღემდე სადავო თემაა.

ბ) სასულიერო პირთა დაფინანსება

რუმინეთის კანონმდებლობა ნებას რთავს სახელმწიფოს, რომ ხელფასი დაუნიშნოს ყველა აღიარებული აღმსარებლობის სასულიერო პირს. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ ანაზღაურებას მხოლოდ რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურები იღებენ.

რუმინეთში სასულიერო პირთა დასი სტატუსით გათანაბრებულია სახელმწიფო მოხელეებთან და, შესაბამისად, მათთვის განსაზღვრული სახელფასო განაკვეთი ეკვივალენტურია სახელმწიფო მოხელეთა შრომის ანაზღაურებისა. სასულიერო პირთათვის გამოყოფილი

ხელფასის საერთო ოდენობა მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შეადგენს 315 084 ლეუს.

ყველაზე მაღალი სახელფასო განაკვეთი დადგენილია რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქისათვის და იგი მიმდინარე წელს შეადგენს 8,817 ლეუს. რუმინეთის ბერძნულ-კათოლიკური (უნიატური) ეკლესიის მთავარეპისკოპოსისათვის, რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტისა და რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მიტროპოლიტისათვის ერთი და იმავე ოდენობის სახელფასო განაკვეთია განსაზღვრული და იგი შეადგენს 8 122 ლეუს.

რანგირებით შემდეგია აღიარებული რელიგიური აღმსარებლობის მეთაურის ხელფასი (მთავარი რაბინი, მუფთი, მიტროპოლიტი, ეპისკოპოს-პრეზიდენტი) და იგი მიმდინარე წელს 7 643 ლეუა. შემდეგ ჯგუფში შედიან მხოლოდ რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიების იერარქები, კერძოდ ეპისკოპოსები იღებენ 6 691 ლეუს, ხოლო მათგან – პატრიარქის ვიკარიუსი (ქორეპისკოპოსი) – 6 994 ლეუს.

სამღვდელმთავრო დასის შემდეგ მოდის სამღვდელო ქიროტონის სასულიერო პირთა სახელფასო განაკვეთები. 2 419 ლეუს იღებენ პატრიარქის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, გენერალური მდივანი და რაბინის მოადგილე. 1 994 ლეუა მიმდინარე წელს გამოყოფილი პატრიარქის მდივნისთვის, ეკლესიის გენერალური ინსპექტორისა და ეპისკოპოსის ვიკარიუსისთვის.

რუმინეთის სახელმწიფო წლიური ბიუჯეტიდან 1 525 ლეუს გამოყოფს საპატრიარქო კანცელარიის მდივნისთვის, საეპარქიო მრჩეველებისთვის, მღვინებისთვის, აგრეთვე ეგზარქოსისა და დეკანოზისთვის. 1 313 ლეუთი ფინანსდებიან მონასტრის არქიმანდრიტები, იღუმენები და სხვა წინამძღვრები.

სახელმწიფო ბიუჯეტის რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების თავეში შემდეგი ბლოკი ეძღვნება საღვთისმეტყველო და სხვა სასულიერო საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგებს. მათი ხელფასები, სამეცნიერო რანგის მიხედვით 1 936 ლეუდან 1 021 ლეუმდე მერყეობს.

გ) ათონის მთის რუმინული სკიტის დაფინანსება

ათონის წმინდა მთა საბერძნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს. მას საბერძნეთის კონსტიტუციის თანახმად, სამონასტრო ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი აქვს მინიჭებული. ათონის მთაზე მდებარეობს 20 მონასტერი და 12 სკიტი. ზოგიერთი მათგანი დაფუძნებულია არაბერძენი ბერების მიერ. იმის მიუხედავად, რომ კანონიკურად ყველა მონასტერი კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს ექვემდებარება, ეთნიკური ნიშნით დაარსებული მონასტრები ინარჩუნებენ გარკვეულ კავშირს თავიანთი წარმოშობის ქვეყნებთან და მათ ეკლესიებთან.

ათონის მთის მონასტერთაგან დიდი ლავრის დაქვემდებარებაში იოანე ნათლისმცემლისა და წინამორბედის სკიტი, ე.წ. „პროდრომუ“ (დასახელება მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან ΤιμόσιοςΠροδρόμος – პატიოსნისა წინამორბედისა), რომელიც 1750 წელს სამმა რუმინელმა ბერმა დააარსა. რუმინულ ენაზე მონასტერს Schitul românesc Prodromu – „პროდრომუს რუმინული სკიტი“ ეწოდება.

მონასტერზე ხშირია ზრუნვა რუმინელთა მხრიდან. 2007 წელს რუმინეთმა მიიღო კანონი „ათონის მთაზე, საბერძნეთი, რუმინული სკიტის „პროდრომუს“ სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის შესახებ“.

კანონის მე-2 მუხლის თანახმად ყოველწლიურად სკიტს კულტურის სამინისტროს მეშვეობით 250 000 ევრო გადაერიცხება. კანონში აღნიშნულია, რომ ეს დაფინანსება ცალკე იქნება გამოყოფილი, როგორც რუმინული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის განკუთვნილი ასიგნება (მუხლი მე-3). კანონის მე-4 მუხლი კი აღგენს იმ ხარჯებს, რისი ანაზღაურებისთვისაც უნდა იქნეს გამოყენებული გადარიცხული ასიგნება:

„მუხლი 4. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული ასიგნებებით დაიფარება შემდეგი ხარჯები:

- ა) სკიტის და ოთხი საეკლესიო ნაგებობის აღდგენა, რემონტი, ფუნქციონირება და მართვა;
- ბ) ფიქსირებული დახმარების მიღება, რომელიც ეფუძნება კანონს;
- გ) საკუთარი წარმოება;
- დ) შრომითი საქმიანობის და მსახურებების ანაზღაურება;
- ე) ბერების საცხოვრისის და სულიერი საქმიანობის მხარდაჭერა;

- ვ) მომლოცველთა მიღება და გამასპინძლება;
- ზ) მატერიალური საგანძურის ხელშეწყობა“.

VII. სამხედრო სამსახური

რუმინეთის სახელმწიფო უზრუნველყოფს სამხედრო და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფთა წვდომას სასულიერო პირებთან. აღნიშნულის მოწესრიგების მიზნით 2000 წელს მიღებულ იქნა კანონი „სამხედრო სამღვდელთა დაარსებისა და ორგანიზების შესახებ“.

კანონის თანახმად, სამხედრო სამღვდელთა განიმარტება, როგორც სამხედრო მღვდელი, რომელიც მუშაობს შეიარაღებულ ძალებში. სამხედრო მოძღვრის ინსტიტუტი, კანონის თანახმად, შექმნილია:

- თავდაცვის სამინისტროში;
- შინაგან საქმეთა სამინისტროში;
- რუმინეთის დაზვერვის სამსახურში;
- საგარეო დაზვერვის სამსახურში;
- დაცვის სამსახურში;
- სპეციალურ სატელეკომუნიკაციო სამსახურში;
- იუსტიციის სამინისტროს საპატიმროების გენერალურ დირექტორატში.

სამხედრო მოძღვრის ინსტიტუტის შექმნის მიზნად კი, კანონის თანახმად, დასახელებულია სამხედროების სულიერ-რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, სამხედრო პირთა შორის სასულიერო მისიის შესრულება და მათში სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და პატრიოტული გრძნობების გაზრდა (მუხლი 1). კანონის მე-2 მუხლის თანახმად, სამხედრო მოძღვარი არის ეკლესიის ან აღიარებული აღმსარებლობის მსახური, მაგრამ ირიცხება შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში.

კანონი ადგენს, რომ რელიგიური საკულტო მსახურება სრულდება ეკლესიის წეს-ჩვეულებების მიხედვით, რომელიც თანხმდება სამხედრო ნაწილის მეთაურთან, ხოლო მსახურებაში მონაწილეობა სამხედრო პირთა მხრიდან ნებაყოფლობითია (მუხლი 2). კანონის თანახმად, რეკომენდებულია რელიგიური მსახურების შესრულება განსაკუთრებით ეროვნული დღესასწაულების დროს, ფიცის

დადებისას, ხსოვნის დღეებში, სამხედრო-სამახსოვრო დღეებში, კვირა დღეს და რელიგიურ დღესასწაულებზე (მუხლი 3).

კანონის მე-5 მუხლის თანახმად, მშვიდობიან პერიოდში, სავალდებულოა, რომ რელიგიური მსახურება შესრულდეს სამხედრო ნაწილის სალოცავ ადგილებში, ან საწვრთნელ ადგილებზე, მშვიდობიანობის პერიოდში. რაც შეეხება სამხედრო კამპანიას ან საგანგებო მდგომარეობას, რელიგიური მსახურება ჩატარდება შესაბამის ადგილას.

მე-6 მუხლი ადგენს შესამოსელის საკითხს. სამხედრო მოძღვრები ვალდებული არიან, ატარონ სამხედრო-სასულიერო უნიფორმა, რომელიც დამტკიცებულია მთავრობის გადაწყვეტილებით. რაც შეეხება რელიგიური მსახურების შესრულებას, ასეთ დროს სასულიერო პირს უფლება აქვს შეიმოსოს იმ შესამოსელით, რაც დადგენილია ამ ტიპის მსახურებისთვის მისი რელიგიური კონფესიის წეს-ჩვეულებებით. კანონით დადგენილია, რომ სამხედრო პირის რელიგიური კუთვნილება განისაზღვრება მისივე განცხადებით (მუხლი 7).

სამხედრო მოძღვრის მათ შემადგენლობაში მიღებას ახორციელებენ ზემომოყვანილი სახელმწიფო უწყებები, რელიგიური აღმსარებლობის წარდგინების საფუძველზე. სამხედრო მოძღვრის კანდიდატი უნდა იყოს რუმინეთის მოქალაქე, ჰქონდეს თეოლოგიური განათლება და არანაკლებ ორი წლის მსახურების გამოცდილება. არჩეული კანდიდატები გადიან შესაბამისი უწყებების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს (მუხლი 9).

კანონის მე-10 მუხლის საფუძველზე, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებში შექმნილია რელიგიური დახმარების დეპარტამენტები, ხოლო სხვა უწყებებში – შესაძლებელია შეიქმნას ამ უწყებათა მეთაურების ბრძანებით.

მე-11 მუხლი ადგენს სპეციალურ მოთხოვნას დეპარტამენტის უფროსისთვის. მუხლის თანახმად, იგი უნდა იყოს რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი, რომლის კანდიდატურა თანხმდება სხვა აღმსარებლობებთან და ინიშნება შესაბამისი მინისტრის მიერ. მას უნდა ჰქონდეს უმაღლესი ადმინისტრაციული ვიკარიუსის თანამდებობის პატივი.

ყოველი სამხედრო მოძღვარი სამხედრო და ადმინისტრაციული თვალსაზრისით ექვემდებარება მათი სამხედრო ნაწილის მეთაურს, ხოლო სულიერი და კანონიკური თვალსაზრისით – იმ ეკლესიის იერარქიას, ვისაც ის წარმოადგენს (მუხლი 14).

კანონის მე-15 მუხლი ადგენს მოძღვართა სამხედრო რანგირებას:

-I კატეგორიის გარნიზონის მღვდლები და თანაშემწეები: მაიორის რანგის;

-II კატეგორიის გარნიზონის მღვდლები: ლეიტენანტ-პოლკოვნიკის რანგის;

-III კატეგორიის გარნიზონის მღვდლები, ბუქარესტის გარნიზონის მღვდლები და რელიგიური დახმარების დეპარტამენტის წარმომადგენლები: პოლკოვნიკის რანგის;

-გენერალური ინსპექტორი და რელიგიური დახმარების დეპარტამენტის უფროსი: ბრიგადის გენერლის რანგის.

კანონის მე-17 მუხლით დადგენილია სამხედრო მოძღვრის მოვალეობები, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს: სამხედრო პირთა სასულიერო განათლებაზე ზრუნვა, მათში პატრიოტული გრძნობების გაღვივება, სამხედრო პირთა და საპატიმროში მყოფთა მონახულება, სამხედროების მორალური, ფსიქოლოგიური და დისციპლინური განმტკიცება. მე-18 მუხლში კი მოცემულია ის საქმიანობა, რომელიც ეკრძალება სამხედრო მოძღვარს. მათ შორისაა პოლიტიკურ დემონსტრაციებში მონაწილეობა, ასოციაციების შექმნა და რელიგიური წესების შესრულება პირისთვის, ვინც არ არის რუმინეთის მოქალაქე, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა.

სამხედრო მოძღვარი ექვემდებარება თანამდებობიდან გათავისუფლებას იმ პირობებით და წესით, რაც არის დადგენილი ჩვეულებრივი სამხედრო მოსამსახურეებისათვის (მუხლები 21-22). სამხედრო მოძღვარი, ასევე, ექვემდებარება სისხლის სამართლებრივ დევნას (მუხლი 23).

VIII. სისხლის სამართლის კანონმდებლობა

რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსით, რომელიც მიღებულია 2009 წლის 17 ივლისს, კერძოდ, VIII კარის III თავში („დანაშაული რელიგიის თავისუფლებისა და მიცვალებულთა პატივისცემის

წინააღმდეგ“) დადგენილია რელიგიურ წესებთან დაკავშირებული დანაშაულები და სასჯელები მათი ჩადენისთვის.

„მუხლი 381. რელიგიური რიტუალის აღსრულების თავისუფლების ხელშეშლა

1. ნებისმიერი იმ რიტუალის აღსრულების თავისუფლების ხელშეშლა ან ჩაშლა, რომელიც დაკავშირებულია კანონის საფუძველზე ორგანიზებულ და მოქმედ რელიგიასთან, –

ისჯება არანაკლებ 3 თვით და არაუმეტეს 2 წლით თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით.

2. ადამიანის იძულება ძალის გამოყენებით, მონაწილეობა მიიღოს რომელიმე რელიგიის მსახურებაში ან შეასრულოს რელიგიური მოქმედება, რომელიც რელიგიის აღსრულებასთან არის დაკავშირებული, –

ისჯება არა ნაკლებ 1 და არაუმეტეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთით, ან ჯარიმით.

3. იგივე სასჯელი გამოიყენება, თუ პირი, უხეშობით ან დაშნებით აიძულებს, რომ შეასრულოს რელიგიური მოქმედება, რაც აკრძალულია კანონის საფუძველზე ორგანიზებული და მოქმედი რელიგიით, რომელსაც იგი აღიარებს.

4. სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყება უპირველესად მსხვერპლის საჩივრით”.

„მუხლი 382. თაყვანისცემის ადგილების ან ნივთების შეზღავანა თაყვანისცემის ადგილის ან ნივთის შეზღავანა, რომელიც მიეკუთვნება კანონის საფუძველზე ორგანიზებულ და მოქმედ რელიგიურ აღმსარებლობას, –

ისჯება არანაკლებ 6 თვით და არაუმეტეს 2 წლით თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით”.

„მუხლი 383. ცხედრების ან საფლავების შეზღავანა

1. ცხედრის ან კრემაციით მიღებული ფერფლის მოპარვა, გადაადგილება, განადგურება ან შეზღავანა, –

ისჯება არანაკლებ 6 თვით და არაუმეტეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთით.

2. საფლავის, საკრემაციო ურნის ან საფლავის ძეგლის შეზღავანა, ნებისმიერი მიზნით, –

ისჯება არანაკლებ 3 თვით და არაუმეტეს 2 წლით თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით”.

„მუხლი 384. ქსოვილების ან ორგანოების უკანონო მოპოვება ცხედრისგან ქსოვილების ან ორგანოების უკანონო მოპოვება, – ისჯება არანაკლებ 6 თვით და არაუმეტეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით“.

IX. სამოქალაქო კანონმდებლობა რელიგიურ საკითხებში

რუმინეთის სამოქალაქო კოდექსი მიღებულია 2009 წელს. კოდექსის რამდენიმე მუხლი ეხება რელიგიას და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

კოდექსის 30-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ რელიგიურმა კუთვნილებამ გავლენა არ შეიძლება მოახდინოს სამოქალაქო თანასწორობაზე.

259-ე მუხლით ქორწინების საკითხია განსაზღვრული. ქორწინების მუხლი, კონსტიტუციის მსგავსად, აწესრიგებს რელიგიური ქორწინების საკითხს:

„მუხლი 259

1.ქორწინება არის თავისუფალი შეთანხმების კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის, რომელიც ეფუძნება კანონს.

2.მამაკაცებსა და ქალებს აქვთ ქორწინების უფლება, რათა შექმნან ოჯახი.

3.ქორწინების რელიგიური წესი შეიძლება შესრულდეს მხოლოდ სამოქალაქო ქორწინების გაფორმების შემდეგ.

4.ქორწინების გაფორმების პირობები და საფუძვლები დადგენილია ამ კოდექსით.

5.ქორწინება წყდება მეუღლის გარდაცვალებით ან სასამართლო წესით გარდაცვლილად გამოცხადებით.

6.ქორწინება შეიძლება შეწყდეს კანონის საფუძველზე განქორწინებით“.

„მუხლი 452

შვილად აყვანის პრინციპები

შვილად აყვანა კუმულატიურად ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) ბავშვის ინტერესები;

ბ) ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდისა და განათლების საჭიროება;

გ)ბავშვის აღზრდისა და განათლების განგრძობითობა, ბავშვის ეთნიკური, ენობრივი, რელიგიური და კულტურული წარმომავლობის გათვალისწინებით;

დ)შვილად აყვანის პროცედურასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედების დროულობა”.

„მუხლი 491

ბავშვის რელიგია

1. მშობლები ბავშვს ზრდიან საკუთარი რელიგიური მრწამსით, იღებენ რა მხედველობაში მის აზრს, ასაკსა და მომწიფების ხარისხს, რომლის გათვალისწინებით იგი მიეკუთვნება რომელიმე რელიგიას ან რელიგიურ აღმსარებლობას.

2. ბავშვი, რომელმაც მიაღწია 14 წლის ასაკს, აქვს უფლება თავისუფლად აირჩიოს რელიგიური აღმსარებლობა”.

X. საკულტო საკითხთა სახელმწიფო სამდივნო

რუმინეთში რელიგიურ საკითხებს ზედამხედველობს და რელიგიურ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს რუმინეთის რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სამდივნო, რომელიც ექვემდებარება პრემიერ-მინისტრს და მთავრობას.

სამდივნოს მიზანია შექმნას და განახორციელოს რელიგიური ცხოვრების სტრატეგია და პოლიტიკა. თავისი საქმიანობისას იგი უზრუნველყოფს რუმინეთის კონსტიტუციითა და რელიგიური თავისუფლების კანონით დადგენილი ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას და გამოყენებას. იგი არის ერთ-ერთი გარანტი რელიგიური გაერთიანებების ავტონომიურობისა და სახელმწიფო ორგანოების წინაშე თანასწორობისა.

რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სამდივნოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

1.რუმინეთში ყველა რელიგიურ აღმსარებლობასთან და გაერთიანებასთან კავშირის უზრუნველყოფა და კულტებთან დაკავშირებული პოლიტიკის გატარება;

2.ყველა რელიგიური აღმსარებლობის და გაერთიანების მათი ორგანიზაციისა და საქმიანობის შესახებ დებულებათა შესაბამისად მხარდაჭერა, ქვეყნის სოციალურ და სულიერ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის წახალისება;

3. კულტებსა და რელიგიებს შორის და რელიგიურ გაერთიანებებს შორის დაეებისას მედიაცია;
4. რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული შიდა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების განხორციელების მონიტორინგი;
5. რელიგიურ აღმსარებლობებსა და სამინისტროებს, ასევე, ცენტრალური და ადგილობრივი საჯარო ხელისუფლების სხვა ორგანოებს შორის კავშირის უზრუნველყოფა, რელიგიურ საქმეებში თავისუფლებისა და ავტონომიის პატივისცემა, რელიგიური დამცირების აღმოფხვრა, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების დახმარება საკულტო და რელიგიურ გაერთიანებებთან მათი ურთიერთობისას წარმოქნილი პრობლემების გადასაჭრელად, ადგილობრივ ხელისუფლებასთან რელიგიური აღმსარებლობების და გაერთიანებების დახმარება, მათი სურვილის შემთხვევაში;
6. ახალი გაერთიანებების ჩამოყალიბების თაობაზე წინადადებების განხილვა, კანონით განსაზღვრული დოკუმენტების მომზადება მთავრობისთვის მათი აღიარების მიზნით;
7. რელიგიური გაერთიანების სტატუსის მისაღებად რჩევის მიცემა;
8. კულტურის სამინისტროსთვის წინადადებების წარდგენა რელიგიის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობის თაობაზე;
9. რუმინეთში რელიგიური საქმიანობის განმახორციელებელი უცხოელებისათვის სავიზო განაცხადების და ვიზის გაგრძელების თაობაზე წინადადებების მოწონება;
10. სამონასტრო პირების ჯანმრთელობის დაზღვევის ეროვნულ პროგრამაში ჩართვა;
11. საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, რელიგიური გაერთიანებების მიერ შემუშავებული კურიკულუმებისა და სილაბუსების მოწონების მიზნით;
12. რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა სამხედრო, საპატიმრო და საავადმყოფო დაწესებულებების, მოხუცთა და ობოლთა სახლების, სხვა დაწესებულებების და სპეციალური საჭიროების მქონე ოჯახების რელიგიური და სოციალური დახმარების ორგანიზებაში;
13. აღიარებული რელიგიური გაერთიანებების მიერ კულტურის იმ მოძრავი და უძრავი ობიექტის გამოყენების, შენახვისა და აღდგენის

პროცესში დახმარება, რომლებიც მათ საკუთრებაში ან სარგებლობაშია;

14. ინფორმაციის მიღება რელიგიური კულტების, მათ შორის არაინტეგრირებული თეოლოგიური დაწესებულებების ხელმძღვანელი პირების დანიშვნის თაობაზე და მათთვის სახელფასო წინადადების გაცემაზე თანხმობა;

15. კულტა მიერ სასულიერო პირთა ხელფასების თაობაზე წინადადებების მიღება;

16. სხვა ქვეყნების იმ სახელმწიფო დაწესებულებებთან და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან საგარეო ურთიერთობის ინიცირება, რომლებიც პატივს სცემენ რელიგიურ თავისუფლებას და ადამიანის ძირითად უფლებებს და მონაწილეობა მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;

17. რუმინეთში რელიგიური ცხოვრების თაობაზე კვლევის წახალისება; დებატების ორგანიზება რუმინელი და უცხოელი სპეციალისტებისათვის, მათ შორის, საერო და საეკლესიო თეორიისა და პრაქტიკის ანალიზით ხსენებულ სფეროში;

18. სასულიერო და რელიგიის სფეროს საერო პირთა ხელფასებისათვის გამოყოფილ ასიგნებათა მართვა;

19. კანონის საფუძველზე ფინანსური მხარდაჭერა შემდეგი მიზნებისთვის:

ა) რუმინეთში აღიარებული რელიგიური კულტის კუთვნილი შენობების ტექნიკური და ეკონომიკური დოკუმენტების მომზადება;

ბ) რუმინეთში აღიარებული რელიგიების თაყვანისცემის ადგილების აღდგენა და შენახვა, რომლებიც მიეკუთვნებიან ისტორიულ ძეგლებს;

გ) ეროვნული კულტურული საგანძურის დაცვა, რომლითაც სარგებლობენ რუმინეთში აღიარებული რელიგიური მიმდინარეობები;

დ) იმ ძირითადი მოთხოვნილებების შევსება, რომლებსაც აქვთ დაბალი შემოსავალი ან არ აქვთ;

ე) კულტურულ-რელიგიური მუზეუმების განვითარება და მართვა;

ვ) რელიგიური კულტების სოციალური და სამედიცინო საქმიანობისათვის საჭირო ქონების შესყიდვა;

ზ) რუმინეთში აღიარებული რელიგიური მიმდინარეობების სოციალური და სამედიცინო საქმიანობის მხარდაჭერა;

თ)რუმინეთში აღიარებული რელიგიური მიმდინარეობების შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო საქმიანობის მხარდაჭერა;

ი)სოციალური და სამედიცინო დაწესებულებების სალოცავი ადგილების მშენებლობა, მართვა და შეკეთება;

კ)საეპარქიო და რელიგიური ადმინისტრაციული ნაგებობების მშენებლობა და რემონტი;

ლ) თეოლოგიური სკოლების ნაგებობების მშენებლობა და რემონტი;

20.სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა ხარჯვის კონტროლი, კანონით დადგენილი მიზნებით და წესით;

21.მოთხოვნისას რელიგიური გაერთიანების მხარდაჭერა საბუღალტრო და სტატისტიკური საქმიანობის განხორციელებაში.

XI. ეკლესიის ორგანიზაცია

1. რუმინეთის ეკლესიის კანონიკური სტატუსი

რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესია არის მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ნაწილი, ადგილობრივი ეკლესია, რომელსაც აქვს ავტოკეფალური სტატუსი და დამოუკიდებლად განაგებს საშინაო საქმეებს.

რუმინეთის ეკლესიის ოფიციალური სახელწოდებაა „რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესია“ (რუმ. Biserica Ortodoxă Română). ეკლესიის მეთაურის სრული ტიტულია „მთავარეპისკოპოსი ბუქარესტისა, მიტროპოლიტი მუნტენისა და დობრუჯისა, მოსაყდრე კესარია-კაბადოკიისა და პატრიარქი რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა“ (რუმ. Arhiepiscop al Bucureștilor, Mitropolit al Munteniei și Dobrogei, Locțiitor al Tronului Cezareei Capadociei și Patriarh al Bisericii Ortodoxe Române).

მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიაში ავტოკეფალური საპატრიარქოების და ეკლესიების დიპტიქთან (ეკლესიების მიმდევრობის წესი) არსებობს ორი ტრადიცია: ბერძნული და სლავური. ბერძნული ტრადიციით, რუმინეთის საპატრიარქო იკავებს მე-7 ადგილს, ხოლო სლავური ტრადიციით – მე-8 ადგილს. იმის მიუხედავად, რომ ბერძნული ტრადიციით რუმინეთის საპატრიარქოს უფრო წინა ადგილი უკავია, თავად საპატრიარქო მისდევს სლავურ ტრადიციას და მე-8 ადგილას მოიხსენიებს საკუთარ თავს.

2. სტატისტიკური ინფორმაცია

რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდში 53 მღვდელმთავარია, რომელთაგან: 1 პატრიარქია, 8 მიტროპოლიტი, 11 მთავარეპისკოპოსი, 19 მმართველი ეპისკოპოსი, 2 საპატრიარქო ვიკარიუსი, 11 ვიკარიუსი და 1 ქორეპისკოპოსი.

ქვეყნის ფარგლებში ფუნქციონირებს 15 203 საეკლესიო ერთეული, რომელთაგან: 1 საპატრიარქო ცენტრია, 6 სამიტროპოლიტო, 10 სამთავარეპისკოპოსო, 13 საეპისკოპოსო, 182 სამღვდელმთავრო წარმომადგენლობა, 11 674 სამრევლო და 2 658 წარმომადგენლობა, 475 მონასტერი, 175 სკიტი და 10 მეტოქიონი.

რუმინეთის საპატრიარქოს ექვემდებარება სულ 16 128 საღვთისმსახურო ადგილი, რომელთაგან: 64 საკათედრო ტაძარია, 11 298 სამრევლო ეკლესია, 2 239 წარმომადგენლობითი ეკლესია, 550 სამონასტრო ეკლესია, 264 სასაფლაო ეკლესია, 530 ეკლესია საბიუჯეტო ორგანიზაციებთან (119 არმიაში, 42 პოლიციაში, 217 საავადმყოფოში, 76 სასწავლო დაწესებულებებთან, 76 სოციალურ სახლებთან არსებული).

რუმინეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში მსახურობს 14 578 მღვდელი და დიაკონი, რომელთაგან 13 787 დაფინანსებას იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

3. ეკლესიის მოწყობა

რუმინეთის ეკლესია ადმინისტრაციული თვალსაზრისით იყოფა სამიტროპოლიტოებად (რუმ. Mitropolia), რომელიც იყოფა სამთავარეპისკოპოსოებად (რუმ. Arhiepiscopia) და საეპისკოპოსოებად (რუმ. პისცოპია). ეკლესიას აქვს სამიტროპოლიტოები რუმინეთის ფარგლებს გარეთაც, ასევე ფლობს წარმომადგენლობებს ცალკეულ ქვეყნებში.

XII. გამოყენებული წყაროები

ნორმატიული აქტები და სტატიები:

1. The Constitution of Romania;
2. Religion and Politics in Romania: From Public Affairs to Church-State Relations, in “Journal of Global Initiatives: Policy, Pedagogy, Prospective”, vol. 6, art. 7, 2011;
3. State and Religion in Romania, translated by Della L. Marcus, State Secretariat for Religious Affairs, Bucharest, 2015;

4. Muntean, Aurelian, Church-State relations in Romania: problems and perspectives of inter-denominational cooperation at the level of church-based NGOs, JSRI, No. 12, Winter 2015;
5. Legea nr. 489/2006 privind libertatea religioasă și regimul general al cultelor (publicată în Monitorul oficial Partea I, nr. 11/8.01.2007);
6. Dumea, Emil, Biserica și Statul în România contemporană.

ვებგვერდები:

1. <http://www.culte.gov.ro/>
2. <http://www.patriarhia.ro/>

საბერძნეთი

საბერძნეთში აღმოსავლური მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად არის აღიარებული. მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, „საბერძნეთში გაბატონებული რელიგია აღმოსავლური-მართლმადიდებელი ქრისტიანული რელიგია“.⁹⁵ სახელმწიფოს მოსახლეობის უმრავლესობა (98%) ბერძენია; სხვადასხვა მონაცემებით, ქვეყნის ბერძენი მოსახლეობის მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 88%-95% მონათლულია აღმოსავლურ მართლმადიდებელ ეკლესიაში.⁹⁶ შედარებით „მცირერიცხოვანია მოსახლეობის შემდეგი შემადგენლობა: მუსლიმები (რომლებიც ძირითადად დასავლეთ თრაკიაში ცხოვრობენ),⁹⁷ კათოლიკეები, პროტესტანტები, იელოვას მოწმეები, სომხები და ებრაელები.“⁹⁸ აგრეთვე, გასათვალისწინებელია ბოლო წლებში საბერძნეთში შესული ლეგალური და არალეგალური ემიგრანტების რიცხვი (მათ შორის, მუსლიმი ალბანელები, სირიელები).

მართლმადიდებელი ეკლესიის დომინანტი სტატუსი საბერძნეთში ისტორიულად არის განპირობებული. საბერძნეთის სახელმწიფოდ ჩამოყალიბება 1821 წლის განმანთავისუფლებელ ომს უკავშირდება, რომლის შედეგადაც 1829-1830 წლებში საბერძნეთმა ოსმალეთის იმპერიისგან დამოუკიდებლობას მიაღწია. 1830 წლის 28 თებერვლის „ლონდონის ოქმით“, საბერძნეთის სახელმწიფომ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ამავე აქტით, მმართველობის ფორმად შემოიღეს მონარქია. 1831 წელს დიდმა სახელმწიფოებმა საბერძნეთს აბსოლუტური მონარქია მოახვიეს თავს, შედეგად, ქვეყანას სათავეში ჩაუდგა ბავარიის მეფის, ლუდვიგ პირველის მეორე ვაჟი პრინცი ოტო ბავარიელი (1833წ.). თუმცა პრინცის მცირეწლოვნების გამო 1833-1835

⁹⁵იხ.საბერძნეთის კონსტიტუცია, მ. 3 (1).

⁹⁶ კარალამბოს პაპასტატიის: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში“, გვ.132 (გერჰარდ რობერსი (რედ.) „სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის ქვეყნებში“, თბილისი, 2011წ.).

⁹⁷2010 წლის მონაცემებით, საბერძნეთის მოსახლეობის 5.3% მუსლიმანია. იხ. "The Future of World". Religions: Population Growth Projections, 2010-2050" (PDF). Pew Research Center. 2015 გვ. 237.

⁹⁸კარალამბოს პაპასტატიის: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში“, გვ. 1.

წლებში საბერძნეთს სამი წევრისგან – ბავარიელი ოფიცრებისაგან შემდგარი „რეგენტთა საბჭო“ მართავდა. 1843 წლის 3 სექტემბრის რევოლუციის შემდეგ, 1844 წელს მიიღეს კონსტიტუცია.⁹⁹

ფორმალური დამოუკიდებლობის რეალური განმტკიცება საბერძნეთისგან იმხანად მოითხოვდა საკუთარი, ეროვნული ავტოკეფალური ეკლესიის არსებობას, რაც 1833 წელს განხორციელდა კიდევ. საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია ფორმალურად გამოეყო კონსტანტინოპოლის (მსოფლიო) საპატრიარქოს, რომელიც 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემის დღიდან ოსმალეთის იმპერიის წიაღში არსებობდა. კონსტანტინოპოლის პატრიარქი იმპერიის ოფიციალური პირის სტატუსით სარგებლობდა და „რუმ მილეთზე“ - ე.ი. ოსმალეთის იმპერიის ყველა ქრისტიან ქვეშევრდომზე - იყო პასუხისმგებელი.¹⁰⁰ საბოლოოდ, 1850 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ოფიციალურად აღიარა საბერძნეთის ავტოკეფალური ეკლესიის ჩამოყალიბება.

ადმოსავლური ქრისტიანული რელიგიური იდენტობა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ერთ-ერთ ლოკომოტივად იქცა, ამ წვლილის გათვალისწინებით, ბუნებრივია, რომ პირველი სახელმწიფო-სამართლებრივი აქტები მოიცავდა განსაკუთრებულ დებულებებს მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ.

საბერძნეთის პირველმა კონსტიტუციებმა „არა მხოლოდ დააკანონა ადმოსავლური მართლმადიდებლური რწმენა, როგორც გაბატონებული რელიგია ან სახელმწიფო რელიგია, არამედ უზრუნველყო რწმენის თავისუფლება სხვა რელიგიების წარმომადგენლებისთვისაც. [მნიშვნელოვანია, რომ ამ ეტაპზე] კონსტიტუციები არ შეიცავდა

⁹⁹ კარალამბოს პაპასტატისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში“, გვ. 133.

¹⁰⁰ იხ. Frazee, C.A. (1969) *The Orthodox Church and Independent Greece 1821-1852*, Cambridge: Cambridge University Press. ციტირებულია: George Th. Mavrogordatos: “CHURCH-STATE RELATIONS IN THE GREEK ORTHODOX CASE” Paper presented to the Workshop "Church and State in Europe", ECPR Joint Sessions, Copenhagen, 14-19 April, 2000; გვ. 6.

დებულებებს, რითაც სახელმწიფოს უფლება ექნებოდა გამოეცა კანონები საეკლესიო საქმეებთან დაკავშირებით.”¹⁰¹

1822-1827 წლების სახელმწიფო-სამართლებრივი აქტებით ჩამოყალიბდა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის კოორდინაციული სისტემის მოდელი, რომლის თანახმადაც არც ერთი (სახელმწიფო ან ეკლესია) არ ერეოდა მეორის უშუალო გამგებლობის სფეროებში. ისინი მხოლოდ საერთო ინტერესების შემთხვევაში თანამშრომლობდნენ. არსებული სისტემა ბავარიული მმართველობისთვის საფრთხეს შეიცავდა, მით უფრო, ეკლესიის ნაციონალური ერთობის სიმბოლოდ აღქმის პირობებში. შესაბამისად, 1833 წლის აპრილში ერთ-ერთი რეგენტის, ცნობილი იურისტის - გეორგ ლუდვიგ ფონ მორირის ძალისხმევით, რეგენტებმა გამოსცეს დეკრეტი 3(15)/14(27), რომელმაც „სახელმწიფო კანონის უზენაესობა“ შემოიღო და, პრაქტიკულად, ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი (მათ შორის, „სინოდის ორგანოთა შექმნა, მათ მიერ გამოცემული აქტების და მიღებული გადაწყვეტილებების ზედამხედველობა“, აგრეთვე, საეკლესიო თანამდებობებზე გამწესებაზე სახელმწიფოს თანხმობა) „ეროვნული განათლებისა და საკულტო საკითხების სამინისტროს“ იურისდიქციას დაუქვემდებარა. „მცირე ხნის შემდეგ, 1833 წლის 23 ივლისს (4 აგვისტოს), „საბერძნეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის“ დეკრეტით, სახელმწიფო გახდა ექსკლუზიური საკანონმდებლო ორგანო და ეკლესია გამოცხადდა მონარქის დაქვემდებარებაში, რომელიც ამავედროულად მისი ხელმძღვანელიც იყო.”¹⁰² 1844 წლის კონსტიტუციის 105-ე მუხლმა კი უკვე მოიცვა დებულება ეკლესიის მართვის საკითხებზე, რომლის მიხედვითაც, ეკლესიის მართვა შესაძლებელი იყო სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად”.¹⁰³

აღნიშნული მიდგომა საბერძნეთში დღემდე მოქმედებს, როგორც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის თეორიული საფუძველი. ცეზაროპაპიზმის ეს ფორმა ბერძნულ ლიტერატურაში

¹⁰¹ CHARALAMBOS K. PAPASTATHIS: "Greece: A Faithful Orthodox Christian State; THE ORTHODOX CHURCH IN THE HELLENIC REPUBLIC", გვ. 339.

¹⁰²Ibid, გვ. 339; იხ. აგრეთვე: კარალამბოს პაპასტათისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში“, გვ. 133.

¹⁰³Ibid. გვ. 133.

„სახელმწიფო კანონის უზენაესობის“ სახელით არის ცნობილი. ამ მოდელის მიხედვით, „კონსტიტუციის შესაბამისად, სახელმწიფოს უფლება აქვს გამოსცეს კანონები ეკლესიასთან დაკავშირებულ ყველა ადმინისტრაციულ საკითხზე, თუნდაც ეს ეკლესიის შიდა სტრუქტურას ეხებოდეს.“¹⁰⁴ 1844 წლის კონსტიტუციის „სახელმწიფო კანონის უზენაესობის“ დებულება საეკლესიო საქმეებთან დაკავშირებით არ შესულა 1864, 1911, 1927 და 1952 წლების კონსტიტუციებში, მაგრამ „იგივე დებულება შევიდა კანონით დადგენილ საეკლესიო წესდებაში, რომელსაც სახელმწიფო კანონის ძალა ჰქონდა. ეს დებულება კვლავ ჩნდება სამხედრო ხუნტის მიერ შემუშავებულ 1968 წლის კონსტიტუციაში. მუხლი 1(5)-ლი შეიცავდა დებულებას, რომლის მიხედვითაც, ეკლესიის მართვასთან დაკავშირებული არც ერთი კანონი არ უნდა ყოფილიყო განხილული წმინდა სინოდთან კონსულტაციის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ოცი დღის განმავლობაში შეუძლებელი იქნებოდა შეთანხმების მიღწევა.“ ასეთივე პირობა არის შეტანილი აშუამად მოქმედ, 1975 წლის, კონსტიტუციაშიც (72(1)-ე მუხლი). კანონპროექტები, რომლებიც ეხება მე-3 (ეკლესიის პოზიცია) და მე-13 (რელიგიის თავისუფლება) მუხლებს, პარლამენტმა შეიძლება განიხილოს მხოლოდ პლენარულ სესიაზე და არა საზაფხულო სესიაზე.“¹⁰⁵

საკანონმდებლო ბაზა და რელიგიის თავისუფლების მდგომარეობა

1844 წლის კონსტიტუციის მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსთან დაკავშირებული დებულებები (მმ. 1-2) უმნიშვნელო ცვლილებებით აისახა საბერძნეთის ყველა მომდევნო - 1864, 1911, 1927, 1952 წლების კონსტიტუციებში, სამხედრო დიქტატურის 1968 წლის კონსტიტუციურ ტექსტში და დღეს მოქმედ, 1975 წლის, კონსტიტუციაში (მ. 3).¹⁰⁶

საბერძნეთის აშუამად მოქმედი კონსტიტუცია მიღებულია 1975 წლის 11 ივნისს. მომდევნო ეტაპზე, საკონსტიტუციო ცვლილებები განხორციელდა 1986 და 2001 წლებში.

¹⁰⁴ Ibid. გვ. 1. იხ. აგრეთვე: CHARALAMBOS K. PAPASTATHIS: "Greece: A Faithful Orthodox Christian State; THE ORTHODOX CHURCH IN THE HELLENIC REPUBLIC", გვ. 339-40.

¹⁰⁵ კარალამბოს პაპასტატისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში“, გვ. 134.

¹⁰⁶ CHARALAMBOS K. PAPASTATHIS: "Greece: A Faithful Orthodox Christian State; THE ORTHODOX CHURCH IN THE HELLENIC REPUBLIC", გვ. 340.

1952 წლის კონსტიტუციის შესავალი ფრაზა: „ყოვლადწმიდა, ერთარსება და განუყოფელი სამების სახელით“¹⁰⁷ უცვლელადაა გადმოტანილი 1975 წლის კონსტიტუციაში; იგივე ეხება ფიცს, რომელსაც რესპუბლიკის პრეზიდენტი (33(2)-ე მუხლი) და პარლამენტის წევრები დებენ (59(1)-ე მუხლი). პრეზიდენტის ფიცი იწყება სიტყვებით: „ვფიცავ ყოვლადწმიდა, ერთარსება და განუყოფელი სამების სახელით,“ [რომ დაგიცავ კონსტიტუციასა და კანონებს ...]” მსგავსი წანამძღვრები აქვს პარლამენტის წევრის ფიცს, თუმცა მათ შორის თვისობრივი სხვაობაა: პარლამენტის წევრებთან მიმართებით 59(2) მუხლი ითვალისწინებს გამონაკლისს სხვა რელიგიისა და აღმსარებლობის პირთათვის, კერძოდ: „პარლამენტის წევრები, რომლებიც სხვა რელიგიის ან რწმენის მიმდევარნი არიან, ფიცს დებენ ამ რელიგიისა თუ რწმენის შესაბამისად.“ პრეზიდენტისთვის ასეთი გამონაკლისი არ არის დაშვებული, რაც ირიბად მიუთითებს მოთხოვნაზე, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი აღმოსავლური მართლმადიდებლობის აღმსარებელი და თეისტი იყოს. ეს დებულება, ექსპერტთა აზრით, საკანონმდებლო ხარვეზია, რადგან ხელს უწყობს ქრისტიანი პრეზიდენტის არჩევას და შესაძლებელია, პირის დისკრიმინაციის საფუძველი გახდეს მისი რელიგიური კუთვნილების თუ შეხედულების (მაგ. ათეისტი) ნიშნით.¹⁰⁸

კონსტიტუციის მეორე კარი მთლიანად ეთმობა პირად და სოციალურ უფლებებს. რელიგიის თავისუფლების, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის თვალსაზრისით, ასევე, საყურადღებოა კონსტიტუციის (1975) მე-4 (1) მუხლი, რომელიც კანონის წინაშე საბერძნეთის მოქალაქეების თანასწორობას ეხება, განურჩევლად მათი სქესისა. იმავე მუხლი ადგენს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძველებს (4(3)) და სამხედრო სამსახურის პირობებს (4(6)). რელიგიის თავისუფლების კონტექსტში, ასევე, მნიშვნელოვანია მე-4 (6) მუხლის განმარტებითი დებულება, რომლის თანახმად, დაშვებულია ალტერნატიული სამსახური (მათ შორის, რელიგიური საფუძველით). აღნიშნული ნორმის ამგვარი ინტერპრეტაცია განაპირობა სერიოზულმა კრიტიკამ,

¹⁰⁷ საბერძნეთის კონსტიტუცია. კონსტიტუციის ტექსტის ქართული თარგმანისთვის იხ. ვასილ გონაშვილი (რედ.): „სახლვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები“, ნაწ. II, გვ. 483-567.

¹⁰⁸ აგრეთვე იხ. კარალამბოს პაპასტატისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში“, გვ. 143.

მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულმა საქმეებმა,¹⁰⁹ სადაც არაერთხელ დადგა რელიგიური საფუძველით სამხედრო სამსახურზე უარის საკითხი. წინამდებარე განმარტების მიღებამდე საკონსტიტუციო ნორმა (მ4 (6)) იკითხებოდა ვიწროდ, პარალელურად, საბერძნეთის კანონმდებლობით, კრიმინალიზებული იყო სამხედრო სამსახურზე უარი. არსებული რეალობის გათვალისწინებით, საბერძნეთმა მე-4 (6) მუხლის თანამედროვე ინტერპრეტაციით დაუშვა ალტერნატიული არასამხედრო სამსახური და 2001 წელს კონსტიტუციაში შესწორების შეტანის გზით აღმოფხვრა ხარვეზი.

თავად თანასწორობის (ზოგადი) უფლება კონსტიტუციურ ტექსტში (მ. 4) საბერძნეთისთვის სიახლე როდია, რადგან ეს უფლება ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიისგან გათავისუფლებული ქვეყნის პირველი რევოლუციური კონსტიტუციით - „ეპიდაურუსით“ (1822წ.) იყო გარანტირებული და შემდეგ ყველა მომდევნო კონსტიტუციაში შევიდა.¹¹⁰ 1975 წლის კონსტიტუციურ ტექსტში, ასევე, ვხვდებით სხვადასხვა ანტიდისკრიმინაციულ დებულებას. მაგ. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით: „საბერძნეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანის სიცოცხლე, ღირსება და თავისუფლება დაცულია განურჩევლად ეროვნებისა, რასისა, ენისა, რელიგიური თუ პოლიტიკური შეხედულებისა“ 22(1)-ე მუხლის თანახმად კი, აკრძალულია დისკრიმინაცია შრომით სფეროში „განურჩევლად სქესისა თუ სხვა განსხვავებისა“ (მათ შორის რელიგიური განსხვავებაც იგულისხმება). ყველა მუშაკს აქვს უფლება, „ტოლფასი სამუშაოსთვის“ „თანაბარი ანაზღაურება“ მიიღოს.

ცალკე ყურადღებას იმსახურებს რელიგიის თავისუფლების სპეციფიკური გარანტი კონსტიტუციური ნორმა, მე-13 მუხლი. რელიგიის თავისუფლება მოიცავს სინდისის თავისუფლებას (მე-13(1) მუხლი) და აღმსარებლობის თავისუფლებას (მე-13(2) მუხლი). მე-13 მუხლის პირველი პუნქტი კრძალავს რელიგიის საფუძველზე დისკრიმინაციას სამოქალაქო უფლებების და თავისუფლებების

¹⁰⁹Kokkinakis vs. Greece, application no. 14307/88, Thlimmenos vs. Greece Application no. 34369/97.

¹¹⁰KONSTANTINOS G. PAPAGEORGIU: “THE RIGHT TO RELIGIOUS EQUALITY UNDER THE GREEK LAW”, გვ. 1.

რეალიზებისას. ამ უფლებათა განხორციელება „... არ არის დამოკიდებული პიროვნების რელიგიურ შეხედულებებზე.” (მ.13(1)). „სინდისის თავისუფლება, თანასწორობის პრინციპის შესაბამისად, ეხება ყველა რელიგიას, არარელიგიურ ან ესთეტიკურ რწმენას, ისევე, როგორც ნებისმიერი რელიგიის დოგმატურ და ადმინისტრაციულ განსხვავებას და ყველა პიროვნებას: ბერძენს ან უცხოელს (კონსტიტუცია, მე-4 და მე-13(1) მუხლები)”.¹¹¹

რელიგიური სინდისის (რელიგიის თავისუფლების ე.წ. „საშინაო ასპექტის”) თავისუფლებისგან განსხვავებით, აღმსარებლობის თავისუფლება (გამოხატვასთან დაკავშირებული ე.წ. „საგარეო ასპექტი”) ექვემდებარება გარკვეულ კონსტიტუციურ შეზღუდვებს. კონსტიტუციის მე-13(2) მუხლის შესაბამისად, შემოდებულია ე.წ. „აღიარებული რელიგიების” კრიტერიუმი. იმისათვის, რომ რელიგიურმა რიტუალებმა კანონის მფარველობით ისარგებლოს და მათი ჩატარება არ შეიზღუდოს, რელიგია უნდა იყოს „ცნობილი“, „ანუ ისეთი, რომელსაც არ აქვს საიდუმლო დოგმა ან ფარული კულტი.”¹¹² გარდა ამისა, ეს რელიგია არ უნდა ხელყოფდეს საზოგადოებრივ წესრიგს და შეურაცხყოფდეს მორალურ პრინციპებს (კონსტიტუცია, მ. 13(2)). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი წესრიგი და მორალური პრინციპები არ არის სტატიკური ცნება და ის დინამიკაში უნდა იყოს აღქმული, როგორც დებულება, რომელიც მოიცავს ბერძენი საზოგადოების „მთელ რიგ სამოქალაქო, სოციალურ-ეკონომიკურ და მორალურ პრინციპებსა და შეხედულებებს ყოველ მოცემულ პერიოდში.”¹¹³

კულტის მსახურების შეზღუდვის მესამე „ლეგიტიმური” (აქ: კანონისმიერი) საფუძველია პროზელიტიზმი, რისი აკრძალვაც კონსტიტუციის მე-13(2) მუხლში საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობრივი ნორმების დარღვევასთან ერთად გვხვდება. „პროზელიტიზმი საბერძნეთში როგორც სისხლის სამართლის დანაშაული F.L.1363/1938-ის შესაბამისად განიხილება, რაც ჩანაცვლდა F.L.1672/1939 დებულებით. ორივე კანონი მიიღეს მეტაქსას დიქტატორობის დროს. პროზელიტიზმი სისხლის სამართლის

¹¹¹ კარალამბოს პაპასტატისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში”, გვ. 142.

¹¹² Ibid. გვ.142. იხ. აგრეთვე საბერძნეთის კონსტიტუცია, მ. 13 (2).

¹¹³ კარალამბოს პაპასტატისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში”, გვ. 143.

დანაშაულია, როდესაც იგი სისტემატური და კატეგორიული ხასიათისაა; იგი შეიძლება იყოს პირდაპირი ან ირიბი, ხორციელდებოდეს უკანონო ან უზნეო მეთოდებით, რაც უტოლდება სხვა რელიგიის წარმომადგენლის რელიგიური რწმენის შეურაცხყოფას იმ მიზნით, რომ პირმა შეიცვალოს თავისი რწმენა. პროზელიტიზმი საკმაოდ მკაცრად ისჯება: პატიმრობით, ჯარიმით, პოლიციის ზედამხედველობით და გასახლებითაც კი, თუ საქმე ეხება უცხოეთის მოქალაქეს.”¹¹⁴

1952 წლის ქვეყნის ძირითადი კანონით, მხოლოდ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიმართული პროზელიტიზმის კრიმინალიზაცია ხდებოდა. მისგან განსხვავებით, მოქმედი კონსტიტუციის (1975) მე-13(2) მუხლი პროზელიტიზმისგან იცავს ყველა აღიარებული რელიგიის წარმომადგენელს.

მოცემული დებულება ხშირად გამხდარა კრიტიკის საფუძველი, რადგან სინამდვილეში ის ერთმანეთში ურევს პროზელიტიზმის, როგორც ტერმინის, მნიშვნელობას და მისი უკიდურესი გამოვლინების ფორმას/მეთოდს. რელიგიის თავისუფლება, თავისთავად, მოიცავს რელიგიის აღმსარებლობის და მისი გამოხატვის უფლებას. საბერძნეთის მოქმედი კონსტიტუციის 28-ე მუხლის თანახმად, რომელიც, თავად კანონმდებლის განმარტებით, „ევროპული ინტეგრაციის პროცესში ქვეყნის მონაწილეობის საფუძველია”, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, ისევე როგორც საბერძნეთის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს შიდასახელმწიფოებრივ კანონთან მიმართებით და „შიდაბერძნული სამართლის განუყოფელ ნაწილად” ითვლება. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და ადამიანის უფლებათა დაცვის მთელი რიგი სხვა საერთაშორისო აქტებით (მაგ. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (1966)) დაცული ნორმები უშუალო კავშირშია საბერძნეთის კანონებთან და ზოგ შემთხვევაში პირდაპირ მოქმედებს. ამ მხრივ, საყურადღებოა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, განსაკუთრებით კონკრეტული გადაწყვეტილებები საბერძნეთთან მიმართებით, რომლებიც ცხადყოფს, რომ ევროპული სასამართლო რელიგიის აღმსარებლობის

¹¹⁴Ibid. გვ 143.

მნიშვნელობის ქვეშ, მოიაზრებს პირის უფლებას, დაარწმუნოს ხალხი, „სწავლების“ ან ქადაგების გზით, შეიცვალოს საკუთარი რელიგია. ამ უფლების გარეშე ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-9 მუხლით დაცული პირის თავისუფლება, „შეიცვალოს საკუთარი რწმენა ან მრწამსი“, აზრს იქნებოდა მოკლებული.¹¹⁵ ამ უფლების (პროზელიტიზმი) რეალიზაცია განსაკუთრებით აქტუალურია ახალი რელიგიების შემთხვევაში, რადგან ის, პრაქტიკულად, ერთადერთი საშუალებაა მათი რელიგიის დასამკვიდრებლად. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროზელიტიზმის დროს გამოყენებული ზოგიერთი მეთოდი შეიძლება მიუღებელი და ძალადობრივი იყოს: მაგალითად, საქმეზე ლარასისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ, ევროპულმა სასამართლომ „არაკანონიერი პროზელიტიზმის“ შემთხვევები განმარტა, როგორც „მატერიალური ან სოციალური უპირატესობის შეთავაზება ანდა არამართებული ზემოქმედება ეკლესიაში ახალი წევრების მოსაზიდად“.¹¹⁶ პროზელიტიზმის ფორმის არამართებულობაზე მსჯელობისას ევროპული სასამართლო ყოველთვის ამოდის საქმის ინდივიდუალური ფაქტობრივი მდგომარეობიდან და ეყრდნობა პროპორციულობისა და ლეგიტიმური მიზნის ზოგად ტესტს.¹¹⁷ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საბერძნეთის კონსტიტუციის მე-13 (2) მუხლში მოცემული პროზელიტიზმის აკრძალვა, მეთოდების დაკონკრეტების გარეშე ზედმეტად ფართოა და ვერ აკმაყოფილებს რელიგიის აღმსარებლობის თავისუფლების სტანდარტს.¹¹⁸ და ბოლოს, მე-13 (2) მუხლთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ რელიგიური კულტის მსახურების ამ პუნქტით გათვალისწინებული სამივე შეზღუდვა: საზოგადოებრივი წესრიგის და მორალური პრინციპების შეურაცხყოფა და პროზელიტიზმი სერიოზული კრიტიკის საგანია ბუნდოვანების, ზოგადი და ძალზე ვრცელი ფრაზეოლოგიის თუ უკვე

¹¹⁵Kokkinakis vs. Greece, application no. 14307/88, იხ. აგრეთვე: Konstantinos Margaritis: “A constitutional proposal on religious freedom in Greece.” [Working Paper]. Centre for Law and Religion Working Papers, Cardiff: Cardiff University. 2015.გვ. 7.

¹¹⁶Larissis and Others vs. Greece, application nos. 23372/94, 26377/94 , 26378/94 (ECtHR)

¹¹⁷ე.ი. რამდენად პროპორციულია ჩარევა და რამდენად ემსახურება ის ლეგიტიმურ მიზანს. აღნიშნული მიმართულებით სტრასბურგის სასამართლომ მნიშვნელოვანი პრაქტიკა დაამკვიდრა და არაერთ საქმეში საფეხურებრივად განმარტა გამოსაყენებელი ტესტი.

¹¹⁸ Konstantinos Margaritis: “A Constitutional Proposal on Religious Freedom in Greece” გვ. 5-7.

არსებული კანონმდებლობის დუბლირების გამო. არსებობს მოსაზრებაც, რომ მე-13 მუხლი კონსტიტუციურად უნდა ჩასწორდეს და დაიხვეწოს, ზოგიერთი საკითხი (მაგალითად, პროზელიტიზმის აკრძალული ფორმები) სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გადავიდეს, ხოლო მე-2 პუნქტში გაწერილი სამივე საფუძველი გაუქმდეს, როგორც „არასაჭირო“ და პრაქტიკაში „რელიგიის თავისუფლების საწინააღმდეგო“.¹¹⁹

რელიგიური ორგანიზაციების სტატუსი და მდგომარეობა

მართლმადიდებლური ქრისტიანული რწმენა არის ბერძნული სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია. საბერძნეთში მხოლოდ აღმოსავლურ მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს კონსტიტუციით განმტკიცებული „უპირატესი“ სტატუსი (მ.3), შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაცია საბერძნეთში საჯარო სამართლის იურიდიული პირია. რაც შეეხება ყველა სხვა რელიგიურ ორგანიზაციას, მათი სტატუსი და მდგომარეობა რეგულირდება ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობით, რომლის მიხედვითაც, „არამართლმადიდებლური გაერთიანებები, ჩვეულებრივ, აღიარებულია როგორც ასოციაციები, რადგან არც ერთი კანონი არ აღიარებს მათ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად.“¹²⁰ 1988 წელს მცირე ხნით მოქმედებდა განათლების და საკულტო საკითხების სამინისტროს მიერ დაარსებული სპეციალური კომიტეტი, რომელიც მიზნად ისახავდა რელიგიური თავისუფლების საკითხების ზოგად შესწავლას, თუმცა 1988 წლის მაისიდან, რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ კომიტეტი აღარ მოწვეულა.¹²¹

რელიგიური გაერთიანებების მდგომარეობაზე საუბრისას ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალი რელიგიური მიმდინარეობები შესაბამის უფლებაუნარიანობას იძენენ მხოლოდ მაშინ, თუკი ისინი მიიჩნევიან რელიგიად. მაგალითად, საინტოლოგებს სახელმწიფო საბჭო არ ცნობს როგორც რელიგიას.

მიუხედავად ამისა, 1988 წლის კანონი (L.1763/1988), რომელიც სამხედრო ვალდებულების მოხდას ეხება (პუნქტი მე-6(1)(ვ)),

¹¹⁹ Konstantinos Margaritis: “A Constitutional Proposal on Religious Freedom in Greece” გვ. 7.

¹²⁰ კარალამბოს პაპასტატისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში“, გვ.154

¹²¹ კარალამბოს პაპასტატისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში“, გვ.144

მართლმადიდებლური თუ სხვა რწმენის ყველა ბერს და მორჩილს, ათავისუფლებს სამხედრო სამსახურიდან. ეს დებულება მოქმედებს მიუხედავად იმისა, ჯდება თუ არა მოცემული კონფესია „ადიარებული რელიგიის“ ფარგლებში კონსტიტუციის მე-13 მუხლის გაგებით.¹²² გარდა ამისა, კანონი L. 2510/1997-ის დებულებები ალტერნატიული სამხედრო სამსახურის შესახებ, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს პირს, რელიგიური მოტივებით უარი თქვას სამხედრო სამსახურზე, არ მოითხოვს, რომ ასეთი პირი აუცილებლად იყოს „ადიარებული რელიგიის“ აღმსარებელი.¹²³ 2001 წელს ალტერნატიული სამხედრო სამსახურის შესახებ დებულება კონსტიტუციურ დონეზე განმტკიცდა (1975 წლის კონსტიტუციის მე-4 (6) მუხლის განმარტება).¹²⁴

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ საგადასახადო შეღავათი ვრცელდება როგორც მართლმადიდებლურ, ასევე არამართლმადიდებლურ ეკლესიებსა და მონასტრებზე, რაც რეგულირდება კანონებით - L.D.3843/1958 (საშემოსავლო გადასახადი) და L.D. 1249/1982 (ქონების გადასახადი).¹²⁵ დამატებით, სალონიკის სააპელაციო სასამართლომ მიიღო დადგენილება (1161/1983), რომელშიც ნათქვამია, რომ მონასტრების უძრავი ქონება არ შეიძლება გადავიდეს მესამე მხარის საკუთრებაში, რაც [უნდა] გავრცელდეს რომის კათოლიკე ეკლესიაზეც.”¹²⁶

რელიგიებზე სახელმწიფო ზედამხედველობას ინაწილებენ სხვადასხვა საჯარო დაწესებულებები, კერძოდ: ეროვნული განათლებისა და საკულტო საკითხების სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო საბჭო.

ეროვნული განათლებისა და საკულტო საკითხების სამინისტროს გენერალური სამდივნო საკულტო საკითხებში, პასუხისმგებელია საერთო-სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებაზე ყველა რელიგიასთან მიმართებით, რაც გულისხმობს ზედამხედველობას „საკულტო სფეროში სამთავრობო პოლიტიკის გატარებაზე სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი დეპარტამენტების

¹²²იხ. supra, გვ. 117.

¹²³CHARALAMBOS K. PAPASTATHIS: “Greece: A Faithful Orthodox Christian State; THE ORTHODOX CHURCH IN THE HELLENIC REPUBLIC”, გვ. 345.

¹²⁴იხ. supra გვ. 116.

¹²⁵კარალამბოს პაპასტატისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში”, გვ. 136.

¹²⁶ibid. გვ. 136.

მეშვეობით. საეკლესიო ადმინისტრაციის დეპარტამენტი დაკავებულია უპირატესი რელიგიის საკითხებით მხოლოდ საბერძნეთის ტერიტორიაზე; საეკლესიო განათლებისა და რელიგიის სწავლების დეპარტამენტი; განსხვავებული კულტისა და განსხვავებული რელიგიის პირთა დეპარტამენტი, რომლის სახელწოდებაც ერთგვარად პარადოქსულია თანამედროვე სახელმწიფოსთვის. იგი დაკავებულია პროზელიტიზმის საკითხებით, არამართლმადიდებელი ქრისტიანების სალოცავთა დაფუძნებით, თეოლოგიის სკოლებით, სემინარიებით, ფონდებითა და სხვა იურიდიული პირებით, ისევე, როგორც ყველა ზემოსხენებული სფეროს ზედამხედველობით. ამ დეპარტამენტს, აგრეთვე, ეხება საბერძნეთის მთავარი რაბინის, ებრაელი საზოგადოების მთავარი რაბინებისა და დასავლეთ თრაკიის მუსლიმი უმცირესობის სამი მუფთის დანიშვნის, გათავისუფლების და ოფიციალური სტატუსის საკითხები”.¹²⁷

სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა სამლოცველოს/საკულტო, სარიტუალო ადგილის/ნაგებობის მშენებლობა-დაფუძნებისთვის საჭიროა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტის ნებართვა (F.L. 1369/1938, მუხლი 41(1)) და განათლებისა და საკულტო საკითხების სამინისტროს ლიცენზია. თუმცა, ასევე, საჭიროა, სახელმწიფო საბჭომ მიიღოს გადაწყვეტილება სამლოცველო სახლების დაარსების თაობაზე. საბჭოს შეუძლია განიხილოს საკითხი სამინისტროს უარის შემთხვევაშიც. პრაქტიკულად საბჭო უფრო ხშირად აკმაყოფილებს ამგვარ მოთხოვნებს.¹²⁸

რაც შეეხება საბერძნეთის ფარგლებს გარეთ მდებარე მართლმადიდებლური, სხვა ქრისტიანული ეკლესიებისა და მართლმადიდებლურ-თეოლოგიური სკოლების, საეკლესიო ცენტრების, საზღვარგარეთ მცხოვრები მართლმადიდებელი ბერძენი საეკლესიო პირების ზედამხედველობას, მათი საქმეების შესწავლასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაზე კომპეტენციის სფეროში გადაწყვეტილების მიღებაზე, პასუხისმგებელია საგარეო საქმეთა სამინისტროს საეკლესიო საქმეების თითოეული დეპარტამენტი.

¹²⁷Ibid, გვ.10.; იხ. აგრეთვე: C. K. PAPASTATHIS: “Greece: A Faithful Orthodox Christian State; THE ORTHODOX CHURCH IN THE HELLENIC REPUBLIC”, გვ. 351-352.

¹²⁸ Ibid., გვ. 353. იხ. აგრეთვე: კარალამბოს პაპასტატისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში”, გვ.143.

საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაში, აგრეთვე, შედის ათონის მთის სამოქალაქო მმართველობის საკითხების მოწესრიგება.¹²⁹

რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება

საბერძნეთში არ არის დაწესებული საეკლესიო გადასახადი. თითოეული რელიგია იღებს შემოსავალს მოძრავი და უძრავი ქონებიდან და მრევლის შემოწირულობებიდან. მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსება, პრაქტიკულად, მთლიანად სახელმწიფოს მიერ ხორციელდება სხვადასხვა ფორმით: "Apostoliki Diakonia" (L. 976/1946, Art. 24(1)(8)) განსაზღვრავს მართლმადიდებელი ეკლესიის პირდაპირი ან არაპირდაპირი სუბსიდირების წესებს და საფუძვლებს, ხოლო L.2844/1954-ის მიხედვით ხდება ათენის ტაძრის წლიური სუბსიდირება. სახელმწიფო, ასევე, გასცემს გრანტებს ეკლესია-მონასტრების საჭიროებისთვის, სრულად აფინანსებს მართლმადიდებელი საეკლესიო მსახურების საგანმანათლებლო ხარჯებს, იხდის სხვადასხვა რანგის სასულიერო პირების ხელფასებსა და პენსიებს (მღვდლები, პრელატები, დიაკვნები, მქადაგებლები, ეკლესიის რიგი საერო მომსახურეები) და ზოგიერთი სასულიერო პირის დაზღვევას (ბერები). „2004 წელს გაუქმდა კანონი, რომელიც ყველა სამრევლოს აკისრებდა სახელმწიფო გადასახადს საკუთარი შემოსავლიდან 35%-ის ოდენობით. მღვდლები, რომლებიც მუშაობენ სასაფლაოებზე და საავადმყოფოებში, ხელფასს ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან ან საავადმყოფოს ადმინისტრაციიდან იღებენ. არმიასა და პოლიციის სისტემაში მომსახურე მღვდლებს ენიჭებათ ოფიცრის რანგი და ხელფასს ან პენსიას თავიანთი რანგის მიხედვით იღებენ. ამავდროულად, ისინი, შესაძლოა, იყვნენ საჯარო ან კერძო სამსახურში – ჩვეულებრივ, მასწავლებლის როლში – შესაბამისი ანაზღაურებით.“¹³⁰

შედავათები უძრავი ქონების გადასახადზე, უძრავი ქონების საშემოსავლო გადასახადზე, გადასახადზე უძრავი ქონების

¹²⁹ კარალამბოს პაპასტათისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში“, გვ.145.

¹³⁰ კარალამბოს პაპასტათისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში“, გვ.149.

და CHARALAMBOS K. PAPASTATHIS: "Greece: A Faithful Orthodox Christian State; THE ORTHODOX CHURCH IN THE HELLENIC REPUBLIC", გვ. 358-359.

გადაცემისას, შემოწირულობებისა და მემკვიდრეობის დროს ვრცელდება არა მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაზე, არამედ სხვა კონფესიებსა და რელიგიურ ორგანიზაციებზეც. ყველაზე მეტი საგადასახადო შეღავათით სარგებლობს ათონის მთა.¹³¹

დამატებით ფინანსურ პრივილეგიებში შედის ახლო აღმოსავლეთის მართლმადიდებლური საპატრიარქოების და მსოფლიო საპატრიარქოს მონასტრების კუთვნილი გაუსხვისებელი უძრავი ქონება, რომელიც არ ექვემდებარება გასხვისებას (მესამე მხარისთვის გადაცემას). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სალონიკის სააპელაციო სასამართლოს (1161/1983) გადაწყვეტილების თანახმად, იგივე პრივილეგია გაერცვლდა რომაულ-კათოლიკურ ეკლესია-მონასტრებზეც (1161/1983).¹³²

რელიგიური სწავლება

საბერძნეთის განათლების სისტემაში რელიგიური განათლება უზრუნველყოფილია დაწყებით და საშუალო სკოლებში მხოლოდ „უპირატესი რელიგიისათვის“ აღმოსავლური მართლმადიდებლური ეკლესიის სარწმუნოებრივი მოძღვრებისა და ტრადიციების შესაბამისად. რელიგიურ სწავლებას დაწყებით სკოლებში ეწევიან მასწავლებლები, ხოლო საშუალო სკოლებში – დიპლომირებული თეოლოგები. მართლმადიდებელი ეკლესია არეგულირებს პედაგოგთა დანიშვნის და კურიკულუმის (სასწავლო პროგრამის) განსაზღვრის საკითხებს. რაც შეეხება ანაზღაურებას, სახელმწიფო ორივე (დაწყებითი და საშუალო) საფეხურის პედაგოგებს მოიაზრებს საჯარო მოსამსახურეთა კატეგორიაში, შესაბამისად, ხელფასსაც ის უხდის.

1948-1988 წლებში მოქმედებდა სახელმწიფო საბჭოს (1417/1949) გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, მხოლოდ მართლმადიდებელ პირს ჰქონდა უფლება, ემუშავა სკოლის მასწავლებლად. ანალოგიურად იგივე წესი ვრცელდებოდა საბავშვო ბაღის მასწავლებლებზეც. გამონაკლისს მხოლოდ რელიგიური (უმცირესობის) სკოლები წარმოადგენდა ¹³³ აღნიშნული მიდგომა

¹³¹ Ibid. გვ.149. და Ibid. გვ. 358-359.

¹³² Ibid. გვ.149. და supra, გვ 121.

¹³³ იხ. Infra, გვ. 125.

თავისი არსით დისკრიმინაციული იყო არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ 1975 წლის კონსტიტუციასთან მიმართებითაც, რომლის მე-4 მუხლი საბერძნეთის მოქალაქეთა თანასწორობას განამტკიცებს.

მდგომარეობა შეიცვალა 1988 წელს (L.1771/1988)–ით. ამჟამად „არამართლმადიდებელი მასწავლებელი შეიძლება დაინიშნოს იმ სკოლებში, სადაც, სულ მცირე, ორი ადგილია და რელიგიას ასწავლის მისი მართლმადიდებელი კოლეგა.“¹³⁴

1995 წელს სახელმწიფო საბჭომ სკოლაში საგაღდებულო რელიგიური სწავლებისაგან გაათავისუფლა ის ბავშვები, რომელთა მშობლებიც სხვა რელიგიის აღმსარებელნი იყვნენ იმ შემთხვევაში, თუკი მშობლები ასეთ მოთხოვნას ოფიციალურად წარადგენდნენ. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა რელიგიის თავისუფლების პრინციპებიდან გამომდინარე, რადგან, საერთაშორისო სტანდარტის თანახმად (მაგ. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-18 მუხლი), მშობლებს აქვთ უფლება, შეიღებონ საკუთარი რელიგიური რწმენის შესაბამისად აღზარდონ. ამდენად, არამართლმადიდებელი მოწაფეები არ არიან ვალდებული, დაესწრონ ასეთ კურსებს, თუკი მათი მშობლები არ იზიარებენ მართლმადიდებელი რელიგიის მოძღვრებას. თუმცა საბჭოს ხსენებული გადაწყვეტილება მაინც არასრულყოფილად უნდა მივიჩნიოთ იმ თვალსაზრისით, რომ ის არ ითვალისწინებს იმ მშობელთა უფლებებს, რომლებიც არც ერთ რელიგიას არ მიეკუთვნებიან, ათეისტები არიან ან რომელიმე ისეთ მრწამსს აღიარებენ, რომელიც საბერძნეთში, კონსტიტუციის მე-13 მუხლის მიხედვით „აღიარებულ რელიგიებში“ არ მოიაზრება. ამ მხრივ გადაწყვეტილება ყურადღების მიღმა ტოვებს მშობელთა გარკვეულ ჯგუფს, რაც მათ არათანაბარ პირობებს უქმნის.

აქვე აღსანიშნავია, რომ 1998 წელს სახელმწიფო საბჭომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია რელიგიური (აღმოსავლეთ-მართლმადიდებლური) სწავლების კურსის საათების შეკვეცა სკოლებში.

¹³⁴ კარალამბოს პაპასტატისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში“, გვ. 142.

ის, რომ საბერძნეთში დაწყებით და საშუალო სასკოლო საფეხურებზე რელიგიური სწავლების განხორციელება მხოლოდ „უპირატესი“ სტატუსის მქონე აღმოსავლეთ-მართლმადიდებელ ეკლესიას შეუძლია, არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს საერთოდ ეკრძალებათ რელიგიური განათლების ორგანიზება. საბერძნეთში ყველა რელიგიას საკუთარი სკოლა აქვს. გარდა ამისა, სახელმწიფოც ფლობს რელიგიურ (უმცირესობის) სკოლებს, მაგ. მუსლიმებისთვის, რომელთა უმეტესობაც მათი კომპაქტური დასახლების არეალში - დასავლეთ თრაკიაში არის კონცენტრირებული; სახელმწიფოს, ასევე, აქვს ისლამის მასწავლებლების მოსამზადებელი კოლეჯი.

რაც შეეხება პროფესიულ განათლებას რელიგიის სფეროში, საეკლესიო წოდების მართლმადიდებელ ასპირანტათვის მოქმედებს 21 სხვადასხვა სკოლა (საშუალო, უმაღლესი საფეხურები, დანქარებული სწავლება). ყველა ასეთ სკოლაში მოსწავლეთა საცხოვრებლისა და კვების ხარჯებს სახელმწიფო ფარავს. მართლმადიდებელი სკოლების მასწავლებლებიც, ჩვეულებრივი სკოლების მსგავსად, საჯარო მოსამსახურებად ითვლებიან.

და ბოლოს, უმაღლესი სწავლების საფეხურზე ათენისა და სალონიკის უნივერსიტეტებში დაარსებულია თეოლოგიის ფაკულტეტები. სასწავლებლად დაიშვებიან როგორც მართლმადიდებელი, ისე არამართლმადიდებელი სტუდენტები.

საქორწინო და საოჯახო სამართალი

აღმოსავლეთ მართლმადიდებელ ეკლესიაში სასულიერო პირის ქორწინება დასაშვებია, თუკი ქორწინება გაფორმებულია მის მორჩილად კურთხევამდე.¹³⁵ მაღალი იერარქის სამღვდელთათვის ქორწინების მხრივ მოქმედებს გარკვეული შეზღუდვები, მაგ. ეპისკოპოსს ირჩევენ მხოლოდ დაუქორწინებელი ან დაქვრივებული მღვდლებისგან.¹³⁶

1982 წლამდე საბერძნეთი არ ცნობდა სამოქალაქო ქორწინების ინსტიტუტს, ხოლო საეკლესიო ქორწინება წარმოადგენდა ოჯახის შექმნის ერთადერთ ლეგიტიმურ ფორმას. რაც შეეხება საზღვარგარეთ

¹³⁵ კარალამბოს პაპასტატისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში“, გვ. 152.

¹³⁶ Ibid. გვ. 152.

რეგისტრირებულ ქორწინებას, არც მას აღიარებდნენ საბერძნეთში. კანონი L.1250/1982-ის თანახმად, 1982 წელს, საეკლესიო ქორწინების პარალელურად, შესაძლებელი გახდა ქორწინების რეგისტრაცია სამოქალაქო სამართლის წესით. მოხდა სამოქალაქო კანონმდებლობის გადახედვაც იმ კუთხით, რომ გამარტივებულიყო სამოქალაქო ქორწინების ხელშეშლელი ბარიერები, მაგრამ საეკლესიო რეგისტრაციის დამატებითი წინაპირობები დარჩა. კერძოდ, ეკლესია არ არეგისტრირებს მართლმადიდებელი აღმსარებლობის პირის ქორწინებას სხვა (არაქრისტიანული) აღმსარებლობის წარმომადგენელზე, აგრეთვე, ქორწინებას, როდესაც სახეზეა მესამე ქორწინება, ახლო სისხლისმიერი ან ნათლობისმიერი ნათესაობა; დამატებით, ქორწინების რეგისტრაციის ხელშეშლელი წინაპირობა იყო სასამართლოს მიერ პირის სისხლის სამართლებრივი მსჯავრდება დაღატში, თუმცა ამჟამად მოქმედი საბერძნეთის კანონმდებლობა აღარ ახდენს დაღატის კრიმინალიზებას. ასევე, არ დაიშვება „ქორწინება მღვდლებსა და ბერებზე და ქალზე, რომლის ბოლო განქორწინებიდან გასულია ათ თვეზე ნაკლები.“¹³⁷

ეკლესიაში ქორწინების რეგისტრაცია მიტროპოლიტის ლიცენზიის საფუძველზე ხდება. სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის თანახმად, ქორწინების ლეგიტიმაციისათვის აუცილებელია, რომ საქორწინო ცერემონიალის წარმმართველი იყოს შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი მოქმედი მართლმადიდებელი მღვდელი. რაც შეეხება შერეულ (ქრისტიანულ) ქორწინებას, მისი გაფორმება ხდება ორივე დოქტრინის შესაბამისად.

„განქორწინებას აფორმებს მხოლოდ სამოქალაქო სასამართლო. ეკლესიას უფლება აქვს, ჩაერიოს საქმის წარმოებაში ორჯერ: განქორწინების გადაწყვეტილების გამოტანამდე შერიგების მცდელობით (სამოქალაქო პროცედურების კოდექსი, მუხლი 593-ე (გაუქმდა სამოქალაქო ქორწინების შემოღების შემდეგ) და სასამართლოს გადაწყვეტილების თანმდევად, როდესაც ეკლესია ახდენს სულიერ განქორწინებას. აღნიშნული მიდგომა კვლავ

¹³⁷Ibid. გვ. 152.

ძალაშია, თუკი პირებს, რომლებიც საეკლესიო ქორწინებაში იყვნენ, სურთ მეორე რელიგიურ ქორწინებაში შესვლა.”¹³⁸

მართლმადიდებელი ეკლესია დასაშვებად მიიჩნევს სამ კანონიერ ქორწინებას პირის ცხოვრების განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილება, მკვლევართა აზრით, ¹³⁹ გარკვეულწილად თვითნებურია, რადგან ეს მოთხოვნა არ ჰგავს რაიმე თეოლოგიური არგუმენტის შედეგად ჩამოყალიბებულ დოგმას, არამედ უფრო კონიუნქტურის პირშია. მეტიც, იყო დრო, როდესაც მართლმადიდებელი ეკლესია პირს ოთხი ქორწინების უფლებას აძლევდა, რაც მხოლოდ და მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორების სურვილით იყო განპირობებული, რაც შემდგომში სამამდე შემცირდა. ¹⁴⁰

მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა

მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ-მართლმადიდებელი ეკლესიის სარწმუნოებრივი მოძღვრება საბერძნეთში „უპირატეს“ რელიგიად არის აღიარებული, 1975 წლის კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობა რეგულირდება სახელმწიფოს უზენაესობის (Staatskirche), იგივე „სახელმწიფო კანონის უზენაესობის“ სისტემის მეშვეობით. საბერძნეთში სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულების ძირითად ასპექტებს განსაზღვრავს 1975 წლის (მოქმედი) კონსტიტუციის მე-3 (1) მუხლი, რომლის თანახმადაც: „მართლმადიდებელი ეკლესიის სარწმუნოებრივი მოძღვრება უპირატესი რელიგიაა; საბერძნეთის ეკლესია დოქტრინით განუყოფლად არის დაკავშირებული კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან; ეკლესია არის თვითმართვადი და ავტოკეფალური.“¹⁴¹ თუმცა, ამავდროულად, კონსტიტუციის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო უფლებამოსილია, რელიგიის საკითხებზე

¹³⁸ იხ. C. K. PAPASTATHIS: “Greece: A Faithful Orthodox Christian State; THE ORTHODOX CHURCH IN THE HELLENIC REPUBLIC”, გვ. 360. იხ. აგრეთვე: კარალამბოს პაპასტატისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში“ გვ. 153.

¹³⁹ იხ. მაგ. George Th. Mavrogordatos: “CHURCH-STATE RELATIONS IN THE GREEK ORTHODOX CASE” Paper presented to the Workshop “Church and State in Europe”, ECPR Joint Sessions, Copenhagen, 14-19 April 2000.

¹⁴⁰ Ibid. გვ. 7.

¹⁴¹ კარალამბოს პაპასტატისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში“ გვ. 134. დამატებით იხ. 1975 წლის კონსტიტუციის მე-3 (1) მუხლი.

საკანონმდებლო რეგულირება განახორციელოს, გამოსცეს კანონები ან მოახდინოს მათი შემოწმება/დადასტურება.¹⁴²

მე-3 და მე-13 (რელიგიის თავისუფლება) მუხლები, რამდენიმე სხვა მუხლთან ერთად,¹⁴³ ითვლება სპეციალურ დებულებებად, რომელთა მიმართებითაც კანონპროექტების და საკანონმდებლო ინიციატივების განხილვა პარლამენტს მხოლოდ პლენარულ სესიებზე შეუძლია. შესაბამისად, უნდა მივიჩნიოთ, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსთან და რელიგიის და მრწამსის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები სახელმწიფოს განსაკუთრებული ინტერესის სფეროს განეკუთვნება.¹⁴⁴ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მე-13 მუხლის პირველი პუნქტი, 110-ე მუხლის თანახმად, კონსტიტუციის დამატებითი სპეციალური დაცვით სარგებლობს და, საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმის მსგავსად, გადახედვას არ ექვემდებარება, რასაც ვერ ვიტყვიტ მე-3 მუხლთან მიმართებით. ე.ი. მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის გადახედვა, შესაბამისი ნების არსებობისას, სახელმწიფოს მხრიდან შესაძლებელია.¹⁴⁵

წინა კონსტიტუციების მსგავსად 1975 წლის კონსტიტუციაში „არ შეცვლილა ტერმინი „უპირატესის“ სამართლებრივი მნიშვნელობაც და იგი უწინდებურად ნიშნავს, [რომ]: (1) მართლმადიდებლური ქრისტიანული რწმენა არის ბერძნული სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია; (2) ეკლესიას, რომელიც ამ რწმენას განასახიერებს, აქვს სამართლებრივი სტატუსი: თავის სხვადასხვა სამსახურთან ერთად, იგი საჯარო სამართლის იურიდიული პირია სამართლებრივ ურთიერთობაში (მუხლი 1(4)-ლი L.590/1977 საბერძნეთის ეკლესიის საკანონმდებლო წესდებასთან დაკავშირებით) და (3) სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ განსაკუთრებული და ხელშემწყობია [ინსტიტუციური, მორალური, ფინანსური

¹⁴² მაგალითად, რელიგიური ნაგებობის ასაშენებლად თავდაპირველი (მიტროპოლიტის) ნებართვის გარდა, აუცილებელია სახელმწიფოს მიერ დადასტურება – სანქცირებაც.

¹⁴³ აღნიშნული წესი, მე-3 და მე-13 მუხლების გარდა, ვრცელდება: 1975 წლის კონსტიტუციის 27-ე, 28-ეს მე-2(2) და მე-(3), 29-ეს მე-(2), 33(3), 48-ე, 51-ე, 54-ე, 86-ე მუხლებზეც.

¹⁴⁴ იხ. C. K. PAPASTATHIS: "Greece: A Faithful Orthodox Christian State; THE ORTHODOX CHURCH IN THE HELLENIC REPUBLIC", გვ. 341.

¹⁴⁵ იხ. supra, გვ. 128.

თვალსაზრისით”¹⁴⁶], რაც, როგორც წესი არ ვრცელდება სხვა რწმენასა და რელიგიებზე.”¹⁴⁷

აღნიშნული სპეციფიკური დამოკიდებულება, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან მართლმადიდებელ ეკლესიაზე ვრცელდება, არ არღვევს თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპებს,¹⁴⁸ რადგან მისი ობიექტია მთლიანად ეკლესია და არა ეკლესიის ინდივიდუალური წევრები, „რაც შეესაბამება თანასწორობის პრინციპს, სხვა შემთხვევაში არამართლმადიდებლების მიმართ სხვაგვარმა მოპყრობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს მოქალაქეების დისკრიმინაცია მათი რელიგიური შეხედულებებიდან გამომდინარე”.¹⁴⁹

გარკვეული, თუნდაც მნიშვნელოვანი უპირატესობის მინიჭება რომელიმე ეკლესიისათვის თავისთავად არ ნიშნავს დისკრიმინაციას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რადგან ადამიანის უფლებების განმსაზღვრელი საერთაშორისო დოკუმენტები სწორედ ინდივიდს განიხილავენ ცენტრალურ ფიგურად და მისი უფლებებიდან ამოდიან; შესაბამისად, რომელიმე რელიგიური ორგანიზაციის აღმსარებლობის უპირატესი სტატუსი ქვეყნის შიგნით - ე.ი. დამოკიდებულება თავად ეკლესიის და არა მისი წევრების მიმართ - არ ჩაითვლება განსხვავებულ მოპყრობად, თუ ის საგრძნობი არ იქნება ინდივიდების დონეზე. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია სხვადასხვა რელიგიის და აღმსარებლობის პირებს, თეისტებსა და ათეისტებს უფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით მოეპყრას თანაბრად და უზრუნველყოს მათი დაცვა, მათ შორის რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციისაგან.¹⁵⁰ ამ მხრივ საყურადღებოა საბერძნეთის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება (261/1983), რომელმაც ქალაქ პატრაში ელექტროენერჯის ყველა მომხმარებლის ვალდებულება, L.D.3485/1955 დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად, კომუნალურ გადასახადთან ერთად გადაეხადათ „სპეციალური

¹⁴⁶ იხ. C. K. PAPASTATHIS: “Greece: A Faithful Orthodox Christian State; THE ORTHODOX CHURCH IN THE HELLENIC REPUBLIC”, გვ. 343.

¹⁴⁷ კარალამბოს პაპასტათისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში”, გვ. 135.

¹⁴⁸ იხ. აგრეთვე C. K. PAPASTATHIS: “Greece: A Faithful Orthodox Christian State; THE ORTHODOX CHURCH IN THE HELLENIC REPUBLIC”, გვ. 343.

¹⁴⁹ Ibid. გვ. 3.

¹⁵⁰ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) პრაქტიკა ევროპული კონვენციის მე-9 და მე-14 მუხლებთან მიმართებით.

შესაწირი წმ. ანდრეას სახელობის ეკლესიის მშენებლობისათვის”, კონსტიტუციასთან აშკარად შეუსაბამოდ მიიჩნია.¹⁵¹

განსაკუთრებული მიდგომა ეხება არა მხოლოდ საბერძნეთის მართლმადიდებელ ეკლესიას, არამედ, აგრეთვე, ვრცელდება საბერძნეთში არსებულ მსოფლიო საპატრიარქოს ყველა სხვა ეპარქიაზე (მაგ. კრეტა, ათონის მთა, დიოდეკანესის კუნძულები) ისევე, როგორც აღმოსავლეთის ყველა სხვა ერთმორწმუნე (მართლმადიდებელ) ეკლესიაზე და დიასპორის კუთვნილ ეკლესიებზე (დასავლეთი, ცენტრალური და ჩრდილოეთი ევროპა, ამერიკა, ავსტრალია და შორეული აღმოსავლეთი).¹⁵²

ეკლესიის ავტოკეფალია

1850 წლის 29 ივნისს საპატრიარქომ გამოაქვეყნა Synodal Tome (ოფიციალური აქტი) რომლის მიხედვითაც, საბერძნეთის ეკლესია გამოცხადდა ავტოკეფალურად. „ეკლესია მიიჩნევა ავტოკეფალურად, როდესაც იგი სულიერ საკითხებთან დაკავშირებით თვითუზრუნველყოფილია და დამოუკიდებელი მართვის მქონეა.“¹⁵³ კონსტიტუციის მე-3(1) მუხლში ნახსენები „საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია“ არ აერთიანებს საბერძნეთის სახელმწიფოს ყველა მართლმადიდებელს. „საბერძნეთის სახელმწიფო იყოფა ხუთ ცალკეულ საეკლესიო პროვინციად თავისი ეკლესიებით, თუმცა ზოგიერთი მათგანი იმავე სინოდურ იერარქიას ექვემდებარება, მაგრამ განსხვავებულ ადმინისტრაციულ ან სულიერ საფუძველზე.“¹⁵⁴

განსხვავებული რეჟიმით სარგებლობენ კრეტის ეკლესია, დიოდეკანესის კუნძულები, ათონის მთა და საზღვარგარეთ არსებული

¹⁵¹ კარალამბოს პაპასტატისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში“, გვ.135.

¹⁵² Ibid, გვ. 3. იხ. აგრეთვე18(8)-ე მუხლი L590/1977 საბერძნეთის ეკლესიის საკანონმდებლო წესდებასთან დაკავშირებით, ციტირებულია იქვე.

¹⁵³ კარალამბოს პაპასტატისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში“, გვ. 140.

¹⁵⁴ კარალამბოს პაპასტატისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში“, გვ. 140. აგრეთვე იხ. C. K. PASTATHIS: “Greece: A Faithful Orthodox Christian State; THE ORTHODOX CHURCH IN THE HELLENIC REPUBLIC”, გვ. 347.

დიასპორები (დასავლეთი, ცენტრალური და ჩრდილოეთი ევროპა, ამერიკა, ავსტრალია და შორეული აღმოსავლეთი).

კრეტის ავტოკეფალურმა ეკლესიამ, რომელიც 1898 წლიდან არსებობს, 1900 წელს, მსოფლიო საპატრიარქოსთან შეთანხმების საფუძველზე, კანონიკური დამოკიდებულება და შიდა ორგანიზაცია განსაზღვრა. დღეს კრეტის ეკლესია სულიერად კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს ქვემდებარეა, ხოლო ადმინისტრაციულად - ნახევრად ავტონომიურია.

დიოდეკანესის კუნძულები საბერძნეთს 1947 წლის მარტში შეუერთდა, თუმცა ადმინისტრაციულად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში დარჩა (მოიცავს ოთხ სამიტროპოლიტო ეპარქიას და პატმოსის საეგზარქოსოს).

რაც შეეხება ათონის წმინდა მთის ნახევარკუნძულს, ის 1912 წლიდან (განთავისუფლების თარიღი) ინარჩუნებს პრივილეგიური თვითმმართველობის რეჟიმს და, პარალელურად, მსოფლიო საპატრიარქოს სულიერი იურისდიქციის დაქვემდებარებაში რჩება. ათონის მთა სარგებლობს ყველაზე მეტი პრივილეგიით და საგადასახადო შეღავათით (საკანონმდებლო ბრძანება 10/16-9-1926).¹⁵⁵ მისი სამოქალაქო მმართველობის საკითხებით დაკავებულია საგარეო საქმეთა სამინისტრო.¹⁵⁶

ეკლესიის ორგანიზაცია

საბერძნეთის ეკლესიის ორგანიზაციული სტრუქტურის იერარქიის სათავეშია წმინდა სინოდი, რომელსაც აქვს ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და იურიდიული კომპეტენცია. L.590/1977-ის მიხედვით, სინოდს განესაზღვრა კომპეტენციის სფეროები, რომლის ფარგლებშიც მას შეუძლია, გამოსცეს საეკლესიო ბრძანებები და სხვა ოფიციალური აქტები. სინოდს ხელმძღვანელობს ათენის არქიეპისკოპოსი, ხოლო მისი წევრები არიან მოქმედი ეპისკოპოსები (მიტროპოლიტები). „ამჟამად მთლიანად საარქიეპისკოპოსოში არის ოთხმოცი სამიტროპოლიტო ეპარქია. „...კრეტის ეკლესიას აქვს საეპისკოპოსო და შვიდი სამიტროპოლიტო ეპარქია, დიოდეკანესის კუნძულებს – ოთხი,

¹⁵⁵ კარალამბოს პაპასტატისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში“, გვ. 141.

¹⁵⁶ Ibid. გვ. 141.

ხოლო ათონის წმინდა მთა თავად მსოფლიო საპატრიარქოს იურისდიქციაშია.”¹⁵⁷

წმინდა სინოდის შეკრებები, კანონით, ყოველი წლის პირველ ოქტომბერს ტარდება, თუმცა საჭიროებისამებრ, შესაძლებელია რიგგარეშე სხდომების მოწვევაც. შეხვედრებს შორის ინტერვალში ადმინისტრაციულ საქმიანობას უზრუნველყოფს თორმეტი მიტროპოლიტისგან შემდგარი მუდმივმოქმედი წმინდა სინოდი (Permanent Holy Synod), რომელსაც ათენის არქიეპისკოპოსი ხელმძღვანელობს; არქიეპისკოპოსს აქვს მოცემულ თანამდებობაზე ყოფნის წლიური ვადა და უფლებამოსილება დადგენილ ფარგლებში. სინოდის ფარგლებში, აგრევე, ფუნქციონირებს რამდენიმე დამხმარე კომიტეტი და იურიდიული პირი.¹⁵⁸

„მონასტრები საჯარო სამართლის იურიდიული პირებია და ისინი ფუნქციონირებენ პრეზიდენტის ბრძანებულებით. საბერძნეთის ეკლესიის მონასტრები იყოფა ორ კატეგორიად: მონასტრები, რომელთა ზედამხედველობა ხორციელდება ადგილობრივი მიტროპოლიტის მიერ და რომელთაც ზედამხედველობს წმინდა სინოდი. საბერძნეთში, აგრეთვე, არის მონასტრები, რომელთაც ზედამხედველობს მსოფლიო საპატრიარქო ან დამოკიდებულნი არიან ათონის მთაზე მდებარე მონასტრებზე, უფლის წმინდა საფლავის ან სინას მთის მონასტრზე.”¹⁵⁹

რაც შეეხება ათონის ნახევარკუნძულს და მასზე მდებარე მონასტრებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში მოქმედებს განსაკუთრებული პრივილეგია. ათონის მთა საკანონმდებლო, იურიდიულ და ადმინისტრაციული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაარსებიდან (963წ.), სარგებლობდა პრივილეგიებით ბიზანტიის მმართველების მხრიდან, რაც, აგრეთვე, მოიცავდა რელიგიური, პირადი და ფინანსური ხასიათის პრივილეგიებს. საბერძნეთის კონსტიტუციამ გაიზიარა ათონის მთის განსაკუთრებული სტატუსი და, 105-ე მუხლით, ათონის ნახევარკუნძული საბერძნეთის სახელმწიფოს თვითმმართველობის ნაწილად გამოაცხადა, რომლის სუვერენიტეტიც ხელშეუვალია.¹⁶⁰ კონსტიტუცია

¹⁵⁷ კარალამბოს პაპასტატისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში”, გვ. 141.

¹⁵⁸ Ibid. გვ. 146.

¹⁵⁹ Ibid. გვ. 146-147.

¹⁶⁰ იხ. 1975 წ. კონსტიტუციის 105 (1) მუხლი.

სტატიკურად ადგენს და „არ იძლევა რაიმე ცვლილების განხორციელების უფლებას ადმინისტრაციულ სისტემაში, მონასტრების რაოდენობაში, იერარქიულ წყობასა და მათ ურთიერთობაში მათზე დამოკიდებულ პირებთან (სენაკები, განმარტოებული საცხოვრებლები).”¹⁶¹ ამავე მუხლით იკრძალება წმინდა მთაზე სხვა რელიგიების წარმომადგენელთა ცხოვრება. (მ. 105 (2)).

ათონის მთას მართავს მისი ოცი მონასტრის წარმომადგენლებისგან შექმნილი წმიდა საზოგადოების ადმინისტრაციული ორგანო – *Holy Epistassia* (ზედამხედველობა), რომელიც შედგება ოთხი სხვადასხვა მონასტრის ოთხი ბერისგან, რომელთა როტაციაც ყოველწლიურად ხდება. „სულიერად ათონის მთა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს პირდაპირ იურისდიქციაშია. ყველა პირს, რომლებიც იქ სამონასტრო ცხოვრებას ეწევიან, კანონით ეძლევა საბერძნეთის მოქალაქეობა”.¹⁶²

1927 ძალაში შევიდა ათონის მთის წესდება, რომელსაც ოცივე მონასტერმა მისცა ხმა. იგი რატიფიცირებულ იქნა მსოფლიო საპატრიარქოსა და საბერძნეთის პარლამენტის მიერ.¹⁶³

ათონის მთის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისას დამატებით გასათვალისწინებელია „ლოზანის 1923 წლის ხელშეკრულების მე-16 პროტოკოლის მე-13 მუხლი, რომელიც იცავს არაბერძნული წარმოშობის სამონასტრო საზოგადოების უფლებებსა და თავისუფლებას”¹⁶⁴ და „საბერძნეთის ევროპის კავშირში გაერთიანებასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულების საბოლოო აქტის (1979) ერთობლივი დეკლარაცია №4”¹⁶⁵. აღნიშნული დეკლარაცია ხაზს უსვამს ათონის მთის სტატუსის შენარჩუნების საჭიროებას, მათ შორის, საბაჟო პრივილეგიების და საგადასახადო შეღავათების კუთხით.

¹⁶¹ კარალამბოს პაპასტატისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში”, გვ. 153-154; C. K. PAPANASTATHIS: “Greece: A Faithful Orthodox Christian State; THE ORTHODOX CHURCH IN THE HELLENIC REPUBLIC”, გვ. 361; იხ. აგრეთვე 1975 წ. კონსტიტუციის 105 (2) მუხლი.

¹⁶² კარალამბოს პაპასტატისი: „სახელმწიფო და ეკლესია საბერძნეთში” გვ. 153-154; C. K. PAPANASTATHIS: “Greece: A Faithful Orthodox Christian State; THE ORTHODOX CHURCH IN THE HELLENIC REPUBLIC”, გვ. 361; იხ. აგრეთვე 1975 წ. კონსტიტუციის 105 (1) მუხლი.

¹⁶³ Ibid, გვ. 153-154. იხ. აგრეთვე 1975 წ. კონსტიტუციის 105 (2) მუხლი.

¹⁶⁴ Ibid, გვ. 153-154.

¹⁶⁵ Ibid, გვ. 153-154.

ფინეთი

ფინეთის რესპუბლიკაში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სპეციფიკა საკმაოდ განსხვავებულია ევროკავშირის წევრი დანარჩენი სახელმწიფოებისაგან. კერძოდ, ფინეთის რესპუბლიკა არის ევროპის კავშირში შემავალი ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც ორი ოფიციალურად აღიარებული სახელმწიფო ეკლესია აქვს, რომელთაგან ერთ-ერთი მართლმადიდებელი ეკლესიაა. ამასთან, სხვა სკანდინავიური სახელმწიფოებისგან, კერძოდ, შვედეთისა და ნორვეგიისაგან განსხვავებით,¹⁶⁶ ფინეთში სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობა პრაქტიკაში ეტაპობრივად გათავისუფლდა ძლიერი ურთერთგავლენისგან ისე, რომ არ მომხდარა ეკლესიის სახელმწიფოსგან სრული ოფიციალური გამიჯნვა. აღნიშნული განპირობებულია ისტორიული ფაქტორებით, რომლებმაც სხვადასხვა დროს გავლენა იქონია ფინეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე.

XII–XIII სს. მოყოლებული, მე-18 საუკუნის ბოლომდე ფინეთის უმეტესი ნაწილი შვედეთის შემადგენლობაში შედიოდა და მასზე ვრცელდებოდა დასავლეთის ქრისტიანობის გავლენა. მხოლოდ კარელიის ნაწილი დარჩა მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენის სფეროში. 1809 წელს ფინეთი რუსეთის ნაწილი გახდა, თუმცა შენარჩუნდა არსებული ურთიერთობა ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის, ისევე, როგორც საეკლესიო კოდექსი, რომელიც უკავშირდებოდა შვედეთის მმართველობის პერიოდს.¹⁶⁷ 1869 წლის საეკლესიო კოდექსი (კანონი) (რომელიც გამიზნული იყო ფინეთის ლუთერული ეკლესიისთვის), ეხებოდა მხოლოდ ლუთერული კონფესიის წევრებს. ამ კოდექსის მიხედვით, რომელიც ფინეთის საეკლესიო სამართლის ცნობილი მკვლევარის - ფრანც ლუდვიგ

¹⁶⁶Matti Kotiranta: "Religion and the Secular State in Finland", (National Report) გვ. 277. *"Religion and the Secular State: National Reports"*, Interim Edition Issued For the Occasion of XVIIIth International Congress of Comparative Law, Javier Martinez- Torrón and W. Cole Durham, Jr. (eds.) (Provo, UT: International Center For Law and Religious Studies, 2010), 273-298.

¹⁶⁷ მარკუ ჰაიკილა, ირკი კნუტილა, მარტინ შაინინი, „სახელმწიფო და ეკლესია ფინეთში“, გვ. 598. (გერჰარდ რობერსი (რედ.) „სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის ქვეყნებში“, თბილისი, 2011წ.)

შაუმანის (1810-1877) ავტორობით ჩამოყალიბდა, „მხოლოდ საეკლესიო სინოდს ჰქონდა საეკლესიო კანონების ინიცირების უფლება. საერო ხელისუფლების წარმომადგენლებს არ ჰქონდათ უფლება, გავლენა მოეხდინათ კანონმდებლობის შინაარსზე. მათი როლი შემოიფარგლებოდა მხოლოდ წარმოდგენილი კანონის მიღებით ან უარყოფით. რეგენტი – რუსეთის დიდი მთავარი – პარლამენტის წინადადების შესაბამისად გამოსცემდა საეკლესიო კანონებს.“¹⁶⁸ შეიძლება ითქვას, რომ, პრაქტიკაში, ლუთერულ ეკლესიასთან მიმართებით ფინეთი დღემდე იზიარებს აღნიშნულ მიდგომას.¹⁶⁹

1919 წელს მიღებულ იქნა დამოუკიდებელი ფინეთის საკონსტიტუციო აქტი, რომელიც სახელმწიფოს კონფესიურ ნეიტრალიტეტს ემხრობოდა და რელიგიის თავისუფლების დეკლარირებას ახდენდა. ამ მხრივ საყურადღებოა 1922 წლის კანონიც რელიგიის თავისუფლების შესახებ, რომელიც კონსტიტუციურ აქტში დეკლარირებულ უფლებას უფრო დეტალურად მიმოიხილადა. მართლმადიდებელი და ლუთერული ეკლესიები, მრევლის რიცხოვნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული, ეროვნული, სახალხო სტატუსით სარგებლობდნენ და სახელმწიფოს დამოკიდებულებაც მათ მიმართ სპეციპიკური იყო.

1995 წელს ფინეთი ევროპის კავშირში გაერთიანდა. ევროინტეგრაციის პარალელურად, დღის წესრიგში დადგა მთელი რიგი ახალი გამოწვევები კანონმდებლობის ჰარმონიზაციის თვალსაზრისით. განხორციელდა კონსტიტუციის ერთიანი რეფორმა, საკონსტიტუციო ტექსტის სტატუსის მქონე ოთხი ცალკეული დოკუმენტი შეიცვალა ერთიანი კონსტიტუციური ტექსტით. ფინეთის ახალი კონსტიტუცია, რომელშიც საზგასმით არის აღნიშნული პიროვნების თავისუფლება, 1999 წელს მიიღეს და 2000 წელს შევიდა ძალაში. საყურადღებოა ისიც, რომ კონსტიტუციაში გათვალისწინებულია საზოგადოების დამოკიდებულებაში მომხდარი ცვლილებები და მაქსიმალურად არის ასახული ახალი რეალიები, კერძოდ, ცვლილების შედეგად, ლუთერული ეკლესიის განსაკუთრებული სტატუსის საკონსტიტუციო აღიარება ნაკლებად

¹⁶⁸ Ibid. გვ. 599.

¹⁶⁹ Ibid. იხ. აგრეთვე: მარკუ ჰაიკილა, ირკი კნუუტილა, მარტინ შაინინი: „სახელმწიფო და ეკლესია ფინეთში“ გვ. 603.

თვალშისაცემი გახდა, თუმცა სხვა მხრივ არ დაკნინებულა მისი როლი. ახალი კონსტიტუციის 76-ე პარაგრაფში ასახულია ლუთერული ეკლესიის როგორც ტრადიციული, ისე განსაკუთრებული სტატუსი და კვლავაც კონსტიტუციის დონეზეა დაცული ეკლესიის ავტონომია.

გადახედვს რელიგიის თავისუფლების მომწესრიგებელ დოკუმენტებსაც; შედეგად, 2003 წელს მიიღეს რელიგიური თავისუფლების ახალი კანონი (170/2002 vp), რომელშიც დაკონკრეტებულია ფინეთის ახალი კონსტიტუციის მე-11¹⁷⁰ პარაგრაფში ჩამოყალიბებული რელიგიის თავისუფლების დებულებები. კანონი აგრეთვე დეტალურად განსაზღვრავს რელიგიურ გაერთიანებათა სტატუსს და საქმიანობის წესს.

2007 წლიდან ასევე მოქმედებს ახალი კანონი მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ (HE 985/2006), რომლითაც წესრიგდება ურთიერთობა ფინეთის რესპუბლიკასა და ფინეთის მართლმადიდებელ ეკლესიას შორის.

მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი და ორგანიზაცია

2009 წლის დამდეგისთვის ფინეთის მოსახლეობის 80.7% ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას ეკუთვნოდა. სიდიდით მეორე ადგილს იკავებს ფინეთის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც წევრთა მზარდი რაოდენობით გამოირჩევა და 2008 წლისთვის სრული მოსახლეობის 1%-ზე ოდნავ მეტს, 54, 445 წევრს მოიცავდა.¹⁷¹ ეკლესიისადმი კუთვნილებას ძირითადად თავად ამა თუ იმ რელიგიის წიაღში არსებული ტრადიცია განსაზღვრავს (მაგ. ნათლობის ტრადიცია). სახელწიფო ამ მხრივ არავითარ რეგულაციას არ აწესებს. მოსახლეობის მატებასთან ერთად, სხვა რელიგიური ორგანიზაციების მსგავსად (მაგ. მუსლიმთა თემი, იჰოვას მოწმეები, ფინეთის თავისუფალი ეკლესია და ა.შ.), მართლმადიდებელი თემის რიცხოვნებაც გაიზარდა. გარდა აღმოსავლური მართლმადიდებელ-

¹⁷⁰ ციტირებულია *ibid*, გვ. 6, სქოლიო 3: „1999 წლის აქტი 731. იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელებული თარგმანი ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ესპანურ ენებზე შეგიძლიათ იხილოთ: <http://www.om.fi/74.htm>.“

¹⁷¹სხვადასხვა ინფორმაციით ამჟამად ეს რაოდენობა 100, 000-მდეა გაზრდილი.

ბისა, სხვა მართლმადიდებელი ჯგუფების მიმდევართა რიცხვი ბოლო ორ ათწლეულში 800-იდან (1990წ.) 2,091-ზე (2008 წ.) ავიდა.¹⁷²

„ლუთერული და მართლმადიდებელი ეკლესიები საჯარო სამართლის თვითმართვადი იურიდიული პირები არიან. მათი შიდა სტრუქტურა და სახელმწიფოსთან ურთიერთობა განისაზღვრება პარლამენტის კონკრეტული აქტებით. ლუთერული ეკლესიის ავტონომია „კლიერი“ ავტონომიაა იმ გაგებით, რომ მხოლოდ ეკლესიას შეიძლება წაუყენონ წინადადებები საეკლესიო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ. ამ ორი სახელმწიფო ეკლესიის საჯარო სამართლის ბუნება ვლინდება იმ ფაქტშიც, რომ ორივე ეკლესიას აქვს საკუთარი შიდა სასამართლო სისტემა“.¹⁷³

მართლმადიდებელი ეკლესია ფინეთში სიდიდით და გავლენით მეორე ავტონომიური ეკლესიაა. მის დამაარსებლად ითვლებიან სერგი და გერმანე ვალაამელები. ფინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდება მთლიანად ფინეთის რესპუბლიკაზე. იგი ერთადერთი მართლმადიდებელი ეკლესიაა, რომელიც გრიგორიანული კალენდრით სარგებლობს, განსხვავებით „ახალი სტილის“ მიმდევარი დასავლეთ ევროპის სხვა მართლმადიდებელი ეკლესიებისგან, სადაც იულიანური კალენდრი გამოიყენება. აღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებულია სურვილით, ქვეყანაში მცხოვრები ქრისტიანი მოსახლეობის უმრავლესობის ქრისტიანულ დღესასწაულებზე დასვენების თარიღები ერთმანეთს დაემთხვეს.

კანონიკურად, ფინეთის მართლმადიდებელი ეკლესია კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს იურისდიქციაშია, თუმცა იგი ავტონომიურია. მისი ამჟამინდელი მეთაურია მაღალყოვლადუსამღვდელოესი ლეო, კარელიის და სრულიად ფინეთის მთავარეპისკოპოსი, რომლის კათედრაც ვალაამის მონასტერში მდებარეობს. ღვთისმსახურება ფინურ, შვედურ და საეკლესიო სლავურ ენებზე მიმდინარეობს. ქვეყანაში არის სამი ეპარქია, 24 ეკლესია, 2 მონასტერი, სასულიერო სასწავლებელი,

¹⁷²იხ.Matti Kotiranta:“Religion and the Secular State in Finland”, (National Report), გვ. 274.

¹⁷³მარკუ ჰაიკილა, ირკი კნუტილა, მარტინ შაინინი: „სახელმწიფო და ეკლესია ფინეთში“.გვ. 606.

თეოლოგიის ფაკულტეტი იოენსუს უნივერსიტეტში, ეკლესიას აქვს საეკლესიო ხელოვნების მუზეუმი,

მიუხედავად სახელმწიფო რელიგიის სტატუსისა, ფინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა გარკვეულწილად მაინც განსხვავდება ლუთერანული ეკლესიის მდგომარეობისაგან. როგორც უკვე აღინიშნა, ამჟამად სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა ქვეყანაში რეგულირდება 2007 წლის ახალი კანონით მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ (HE 985/2006). 2006 წლამდე მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობას განსაზღვრავდა მართლმადიდებელი ეკლესიის აქტი (521/1969) და მისი დამატებითი წესდება (179/1970), ისევე, როგორც რელიგიის თავისუფლების აქტი (2003) და ზოგადი ადმინისტრაციული კანონმდებლობა.

აღნიშნული აქტის 171-ე პარაგრაფის (521/1969) თანახმად, მართლმადიდებელი ეკლესიის კონფესია და სტრუქტურა, აგრეთვე, რეგულირდებოდა პარლამენტის აქტით. მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარი სინოდი აღჭურვილი იყო უფლებამოსილებით, მოეხდინა საეკლესიო კანონების და წესდების ინიცირება,¹⁷⁴ თუმცა ლუთერული ეკლესიისგან ერთი მნიშვნელოვანი სხვაობით: ხელისუფლების ორგანოებს არ ჰქონდათ უფლება, შეეცვალათ ლუთერული ეკლესიის გენერალური ასამბლეის მიერ ფორმულირებული ტექსტი, მართლმადიდებელ ეკლესიას კი მხოლოდ კანონპროექტის სასურველი ვარიანტის ინიცირება შეეძლო, ხოლო მის შემდგომ ფორმულირებასა და შინაარსზე მსჯელობა, საბოლოო სახით ჩამოყალიბება, ასევე, დამტკიცება - არ დამტკიცების საკითხი საკანონმდებლო ორგანოს პრეროგატივა იყო.

მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ 2007 წლის ახალი კანონით (HE 985/2006), შენარჩუნდა ეკლესიის სახელმწიფო სტატუსი. განისაზღვრა, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას ექნებოდა გენერალური სინოდის მიერ დამტკიცებული, საქმიანობის მომწესრიგებელი წესდება, რომელიც უზრუნველყოფდა მის თვითორგანიზებას. მართლმადიდებელ ეკლესიას, ასევე, მიენიჭა მეტი

¹⁷⁴Matti Kotiranta: “Religion and the Secular State in Finland”, (National Report), გვ. 285.

ავტონომია ეკლესიის შიდა, მათ შორის, ეკონომიკური ადმინისტრირების თვალსაზრისით, შეიცვალა ეკლესიის ხარჯებთან დაკავშირებული დებულებები და სახელმწიფომ უარი თქვა ეკლესიის ადმინისტრაციული ერთეულების ხარჯების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ძველ მოდელზე; სამაგიეროდ, ფინეთმა უზრუნველყო ეკლესიის ფინანსური მდგრადობა იმავე ოდენობის თანხის გაცემით სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირი დაფინანსების გზით.¹⁷⁵ შეიცვალა, აგრეთვე, ზოგიერთი პერსონალის დასაქმების პირობები და საჯარო მოხელის სტატუსი შრომითი კანონმდებლობით რეგულირებად კერძო სამართლის დასაქმების კონტრაქტის პირობებით ჩანაცვლდა. შესაძლებელი გახდა ზოგიერთი საეკლესიო გადაწყვეტილების ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრება.

შეიძლება ითქვას, რომ ფინეთში კონსტიტუციით და სხვა აქტებით გარანტირებული ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე სამართლებრივი რეგულაციების მოქმედების პარალელურად, მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს „განსაკუთრებული ინსტიტუციური სტატუსი“.

ეკლესიების დაფინანსება

მართლმადიდებელი ეკლესია, ლუთერული ეკლესიის მსგავსად, უფლებამოსილია, აკრიფოს გადასახადები საკუთარი წევრებისგან.¹⁷⁶ სახელმწიფო და მუნიციპალურ გადასახადებთან ერთად. საეკლესიო გადასახადების მოკრებასაც ტექნიკურად უზრუნველყოფს საგადასახადო ადმინისტრაცია, საჭიროებისამებრ, სახელმწიფო პირების მონაწილეობით. რაც შეეხება იურიდიულ პირებს (კომპანიები და ასოციაციები, გარდა რელიგიური გაერთიანებებისა), მათ ეკისრებათ ვალდებულება, მონაწილეობა მიიღონ ლუთერანული ან მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსებაში საშემოსავლო გადასახადის გადახდის გზით, რომლის გარკვეული ნაწილიც მიმართულია ორი ეკლესიისთვის. საშემოსავლო გადასახადის 1999 წლის №1535 აქტის 1-ლი და 124-ე ნაწილების თანახმად, იურიდიული

¹⁷⁵ Ibid. გვ.185.

¹⁷⁶ საეკლესიო აქტი, თავი მე-15(2); აქტი ევანგელურ-ლუთერანული ეპარქიების ოფიციალურ შენობებსა და ფონდებზე (1966 წლის აქტი № 106); აქტი მართლმადიდებელ ეკლესიაზე, ნაწილები მე-11, 30-ე და 31-ე.

პირების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი დღესდღეობით დასაბეგრი შემოსავლის 29 პროცენტს შეადგენს. 1998 წლის აქტი № 532-ის ნაწილი 12-ის შესაბამისად კი, რომელიც არეგულირებს საგადასახადო შემოსავლების განაწილებას და რომელშიც შეტანილია ცვლილება 2003 წლის №1003 აქტის თანახმად, იურიდიული პირების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადებიდან ლუთერანული ეკლესია იღებს 1.79856%-ს, ხოლო მართლმადიდებელი ეკლესია - 0.00144%-ს.

როგორც ლუთერული, ისე მართლმადიდებელი ეკლესია და რელიგიის თავისუფლების 2003 წლის კანონით გათვალისწინებულ სხვა „რელიგიურ გაერთიანებებში“ შემავალი დენომინაციები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან.¹⁷⁷ სასაფლაოები განთავისუფლებულია უძრავი ქონების გადასახადისგან.¹⁷⁸

სახელმწიფო აფინანსებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განხორციელებული სასულიერო საქმიანობის დიდ ნაწილს. რაც შეეხება სასულიერო საქმიანობას შეიარაღებულ ძალებში, ის „მოიცავს ლუთერული და მართლმადიდებელი ეკლესიების საქმიანობას ახალწვეულთა, თანამშრომელთა, რეზერვისტთა და სამშვიდობოთა შორის.“ აღნიშნულ საქმიანობას სათავეში უდგას სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ლუთერანი გენერალური კაპელანი, რომელსაც ექვემდებარება 25 სრულ შტატზე, 13 ნახევარ შტატზე მომუშავე პირი და 5 არმიის კაპელანი. მათგან სრულ ანაზღაურებაზე ლუთერანი კაპელანების არიან, ხოლო მართლმადიდებელი და რელიგიური უმცირესობის კაპელანები - ნაწილობრივ ანაზღაურებაზე.¹⁷⁹

¹⁷⁷ საშემოსავლო გადასახადის აქტი, ნაწილი 21(2)-ე, 1999 წლის №1343 აქტის შესაბამისად განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, საეკლესიო ეპარქიებმა და სხვა რელიგიურმა საზოგადოებებმა უნდა გადაუხადონ საშემოსავლო გადასახადი მუნიციპალიტეტს.

¹⁷⁸ უძრავი ქონების გადასახადის აქტი (1992 წლის აქტი № 654), ნაწილი მე-3(2).

¹⁷⁹ მარკუ ჰაიკილა, ირკი კნუუტილა, მარტინ შაინინი: „სახელმწიფო და ეკლესია ფინეთში“, გვ. 613.

რელიგიური სწავლება

რელიგიის თავისუფლების 1922 წლის აქტის თანახმად, საჯარო სკოლების სასწავლო კურიკულუმი მოსწავლეთა უმრავლესობის რელიგიური კუთვნილების (ევანგელურ-ლუთერული) შესაბამის რელიგიურ განათლებას ითვალისწინებდა. გამონაკლისი ვრცელდებოდა მხოლოდ მათზე, ვინც არ მიეკუთვნებოდნენ უპირატეს რელიგიას.¹⁸⁰ საკუთარი რელიგიური რწმენის შესაბამისი სწავლების მოთხოვნის დაყენების უფლება არაუპირატეს რელიგიას მიკუთვნებულ სულ მცირე, სამი პირისგან შემდგარ ჯგუფს ჰქონდა.¹⁸¹ მოსწავლეებს, რომელნიც არ იყვნენ არც ერთი რელიგიური კონფესიის აღმსარებლები, ამასთან, არ სურდათ უმრავლესობის რელიგიის გაკვეთილებზე დასწრება, შეეძლოთ ალტერნატივის სახით ეთიკის გაკვეთილებს დასწრებოდნენ.

„რელიგიური თავისუფლების მოქმედი კანონის (2003წ.) და ამჟამად არსებული საგანმანათლებლო კანონის საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში ყველა მოსწავლეს თავისი რელიგიური აღმსარებლობის შესაბამისი რელიგიური განათლების მიღების უფლება აქვს. ... განათლების კომუნალური სისტემა პასუხისმგებელია მის ორგანიზებასა და დაფინანსებაზე.“¹⁸² დღეისათვის უპირატესი (ლუთერანული) რელიგიური განათლებისგან გათავისუფლებას აღარ სჭირდება მოსწავლეთა ოჯახების მხრიდან შესაბამისი მოთხოვნის დაყენება, ისინი ავტომატურად თავისუფლდებიან სწავლებისგან; გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სხვა კონფესიის მასწავლებლებს უფლება აქვთ ასწავლონ ლუთერანული რელიგია.

¹⁸⁰1992 წლის 267-ე აქტის ნაწილი მე-8 .

¹⁸¹ ზოგადსაგანმანათლებლო აქტის მე-13 ნაწილი (1998 წლის აქტი № 628), რომელმაც ცვლილება განიცადა 2003 წლის 454-ე აქტის მიხედვით. საშუალო სკოლის აქტის მე-9 ნაწილი (1998 წლის აქტი №629), რომელშიც ცვლილებები შევიდა 2003 წლის 455-ე აქტით. იმ მოსწავლეთა მდგომარეობა, რომლებიც ეკუთვნიან მართლმადიდებელ ეკლესიას, გარკვეულწილად განსხვავდება, რადგან ცალკე განათლების უზრუნველყოფა მათ რელიგიაში მოითხოვს, მინიმუმ, სამი მოსწავლის არსებობას, რომლებიც ეკუთვნიან არსებულ ეკლესიას და არ მონაწილეობენ უპირატესი რელიგიის სწავლებაში. სხვა სიტყვებით, არ არის საჭირო მსგავსი განათლების შესახებ მოთხოვნის წარდგენა.

¹⁸² მარკუ ჰაიკილა, ირკი კნუუტილა, მარტინ შაინინი: „სახელმწიფო და ეკლესია ფინეთში“ გვ. 608.

სტუდენტები, რომლებიც რომელიმე ეკლესიის ან რელიგიური ორგანიზაციის მრევლში არ შედიან, მონაწილეობენ მსოფლმხედველობის (ეთიკის) სწავლებაში. უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს ტესტი რელიგიის ან მსოფლმხედველობის საკითხებზე. მულტიკულტურული გარემოს გაფართოებასთან ერთად აქტუალური გახდა მასწავლებელთა ტრენინგების ორგანიზება ისლამის საკითხებზეც.¹⁸³

რაც შეეხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ფინეთის ყველა უნივერსიტეტი საჯაროა. ამჟამად ქვეყანაში არსებობს ღვთისმეტყველების სულ სამი ფაკულტეტი: „1640 წელს ტურკუს ძველი აკადემიის საფუძველზე შექმნილი ფაკულტეტი ჰელსინკის უნივერსიტეტში; შვედურენოვანი ფაკულტეტი, რომელიც 1924 წელს დაარსდა „ახალ“ Åbo Akademi-ში და 2002 წელს ჟოენსუს უნივერსიტეტში დაარსებული ფაკულტეტი. ჟოენსუს უნივერსიტეტში მოქმედებს დასავლეთის ღვთისმეტყველებისა და მართლმადიდებლური თეოლოგიის განყოფილებები. ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია მართლმადიდებელი ეკლესიების მღვდლებისა და ლოტბარების განათლებაზე. სკანდინავიური ტრადიციის გათვალისწინებით, თეოლოგიური კვლევა და სწავლება ყველა უნივერსიტეტში არაკონფესიურია.“¹⁸⁴

¹⁸³ Ibid. გვ. 608.

¹⁸⁴ Ibid. გვ. 608-609.

სარჩევი

ბულგარეთი	7
კვიპროსი.....	32
ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, პოლონეთი	50
რუმინეთი	80
საბერძნეთი	108
ფინეთი.....	132

